პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— მაქსიმ გორკი 19 მაისს გამოემგზავრება საბჭ. კავშირში.
— ავღანისტანის ფადიშახი ყირიმში გაემგზავრა.
— საფრანგეთის პრეზიდენტმა დაათვალიერა საბჭოთა პავილიონი პარიზის ბაზრობაზე.
— ლიტვის დამოუკიდებლობის 10 წ. თავი.
— ბრიუსელში დაიწყო საბჭოთა გამოფენაზე თავდასხმის საქმის გარჩევა.
— მცირე ანტანტის კონფერენცია განუსაზღვრელი დროით გადაიდო.
— ციურიხში (შვეიცარია) აკრძალეს „ოქტომბრის“ ჩვენება.
— სპარსეთ - ამერიკის შეთანხმება.
— ბომბის აფეთქება სოფიაში.

ოთხშაბათი, 16 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 111 (2154)

პარტიულ მუშაობის გამარტივება-გაუმჯობესება

პარტიულ აპარატისა და პარტიულ მუშაობის რაციონალიზაციის საკითხი უკვე დიდი ხანია დგას ჩვენი ორგანიზაციების წინაშე. თუ დღემდე ის უმთავრესად პოლემიკისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანს წარმოადგენდა, დღეიდან ის უკვე გადაიქცა გადაუდებელ პრაქტიკულ ამოცანად.

უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენი პარტია მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციულად, დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტებზე, ისმება საკითხი საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციის, მისი გაუმჯობესებისა და გამარტივების შესახებ. ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, პარტია ვერ განაგრძობს მუშაობას ისე, თუ მან სათანადოთ არ გადაახალისა თავისი აპარატის მუშაობა. ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, პარტიულ აპარატის გამარტივება-გაუმჯობესების შესახებ. ამ ამოცანის მნიშვნელობა არ განისაზღვრება შინაპარტიულ მშენებლობის საკითხებით. მას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემდგომი მუშაობისათვის.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცეკას სამდივნოს 9 მაისის დადგენილება პარტიულ აპარატისა და მუშაობის რაციონალიზაციის შესახებ უთუოდ დროული და მეტად საგულისხმო ნაბიჯს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ამ დადგენილებაში ადგილობრივ ორგანიზაციებს ეძლევათ მთელი რიგი კონკრეტული მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას გატარებული პარტიული აპარატისა და მუშაობის ორგანიზაცია, ის ყურადღებას იპყრობს იმ მხრივაც, რომ სახავს ზოგადი ხასიათის დეფექტებსაც, რომელიც შემჩნეულია პარტიულ მუშაობაში და რომელთა აღმოფხვრის გზითაც უნდა სწარმოებდეს პარტაპარატის რაციონალიზაცია.

პირველყოვლისა საჭიროა პარტიული აპარატის განტვირთვა იმ ზედმეტ მუშაობიდან, რომელიც ბევრ შემთხვევაში არ შეადგენს პარტიულ აპარატის ფუნქციას. ამ საკითხების მოგვარებას უნდება პარტორგანიზაციის მნიშვნელოვანი დრო და ენერგია, რითაც იჩრდილება პარტიული ორგანიზაციის ძირითადი საკითხები. ამიტომ ფუნქციათა განაწილებამ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს პარტაპარატის რაციონალიზაციის ჩატარების დროს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ერთი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ბევრ არაპარტიულ ორგანოებს. ეს ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები გაურბიან პირად პასუხისმგებლობას და პარტიულ ორგანიზაციაში გადააქვთ ისეთი საკითხებიც კი, რომელნიც შეიძლება თავისუფლად გადაიჭრას საბჭოთა ხაზით. ეს არანორმალური მოვლენა მავნებელია ორ მხრივ: ჯერ ერთი, ის აძლიერებს უპასუხისმგებლობას არაპარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში, ამას გარდა, ის ზედმეტ სამუშაოს უქმნის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ისედაც დატვირთულია თავისი პირდაპირი საქმეებით. საჭიროა არაპარტიულ ორგანიზაციებმა, მათმა კომფრაქციებმა, მეტი თვითმოქმედება და ინიციატივა გამოიჩინონ მუშაობაში, საჭიროა საბოლოოდ განიდევნოს ჩვენი მუშაობიდან პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარების პრაქტიკა. ამისათვის კი, აუცილებელია, რაც შეიძლება დროულად და მიზანშეწონილად მოხდეს პარტიულ და საბჭოთა აპარატის ფუნქციათა განაწილება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ აპარატის შემდგომ მუშაობაში დროის ეკონომიას. ეს საკითხი ახალი არაა. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვსწერთ დროის მომჭირნეობის შესახებ, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები ამ მხრივ თითქმის არ გადაგვიდგამს. აურაცხელი კრებები, სისტემატიური დაგვიანება სხდომებზე, გრძელი რეგლამენტები, უხეიროთ შერჩეული საკითხები, კომისიები, ქვეკომისიები და კოლეგიები, ჩვენი პარტიული მუშაობის მუდმივი თანამგზავრია. დროის ეკონომიის საკითხს რაციონალიზაციის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. პარტორგანიზაციებმა მთელი თავისი სისასტიკით უნდა გაატარონ დროის მომჭირნეობა. ამისათვის, სხვათა შორის, საჭიროა იმ ზედმეტი პარტიულ ინსტანციების შემოკლება, რომელნიც თავიანთი არსებობით უფრო ართულებენ საქმეს. უნდა გაუქმდეს მთელი რიგი თათბირები და კომისიები სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან, უნდა მოსპობილ იქნას რეზოლუციების დასამუშავებლად კომისიების გამოყოფის სისტემა და სხვა.

რაციონალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ცოცხალი კავშირის გაძლიერება პარტორგანიზაციასა და მასებს შორის. პარტორგანიზაციები ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ განაგრძობენ უმთავრესად ცირკულიარებით ხელმძღვანელობას ქვემდგომ პარტორგანიზაციებზე. ცირკულიარული სისტემა, რომლის წინააღმდეგაც დიდი ხანია პროტესტი გაისმის თვით პარტიულ ორგანიზაციებში, უნდა უარყოფილ იქნას, როგორც ხელმძღვანელობის ერთ-ერთი მთავარი ფორმა. წერილობითი კავშირი პარტორგანიზაციებს შორის უნდა სწარმოებდეს მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში. ამიტომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პარტორგანიზაციათა შორის ცოცხალი კავშირის განმტკიცებას. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი კავშირი არ გულისხმობს პარტიულ აპარატის შტატის გადიდებას. პირიქით, საჭიროა ამასთან ერთად მოხდეს პარტაპარატის შტატების სათანადო შემოკლებაც. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ფასიან პარტიულ მუშაობის ნაწილს დავაკისრებთ პარტიულ აქტივს პარტიულ დატვირთვის წესით. მოძმე რესპუბლიკების მთელ რიგ სამრეწველო პარტიულ ორგანიზაციებში ეს ნაბიჯი უკვე გადასდგეს და მან სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

იმისათვის, რომ ეს ღონისძიება უმტკივნეულოდ გატარდეს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს პარტიულ დატვირთვის უფრო მიზანშეწონილად განაწილებას, პარტიულ ამხანაგების აღრიცხვასა და შესწავლას. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების საქმე პარტიულ ორგანიზაციებში მოიკოჭლებს. აპარატის გაიაფებისა და გაუმჯობესებისათვის, ისე როგორც პარტორგანიზაციათა შორის ცოცხალი კავშირის განმტკიცებისათვის, სწორ საღრიცხვო-განმანაწილებელ მუშაობას და პარტიულ დატვირთვის რაციონალურად დაყენებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საკითხი პარტ-აპარატის გაიაფება-გამარტივების შესახებ რეალურად სდგას პარტორგანიზაციათა ყველა საფეხურების წინაშე. პარტიული ინსტრუმენტი უნდა გაუმჯობესებულ და კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნას იმისათვის, რომ პროლეტარიატის ავანგარდმა, კომუნისტურმა პარტიამ მომავალშიაც მტკიცედ შესძლოს სოციალისტური აღმშენებლობის ხელმძღვანელობა.

გერმანელ მენშევიკების საქმენი საგმირონი

საარჩევნო ბრძოლა გერმანიაში არაჩვეულებრივი სიმწვავით და გაფთრებით მიმდინარეობს. კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ აქ ისე, როგორც საფრანგეთში, დარაზმული არიან ყველა პარტიები, დაწყებული უკიდურეს მემარჯვენეებიდან და გათავებული სოციალ - შემთანხმებლებით. უკანასკნელნი განსაკუთრებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ და ცილი დასწამონ მათთვის საძულველ ბოლშევიზმს. გერმანელმა სოციალ - დემოკრატებმა ალღო აუღეს მუშათა მასების გამემარცხენებას და ამიტომ ვითომ ოპოზიციონერების როლში გამოდიან. სოციალ - ბარმატოველები გამალებით ემზადებიან იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღონ „დიდ“ კოალიციაში ბურჟუაზიასთან ერთად და ამავე დროს თავი მოაქვთ მრისხანე მებრძოლებად რეაქციის წინააღმდეგ. მათი შარლატანური უსირცხვილობა იქამდე მიდის, რომ ისინი აცხადებენ, თითქოს კომუნისტები თავისი ტაქტიკით ხელს უწყობენ უკიდურეს მემარჯვენეების გამარჯვებას. კიდევ მეტი, სოციალ - დემოკრატიული პრესის ფურცლებზე შეიძლება შეხვდეთ ორაზროვან მითითებას პირდაპირი ურთიერთ დახმარებაზე, რომელიც, თითქოს არსებობდეს კომუნისტებსა და გერმანელ ფაშისტების მებრძოლი ორგანიზაციებს შორის.

მაგრამ იმ დროს, როდესაც „ფორვერტს“-ი და მისი ამყოლნი გულდამშვიდებით ვარჯიშობდნენ ამ უსირცხვილო ცილისწამებაში, ბედმა მოუმზადა მათ მძიმე განსაცდელი — საიდუმლო პოლიტიკურ მკვლელობათა მოორგანიზატორების პროცესმა, რომელიც ამას წინად ჩატარდა შტეტინში, გამოარკვია, სრულიად მოულოდნელად სოციალ - დემოკრატებისათვის, რომ მჭიდრო კავშირი არსებობდა „შავი რეიხსვერის“ მოღვაწეებსა, როსბახის და სხვა ავანტიურისტების ბანდებისა და პრუსიის მთავრობის ოფიციალურ აგენტებს შორის, რომლებსაც მეთაურობდა შინაგან საქმეთა მინისტრი, სოციალ - დემოკრატი სევერინგი. ყოფილმა მთავრობის კომისარმა ზემო სილეზიაში, ცენტრის პარტიის წევრმა შპიკერმა (რომელიც მოქმედებდა საზოგადოებრივი წესრიგის სახელმწიფო კომისარ სოციალ - დემოკრატ ჰერზინგის და მინისტრ სევერინგის ხელმძღვანელობით), რომელიც სასამართლომ დაჰკითხა, როგორც მოწმე, აჩვენა, რომ მან და მაღლა მდგომმა ინსტანციებმა ყველაფერი იცოდენ იმ მკვლელობათა შესახებ, რომლებსაც აწყობდნენ ფაშისტური ბანდები. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ის ფარავდა მკვლელებს. თავის თავად ცხადია, რომ შპიკერი ამართლებს ამ საქციელს განსაკუთრებული პირობებით: გერმანელები ზემო სილეზიაში თავს იცავდნენ, ჩვენ თითონ შეგნებული გვქონდა, რომ კანონის ფარგლებს გარეშე ვმოქმედებდით. ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი მკვლელობებზე და სხვ... ასე მსჯელობდნენ პრუსიის ადმინისტრაცია სოციალ - დემოკრატ კომისრებისა და მინისტრების მეთაურობით და შავრაზმელი ბანდიტები, რომლებმაც იმ პერიოდში (1920 — 1921 წ.) მოახდინეს არა ნაკლებ 200 მკვლელობისა.

სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებმა არა თუ ყველაფერი იცოდენ ფაშისტურ ბანდების მიერ ჩადენილ მკვლელობათა შესახებ, არამედ პირდაპირ აძლევდენ მათ სათანადო დავალებებს. ეს განაცხადა პროცესზე ბანდების ერთ ერთმა მეთაურმა, „სპეციალური რაზმის“ უფროსმა ჰაუენშტეინმა, რომელიც, მისი სიტყვებით, ღებულობდა თვით სახელმწიფო კომისარ ჰერზინგის მიერ მოწონებულ განკარგულებებს. შპიკერმა ვითომ სცადა უარეყო, რომ ის იძლეოდა ასეთ უშუალო დავალებებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა „გაეხსენებია“, რომ ერხთელ მან დაავალა ორგანიზაციას შეემოწმებია ერთი პიროვნება, რომელზედაც ეჭვი იყო მიტანილი, რომ ის ყალბი მოწმობით სცხოვრობდა. რამოდენიმე დღის შემდეგ შპიკერმა მიიღო ეს დოკუმენტი და ცნობა, რომ დოკუმენტის პატრონი უკვე საიქიოს გაიგზავნა. „მე განვაცხადეო — დასძინა მოწმემ — რომ ეს უაზრო მკვლელობაა და დავემუქრე, რომ... მოვუსპობდი ორგანიზაციას ფინანსების მიწოდებას“.

რა თქმა უნდა, სასამართლომ ყველა ზომები მიიღო იმისათვის, რომ მიეფუჩეჩებია შემდგომი გამომჟღავნებანი. ამიტომ მან უარი განაცხადა დაეკითხა, მთელი რიგი მოწმეები, მათ შორის სოციალ - დემოკრატიული პოლიცეიპრეზიდენტი ერნსტი და განაცხადა, რომ „იმ საკითხების კომპლექსს, რომლებიც შეეხება ზემო - სილეზიას, სასამართლო აღარ განიხილავსო“. მაგრამ ის, რაც გამოაშკარავდა, სავსებით საკმაო აღმოჩნდა. „რეაქციასთან მებრძოლი“ სოციალ - დემოკრატები წარმოსდგენ, როგორც სულის ჩამდგმელნი იმ სისხლისმღვრელ ძალმომრეობისა და მკვლელობათა, რომლებსაც სჩადიოდნენ შავრაზმელთა ხროვები; ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მოქმედებას ფარავდნენ „გერმანელ ხალხის თავდაცვის“ დროშით. სოციალ - დემოკრატიული კომისრები და მინისტრები გამომჟღავნებული არიან, როგორც ისეთი ხალხი, რომელმაც აღზარდა ველური და რეაქციონური ხროვა და გზა გაუკაფა მას ბოროტმოქმედებისაკენ.

ეს არ არის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. რაც სილეზიაში ხდებოდა 1920 წელში, იმას ბევრად უფრო ადრე და უფრო ფართო მასშტაბით სჩადიოდა ნოსკე. მან არა თუ დარაზმა რეაქცია გერმანიის შიგნით, არამედ აგრეთვე თავისი ძალღონის მიხედვით ეხმარებოდა შავრაზმულ - მონარქისტულ ძალებს საზღვარგარეთ.

1919 წ. მარტის დამლევს ნოსკემ მიიღო მოხსენების ბარათი ჩრდილოეთ არმიის შესახებ, ე. ი. კურლიანდიისა და ლიტვაში შემდგარ რუს თეთრგვარდიელთა რაზმების შესახებ. ამ ბარათში გერმანიის მთავრობას წინადადებას აძლევდენ დახმარება გაეწია „ჩრდილოეთ არმიისათვის“ ბოლშევიზმის გასანადგურებლად და მით ბოლო მოეღო სპარტაკელების მოძრაობისათვის.

„გაეცნო რა ამ პროექტს, — სწერს თავის მემუარებში ცნობილი შავრაზმელი ბერმონტ - არალოვი, — ნოსკემ მოიწონა ის და დასძინა, რომ პირადათ შეეცდება გაატაროს პროექტი ცხოვრებაში“. თუმცა გერმანიის კაბინეტმა უარყო ნოსკეს წინადადება ერთი ხმის უმრავლესობით, მაგრამ მიუხედავად ამისა რუსი თეთრგვარდიელები მაინც ღებულობდნენ საშუალებებს გერმანიის აღმოსავლეთის სარდლობის შტაბიდან ნოსკეს მითითებით.

ამრიგად, ბანდიტების დაქირავების პრაქტიკას მტკიცე ტრადიციები აქვს. მაგრამ საარჩევნო კამპანიის ეხლანდელ მომენტში შტეტინის მხილება მწვავედ შეეხო სოციალ - დემოკრატების თავმოყვარეობას. სცენაზე გამოვიდა ერთბაშად ორი სოციალ - დემოკრატი მინისტრი — პრუსიის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი სევერინგი და ამ თანამდებობაზე ამჟამად მყოფი გრჟეზინსკი.

სევერინგმა, რომლის რეპუტაციაც უშუალოდ შეილახა, „ფორვერტს“-ში მოათავსა დიდი მოწინავე წერილი, რომელშიაც ის აქებს და ადიდებს თავის დამსახურებას ყოველგვარ არალეგალურ და შეიარაღებულ ორგანიზაციებთან ბრძოლის საქმეში. მაგრამ რამდენადაც საქმე ზემო - სილეზიას ეხება, სევერინგს არ ძალუძს ფაქტების უარყოფა და აცხადებს, რომ ის ყოველნაირად ცდილობდა, რათა „მისი ნებასურვილების წინააღმდეგ“ მოწყობილი თავდაცვის ორგანიზაციები „არ გასცილებოდენ პოლონეთის თავდასხმების მოგერიების ფარგლებს“. თუ რა გამოვიდა აქედან, ჩვენ ვხედავთ შტეტინის პროცესიდან.

სხვათა შორის, ამავე წერილიდან ვტყობილობთ, რომ ბატონ მინისტრს საქმის დაჭერა მოუხდა ისეთ ნახევრად ბანდიტურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა როსბახი, აულოკი და კიდევ სხვები რუურის ოლქში. სევერინგი სდუმს დეტალების შესახებ და ამბობს მხოლოდ, რომ „ცდებმა ამ ორგანიზაციებთან ვერ გამოიღო კარგი შედეგები“-ო. სამწუხაროა, რომ ბატონი მინისტრი არ განმარტავს დაწვრილებით, თუ რა ხასიათის იყო ეს „ცდები“.

სევერინგის მეტად სუსტი თავდაცვა არაფერს იგებს ზედმეტი ცილისწამების გავრცელებით კომუნისტების შესახებ, რომლებიც თითქოს განსაკუთრებით თანაუგრძნობდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს ზემო - სილეზიაში. ამ შემთხვევაში გალმა შედავების პოლიტიკა იმდენად უვარგისი აღმოჩნდა, რომ მეორე სოციალ - დემოკრატმა მინისტრ გრჟეზინსკიმ სხვა პოზიცია აირჩია და თავის სიტყვაში, რომელიც დაბა ჰინდენბურგში წარმოსთქვა, სულ საწინააღმდეგო ტაქტიკას მიმართა. ის არაფერს არ უარყოფს, ის არ იმართლებს თავს და პირდაპირ შეტევაზე გადადის. ის თვითონ სდებს ბრალს ფაშისტებს, რომლებიც ამჟამად სასამართლოში პრუსიის ადმინისტრაციისათვის ბევრ რამეს არასასიამოვნოს ლაპარაკობენ და უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ისეთ პატივცემულ პირებს, როგორიც ყოფილი მინისტრი სევერინგია. მართალია, ჰკლავდენ, არბევდენ, უსწორდებოდენ საშუალო საუკუნოების წესით, მაგრამ რა უყოთ. „ხეს ჭრიან, ნაფოტი ცვივა, სამოქალაქო ომში ჰუმანიურობაზე არ ფიქრობენ“-ო. ყველაზე უფრო ბატონ მინისტრს ის ფაქტი აღშფოთებს, რომ აღმოჩნდენ ისეთი გერმანელები (!), რომელთაც დღის სინათლეზე გამოაქვთ ამ რამოდენიმე წლის წინად მომხდარი ამბები, რათა გაამართლონ „გაცილებით უფრო გვიან და უფრო დამშვიდებულ დროს სამშობლოს ისეთ ნაწილებში ჩადენილი მკვლელობა, სადაც სრული სიწყნარე მეფობდა“. ფაშისტების აი ასეთი საქციელი არ მოსწონს სოციალ - დემოკრატ გრჟეზინსკის და უარყოფს მათ „ნაციონალურ შეხედულებებს“.

განა შეიძლება ამაზე უფრო საძაგელი სურათის წარმოდგენა? სოციალ-დემოკრატ მინისტრს სურს ჩაუნერგოს თავზე ხელ აღებულ ფაშისტებს ნაციონალური შეხედულებები, რომლებიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ ჩვენ გვამხილეს, იმ პატივცემულ ადამიანებს მაინც ნუღარ ღუპავთ, რომელმაც თქვენ ბნელი საქმის ჩესასრულებლად გაგზავნათო.

შტეტინის მხილება და გრჟეზინსკის სიტყვა მთელი სიგრძე - სიგანით გვიხატავენ გერმანიის თანამედროვე სოციალ - დემოკრატიისა და მისი ბელადების სურათს, რომლებიც არ ერიდებიან სისხლსა და ტალახს, როცა ეს კაპიტალიზმის გადასარჩენადაა საჭირო.

„პრავდა“, 15 მაისი.

კომუნისტური რაზმების გამარჯვება ნანკინის რაიონში

ინგლისური გაზეთები შესაძლებლად თვლიან პეკინის დაცემას ახლო-ხანში

ლიტვამ უარჰყო პოლონეთის მიერ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი

ბრძოლა პეკინისათვის

რევოლიუციონურ ჯარების გამარჯვება

შანხაი, 14 მაისი „სინ-ვენ-ბაო“-ს ცნობით, რევოლიუციონურმა ჯარებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, 12 მაისს დაიკავეს ნინიუანი და სინტიანი ხუნანის პროვინციის სამხრეთით.

რევოლიუციონურ ჯარებს ხელმძღვანელობენ ჩოუ-ენ და ჩენ-გუან-ბაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ რევოლიუციონურ ჯარებს იერიში მიაქვთ ქალაქ ჟუჩენზე.

შანხაი, 14 მაისი. გაზეთ სინ-ვენ-ბაო“-ს ცნობით, 12 მაისს აჯანყებულთა რაზმებმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, დაიკავა ქალაქი ლიანუანი ნანკინიდან 75 კილომეტრის მანძილზე, გაანთავისუფლა ყველა პოლიტიკური პატიმრები ციხეებიდან და გაანიარაღა პოლიცია (ადს).

ჩან-ძო-ლინი მიემგზავრება მუკდენში

შანხაი, 14 მაისი. „ისტერნ ტაიმსის“ ცნობით, ჩან-ძო-ლინი 14 მაისს ინკოგნიტოთ ჩავიდა ტიანძინში, საიდანაც ის გაემგზავრება მუკდენში

იაპონელი რეზიდენტები გადასახლდენ

შანხაი, 14 მაისი. „შუნ-ბაო“ იუწყება, რომ იაპონელი რეზიდენტები კანტონში გადასახლდენ შამინის ტერიტორიაზე (უცხოელთა კონცესიის რაიონი).

ამერიკის ოფიციალური წრეების პოზიცია

ვაშინგტონი, 14 მაისი. ნანკინის მთავრობის ნოტა შანდუნში იაპონელების მოქმედების შესახებ ჯერჯერობით აქ არ მიუღიათ. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების ოფიციალური წრეები აღელვებული არიან შანდუნში მომხდარი ამბებით. ვაშინგტონის წრეები გარეგნულად თითქოს დაკმაყოფილდნენ იაპონიის დაპირებით, რომ ჯარებს გაიყვანენ, როცა ეს შესაძლებელი იქნება.

მუკდენელების უკან დახევა

ტოკიო, 14 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, მუკდენელებმა ფინ-იუი-სიანის შეტევის გამო უკან დაიხიეს ბაოდინისაკენ. (ადს).

სამხრეთელების შეტევა

შანხაი, 14 მაისი. გომინის სააგენტოს ცნობით, სამხრეთელებმა დაიკავეს ცანჩაგოუ (90 კილომეტრის მანძილზე ტიანძინის სამხრეთით და განაგრძობენ შეტევას. სამხრეთელების მთავარი ძალები უტევენ პეკინ-ხანკოუს და ტიანძინ-პუკოუს რკინისგზების გამსწვრივ. კავალერია ცდილობს იანცზუნჩენის სადგურის დაკავებით გზა გადაუჭრას ჩრდილოელებს (ადს).

ჩინელებს არ უშვებენ ტიანძინთან

ტოკიო, 14 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის და ამერიკის რაზმების სარდლებმა ტიანძინში გადასწყვიტეს რომ ჩინეთის ჯარები არ მოუშვან ქალაქთან 20 მილზე უფრო ახლო. (ადს).

„ოკუპაცია არ უნდა იქნეს მოულოდნელი“

ლონდონი, 14 მაისი. ლონდონის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, რამდენათაც ჩან-ძო-ლინი შეიძლება იძულებული გახდეს დასტოვოს პეკინი მახლობელ ორი კვირის განმავლობაში, ხოლო მანჯურიაში შეიძლება დაიწყოს აჯანყება მის წინააღმდეგ, იმდენათ ტოკიოს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ მეთვალყურის როლით. ამიტომ იაპონიის ჯარების მიერ მანჯურიის ყველა სტრატეგიული პუნქტების ოკუპაცია არ უნდა იქნეს მოულოდნელი (ადს).

ზარბაზნების დაშენა გუპიშანის სიმაგრესათვის

შანხაი, 14 მაისი. „შუნ-ბაო“-ს ცნობით, ჩრდილოეთელების ფლოტმა ზარბაზნები დაუშინა გუპიშანის სიმაგრეს, რომელიც მდებარეობს ნავთსადგურ ამოის მახლობლად. ჩრდილოელების მიზანი იყო ხელი შეეშალათ ნანკინის მთავრობის სახელზე მოსულ იარაღის გადმოტვირთვისათვის. ქალაქისათვის ზარბაზნების დაშენის შემდეგ ფლოტმა დესანტი გადმოსხა ქალ. ცზინანში, ამოიდან 40 კილომეტრის მანძილზე და დაიკავა მთავრობის დაწესებულებები (ადს).

პოლონეთ--ლიტვის უთანხმოება

ლიტვის დელეგაციის პასუხი

კოვნო, 14 მაისი. გამოქვეყნებულია ლიტვის დელეგაციის პასუხი თავდაუსხმელობის, შემრიგებელი პროცედურისა და არბიტრაჟის ხელშეკრულობათა პროექტებზე, რომლებიც პოლონეთმა წარმოადგინა. პასუხში ნათქვამია, რომ პოლონეთის პროექტები შედგენილია იმ ხელშეკრულებათა მიხედვით, რომლებიც დადებულია გარკვეული საზღვრებისა და ნორმალური ურთიერთობის მქონე სახელმწიფოებს შორის და რომ ეს პროექტები ლიტვისათვის მიუღებელია მოლაპარაკების საფუძვლადაც კი.

„კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა, —ნათქვამია პასუხში,— აქვს იმ გარემოებას, რომ პროექტები ითვალისწინებს ჟელიგოვსკის აქტის (ვილნოს დაპყრობის) საქციელს“.

შემდეგ პასუხში ნათქვამია, რომ პროექტები ეწინააღმდეგება ერთა ლიგის დეკემბრის სესიაზე მიღებულ რეზოლიუციებს. ამიტომ ლიტვის დელეგაცია არ სცნობს თავს ვალდებულად გამოსთქვას აზრი პოლონეთის სხვა პროექტებზე და იტოვებს უფლებას გადასცეს პოლონეთს კონტრ-პროექტი (ადს).

ლიტვის დამოუკიდებლობის 10 წ. თავი

კოვნო, 14 მაისი. ლიტვის დამოუკიდებლობის 10 წლის თავის გამო, მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება ლიტვის ხალხისადმი. მოწოდებაში ჩამოთვლილია ლიტვის მიღწევები 10 წლის განმავლობაში: დამოუკიდებლობის მოპოება, ლიტვის ცნობა ყველა სახელმწიფოების მიერ, არმიის მოწყობა, სახელმწიფო აპარატის მოწესრიგება, ფინანსების გამარტივება და სხვ. შემდეგ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ლიტვას კიდევ მეტი აქვს განსახორციელებელი.

„ლიტვას, — ნათქვამია მოწოდებაში, — ბოროტმა მეზობლებმა წაართვეს მისი ძველი დედა ქალაქი ვილნო, რომელშიაც გამოცხადდა ლიტვის დამოუკიდებლობა. მაგრამ ვილნო წაართვეს ლიტვას ძალმომრეობათა და მოტყუებით. მთელ ერს სწამს, რომ ვილნო დიდი ხნით არა აქვს მას დაკარგული ამიტომ მთავრობას კონსტიტუციაში დამატებითი მუხლის სახით შეაქვს დადგენილება, რომ ლიტვის სახელმწიფოს დედა ქალაქი არის ვილნო“.

დამოუკიდებლობის 10 წლის თავის გამო ამნისტიით განათავისუფლებულია 59 კაცი. (ადს).

გერმანიის იუსტიციის სკანდალური შეცდომა

ბერლინი, 14 მაისი. უკანასკნელ დღეებში, საგაზეთო სენსაციას წარმოადგენს სასამართლოს მიერ ყოფილ რუს სამხედრო ტყვე იაკუბოვსკის სასიკვდილო განაჩენი გამოტანა, მოააშკარავება. 1924 წლის ნოემბერში იაკუბოვსკი დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალდება მასთან მცხოვრები ქალის, 4 წლის ვაჟის ნოგენს ევალდის მკვლელობაში. სასამართლომ იაკუბოვსკის სასიკვდილო განაჩენი გამოტანა, ოთხი მოწმის ჩვენების თანახმად. მოწმეებიდან ერთი იყო სუსტი გონების პატრონი. შუამდგომლობა პატიების შესახებ, უარყოფილ იქნა და იაკუბოვსკი სიკვდილით დასაჯეს. იაკუბოვსკის დასჯამ მრავალრიცხოვანი პროტესტები გამოიწვია, მაგრამ სამოსამართლო ხელისუფლებამ შეუძლე[illegible] აღიარა, რომ შეცდომას ჰქონოდა ადგ[illegible]. იაკუბოვსკის დასჯის შემდეგ ბრძოლამ ამ[illegible] გადასინჯვისათვის მიიღო პოლემიკის ხასიათი მემარცხენე ბურჟუაზიულ გაზეთებსა და რეაქციონურ პროკურატურას შორის და მას მიეცა პოლიტიკური ელფერი. დასასრულ ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგამ მოახერხა საქმის ხელახალი გამოძიების დაწყება. ამ გამოძიების შედეგები სკანდალური აღმოჩნდა გერმანიის იუსტიციისათვის. იაკუბოვსკისთან მცხოვრები ქალის ძმები და მათი მეზობელი კრეიცფელდი გამოტყდნენ, რომ მათ ცილი დასწამეს იაკუბოვსკის და რომ ბავშვი მოკლულია მათი შეთანხმებით. სამივე დააპატიმრეს.

ამ აღმაშფოთებელ სამოსამართლო შეცდომის გამოაშკარავებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საარჩევნო ბრძოლაში. მემარჯვენე ბურჟუაზიული პრესა ან არაფერს არ ამბობს ამ სკანდალურ საქმის შესახებ, ან სცდილობს გაამართლოს ეს შეცდომა. მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთები ყოველმხრივ სცდილობენ, რომ ამ საქმით შეიძინონ პოლიტიკური კაპიტალი. ისინი ამ სამოსამართლო მკვლელობის ჩადენაში ბრალს სდებენ პიროვნებებს და არა სისტემას და აწარმოებენ კამპანიას თავისი მოწინააღმდეგეთა სახელის გასატეხად.

„როტე ფანე“ იაკუბოვსკის საქმეზე სწერს: „როგორც ლეგალური განადგურების მანქანამ ულმობლად მოჰკლა იაკუბოვსკი, ისე მმართველი კლასის იუსტიცია ულმობლად სჯის ათასობით მშრომელებს სულ მცირე დანაშაულისათვის. მაგრამ ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ არა მარტო ეშაფოტზე გააგზავნა უდანაშაულო ადამიანი, მანვე შექმნა უსაშინელესი სოციალური პირობები, რომლებშიაც შეიძლებოდა დაბადებულიყო აზრი იაბლონოვსკისათვის მიწერილ მკვლელობის ჩადენის შესახებ. ნოგენსის და კრეიცფელდის ოჯახს, 15 ადამიანი, მოზრდილი და პატარა, მოთავსებული იყო საშინელ ბინაში, სცხოვრობდა საშინელ სილატაკეში. უმუშევრობამ, შიმშილმა, და ძუძუმწოვ ბავშვების გამოკვების შეუძლებლობამ დაბადა მათში ის აზრი, რომ მოეკლათ ბავშვი, რათა ცოტაოდნად მაინც გაეუმჯობესებიათ ოჯახის არსებობის პირობები. (ადს).

შეერთებულ შტატების მარცხი ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 14 მაისი. შეერთებულ შტატების ჯარებმა ნიკარაგუაში მთელ რიგ თვეების განმავლობაში ჯერ შესძლო ვერც სანდინოს ტყვეთ ჩაგდება და ვერც იმ მოძრაობის ჩაქრობა, რომელსაც ხელმძღვანელობს სანდინო. შეერთებულ შტატების სარდლობამ არც კი იცის სად იმყოფება სანდინო. ამასთანავე ერთად, სანდინომ გააძლიერა აქტივობა მთიან ადგილებში; მისმა ჯარებმა ხელში ჩაიგდო ორი ოქროს მადანი, რომლებიც ეკუთვნის შეერთებულ შტატების მოქალაქეებს. სანდინოს ჯარები ემუქრება მთელს აღმოსავლეთ განაპირა ჯარებს. შეერთებულ შტატებისათვის მეტად ძნელი იქნება მომავალ არჩევნებისათვის კონტროლის გაწევა.

ამერიკის ჯარების სარდალი გაემგზავრა ვაშინგტონში სათათბიროთ. არჩევნები გადადებულია ნოემბრისათვის. შეერთებულ შტატების მთავრობას ეს ესაჭიროება იმისათვის, რომ ჯერ თავის ქვეყანაში ჩაატაროს არჩევნები (ადს).

სპარსეთი მადლობას უხდის საბჭოთა მთავრობას

თეირანი, 14 მაისი. სპარსეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. დავთიანს მიმართა ნოტით, რომელიც განმარტავს სპარსეთში მცხოვრებ უცხოელების, კერძოთ, საბჭოთა მოქალაქეების ახალ იურიდიულ მდგომარეობას. ნოტის შესავალ ნაწილში სპარსეთის მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა პირველმა განაცხადა უარი კაპიტულიაციის რეჟიმზე (ადს).

საქმე საბჭოთა გამოფენაზე თავდასხმის შესახებ

პარიზი, 14 მაისი. ჰავასი იუწყება: „ბრიუსელში დაიწყო საბჭოთა გამოფენაზე თავდასხმის საქმის გარჩევა. დამცველებმა მოითხოვეს, რომ სასამართლოს ეს საქმე ეცნო პოლიტიკურ საქმედ და გადაეცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის. სასამართლომ დამცველების მოთხოვნილება უარყო.

დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს უმაღლეს ინსტანციის წინაშე.

საქმის გარჩევა გადაიდო შაბათისათვის (ადს).

ჯოინსონ ხიკსი განაგრძობს „გამოძიებას“

ლონდონი, 14 მაისი. კონსერვატორი დევისონი შეეკითხა შინაგან საქმეთა მინისტრს, შეუძლია თუ არა უკანასკნელს მისცეს პალატას დამატებითი ინფორმაცია ინგლისში საბჭოთა წყაროებიდან ფულის მიღების შესახებ აჯანყების პროპაგანდის მიზნით და დარწმუნებულია თუ არა ის, რომ რუსეთიდან ფულის მიღება ინგლისში უკვე შეწყდა.

ხიკსმა უპასუხა, რომ გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება.

შემდეგ დევისონი შეეკითხა ხიკს—მიაქცია თუ არა მან ყურადღება იმას, რომ რუსეთიდან შემოზიდულ იქნა 5 ტონა ოქრო.

ხიკსმა უპასუხა, რომ სწარმოებს გამოძიება და რომ ის ამის შესახებ გააკეთებს განცხადებას ახლო მომავალში.

ალექსანდერი შეეკითხა—ხელს უწყობს თუ არა გამოძიების წარმოებას, რუსეთის ბანკი.

ხიკსმა დადებითი პასუხი გასცა.

კატასტროფიული მდგომარეობა ბულგარეთში

ვენა, 14 მაისი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობა კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფება ქალაქ ჩირპანში, სადაც არც ერთი სახლი არ გადარჩენილა. 30.000 კაცი მინდორზეა გასული, ცის ქვეშ. გაჭირვება დღითიდღე იზრდება, ხურსათისა და წყლის სპეკულიაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. გახშირდა შემთხვევები, როცა ქალიშვილებს ყიდულობენ ცოცხალი საქონლით მოვაჭრეები. (ადს).

ყუმბარის გადასროლა

ვენა, 14 მაისი. 7 მაისს სავაჭრო ბანკის წინ სოფიაში გასკდა ყუმბარა. აფეთქებით გამოწვეული ზარალი 25.000 ლევს უდრის. დამნაშავეთა კვალს ვერ მიაგნეს. აფეთქების ადგილზე ნახეს ასეთი შინაარსის ბარათი: „ასეთი ბედი ეწვევა ყველა იმათ, ვისაც ხაერთო უბედურების დროს, არც ერთი გროში არ გაუღია თავისი მილიონებიდან დაზარალებულთა სასარგებლოდ“.

სოფიაში გავრცელებულია ვერსია, რომ აფეთქება წარმოადგენს პროტესტს მსხვილი კაპიტალისტების ძუნწობის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობები

„ლენინბუნდის“ დაშლა

ბერლინი, 15 მაისი. „ლენინბუნდის“ მომხრე მუშების დიდი უმრავლესობა ცდილობს გერმანიის კომპარტიაში დაბრუნებას, „ლენინბუნდის“ ზულის ჯგუფის ზოგიერთი ბელადები კი ემზადებიან სოციალ-დემოკრატებისაკენ გადასასვლელად. გაზეთ „ფოლკს ვილლე“-ს რედაქტორი გეიმი მოლაპარაკებას აწარმოებს სოციალ - დემოკრატიულ პარტიასთან მასთან დაკავშირებულ ჯგუფის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადასვლის შესახებ. „ფოლკსვილლე“-ის უკანასკნელ ნომერში, სადაც ქვესათაური—„ლენინბუნდი“ შეცვლილია ქვესათაურით—„მშრომელთა ორგანო“, აშკარად სჩანს, რომ მზადდება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადასვლა. „ლენინბუნდის“ საკანდიდატო სია არჩევნებში გამოცხადებულია გაუქმებულად. „ლენინბუნდის“ გალის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კულმანმა შუამდგომლობა აღძრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წინაშე მისი მიღების შესახებ ამ პარტიაში, მაგრამ მას მიუთითეს დარჩენილიყო ჯერ-ჯერობით „ლენინბუნდში“, ვინაიდან მის მოღვაწეობას „ლენინბუნდში“ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალ-დემოკრატებისათვის. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადასდო 45 000 მარკა გაზეთ „ფოლკსვილლის“ შესასყიდათ.

„როტე ფანე“ „ლენინბუნდის“ დაშლის შესახებ

ბერლინი, 15 მაისი. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“, უკეთებს რა კომენტარიებს „ლენინბუნდის“ დაშლას, სწერს: „იმისთვის, რომ მიეღწიათ ამ შედეგებისათვის, გამძვერათა ბანდა და რენეგატების ჯგუფი დაწყებული მასლოვიდან—ურბანსამდე, ორი წლის განმავლობაში აწარმოებდენ ბრძოლას კომპარტიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ხმარობდენ სოციალ-დემოკრატების და ბურჟუაზიის მეთოდებს.

ეხლა ურბანსმა და ბარტელმა მიმართა გერმანიის კომპარტიის ცეკას საშველათ. თავისთავად ცხადია, რომ გერმანიის კომპარტია გააკეთებს ყველაფერს, რომ ზულის მუშები არ გახდეს იმ დანაშაულის მონაწილეთ, რომელიც ჩაიდინა ტროცკისტულ ხელმძღვანელ ჯგუფმა. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ ბარტელსის და ურბანსის ვერავითარი მოქმედება ვერ გამოასწორებს იმ დანაშაულს, რომელიც მათ ჩაიდინეს რევოლიუციონურ მოძრაობის წინაშე“.

ვოიცეხოვსკის საქმე გაირჩევა შემოდგომაზე

ვარშავა, 15 მაისი. გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები, რომ ვოიცეხოვსკის საქმე „საგამომძიებლო მასალის სიმრავლის გამო“ გაირჩევა შემოდგომაზე. (ადს).

სამხრეთელები ტიანცზინში შედიან

შანხაი, 15 მაისი. ნანკინის მთავრობის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს სამხრეთის არმიის საველე შტაბის მოხსენებას, რომელშიაც იუწყება, რომ სამხრეთელების ჯარების ავანგარდი შევიდა ტიანცზინის განაპირა უბანში. (ადს).

სეიმმა სოხაცკი სასამართლოს გადასცა

ვარშავა, 15 მაისი. 15 მაისს სეიმში ირჩეოდა საკითხი კომუნისტ დეპუტატ სოხაცკისათვის ხელშეუხლებლობის წართმევის შესახებ. მომხსენებელმა დედუსციცკიმ, პილსუდსკის მომხრემ კომისიის სახელით შეიტანა წინადადება—წაერთვას სოხაცკის დეპუტატობის ხელშეუხლებლობა და გადაეცეს ის სასამართლოს, ვინაიდან სოხაცკს ბრალდება „რევოლიუციონური აგიტაცია 1926—27 წ.“ კომისიის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა დეპუტატი სენიუკი (სელრობი) და სთქვა: „მთავრობამ ომი გამოუცხადა მთელი პოლონეთის მუშათა კლასს. სელრობი დასავლეთ უკრაინის მუშათა მასების სახელით უერთდება მთელი პოლონეთის მშრომელთა პროტესტს სოხაცკის გაცემის წინააღმდეგ“. კომფრაქციის სახელით გამოვიდა დეპუტატი ვიტნერი, რომელმაც განაცხადა: „მე გამოვდივარ იმ სეიმის წინაშე, რომლისგანაც არ შეიძლება მოველოდეთ პატიებას და რომელიც ფაშისტური დიქტატურის იარაღია. (თავმჯდომარე დაშინსკი ამ სიტყვების გამო ვიტნერს მოუწოდებს წესრიგისაკენ). თქვენ შეგიძლიათ ყველა ჩვენ გადაგვცეთ სასამართლოს, ყველა კომუნისტი დეპუტატები იზიარებენ სოხაცკის მოღვაწეობას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ იმ დეპუტატებს, რომლებიც გულწრფელად და აშკარად იბრძვიან მუშათა კლასის საქმისათვის, სეიმი კი არ დაიცავს, არამედ გასცემს“. კენჭის ყრის დროს სოხაცკის სასამართლოსათვის გადაცემას ხმა მისცენ პილსუდსკის მომხრეებმა ნაციონალ - დემოკრატებმა ქრისტიან - დემოკრატებმა და პიასტმა. წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, მემარცხენე ჯგუფებმა, ეროვნულ უმცირესობათა ყველა წარმომადგენლებმა, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ, ვიზვოლენიემ და გლეხურმა კავშირმა. 167 ხმის უმრავლესობით 162 წინააღმდეგ სეიმმა დაადგინა წაერთვას სოხაცკს დეპუტატის ხელშეუხლებლობა და გადაეცეს ის სასამართლოს.

მემარცხენე სელრობის წინადადება სათითაოდ ხმის მიცემის შესახებ უარყოფილ იქნა, ვინაიდან პოლონეთის სოც. პარტიის დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს მას. კენჭის ყრა თავმჯდომარეს არ შეუმოწმებია როგორც წესი მოითხოვდა. ამრიგად დადგენილება სოხაცკის სასამართლოზე გადაცემის შესახებ მიღებულ იქნა მხოლოდ ხუთი ხმის უმრავლესობით. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს წინადადება გავიდა პპეესოველების თვალთმაქცური მოქმედების გამო: იმ დროს, როცა პპეესოველების ორატორი კვაპინსკი ილაშქრებდა სოხაცკის გაცემის წინააღმდეგ, პპეესოველების მნიშვნელოვანი ნაწილი კენჭის ყრის დროს გავიდა დარბაზიდან. სოხაცკი სხდომას არ დასწრებია. (ადს)

პოლიტიკურ პატიმარ გროდნიცკის თვითმკვლელობა

ვარშავა, 4 მაისი. სოსნოვეცკის საპყრობილეში თავი მოიკლა პოლიტიკურმა პატიმარმა გროდნიცკიმ, რომელსაც ბრალდებოდა კომუნისტური მუშაობა. (ადს).

სპარსეთ-ამერიკის შეთანხმება

თეირანი, 14 მაისი. ხელი მოაწერეს სპარსეთ - ამერიკის ახალ შეთანხმებას, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას ახალ საბაჟო ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით. (ადს).

საფრანგეთის პრეზიდენტი საბჭოთა პავილიონში

პარიზის ბაზრობაზე

პარიზი, 14 მაისი. საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა ინახულა საბჭოთა პავილიონი ბაზრობაზე. პრეზიდენტი მიიღო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში დოვგალევსკიმ. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა ინდოეთში

გაფიცული ფეიქრები სტოვებენ ქალაქს

ლონდონი, 14 მაისი. ბომბეიდან მიღებულ ცნობით, 50.000-ზე მეტმა გაფიცულმა ფეიქარმა დასტოვა ქალაქი. ფეიქრები წავიდნენ თავთავის სოფლებში. (ადს).

სურათ „ოქტომბერი“-ს ჩვენების აკრძალვა

ბერლინი, 14 მაისი. ციურიხის ცენზურამ აკრძალა ჩვენება სურათ „ოქტომბერი“-ს, რომელიც ერთხელ უკვე მიდიოდა ციურიხის კინო-თეატრებში. აკრძალვას ასაბუთებენ იმით, რომ სურათში გატარებულია ბოლშევიზმის ტენდენციური შექება. კომუნისტურმა წრეებმა საჩივარით მიმართეს კანტონის საბჭოს. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საალმშენებლო სეზონის დასაწყისი მოსკოვში

მოსკოვი, 15 მაისი. გაზაფხულის მოახლოებისთანავე მოსკოვში იწყო დენა სასეზონო მუშებმა, რომელთა რიცხვი წელს გაცილებით მეტია, ვიდრე წინა წლებში. ამხანად მოსკოვში უკვე ჩამოსულია 50.000 კაცი აღმშენებელი მუშა. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ უმუშევრადაა და არც არის იმის იმედები, რომ ახლო მომავალში სასეზონო მუშათა ამ არმიის დიდი ნაწილი მიიღებს სამუშაოს.

„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა“ თავის მოწინავე წერილში არჩევს სპეციალურად ამ საკითხს. გაზეთი სწერს, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნა მიღებული გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებები, შესაძლებელია საალმშენებლო სეზონი უნაყოფოთ დამთავრდეს. წარსული წლების გამოცდილებიდან ვერაფერი ვისწავლეთ, განაგრძობს გაზეთი, აღმშენებლობის ნორმალურ განვითარებისათვის საჭიროა წინასწარი საორგანიზაციო ხასიათის მუშაობის ჩატარება. ბევრჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, რომ იმ დაწესებულება-წარმოებებმა, რომელნიც აპირებენ აღმშენებლობას, წინდაწინვე უნდა დასდვან ხელშეკრულება აღმშენებელ კანტორებთან. მიუხედავათ ამისა, ხელშეკრულებები დამქირავებლებსა და აღმშენებელ კანტორებს შორის ბევრ შემთხვევაში ჯერაც არ არის დადებული. თავსთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი რაიმე გეგმიანობაზე საალმშენებლო საქმეში და სასეზონო მუშა ხელის განაწილების მოწესრიგებაზე.

ცუდადაა მოწყობილი აღმშენებლობაზე თანხების გაღების საქმეც. საალმშენებლო მასალები დამზადებულია მხოლოდ იმდენი, რამდენიც საკმარისია სეზონის დასაწყისისათვის. ეს სხვათაშორის გამოწვეულია იმით, რომ მასალის დამამზადებელი ადგილობრივი ორგანოები აწარმოებენ „ნაციონალურ“ პოლიტიკას, არ აძლევენ ნებას ტეხნიკურ ორგანოებს, რომ გაიტანონ რესპუბლიკის საზღვრებიდან დამზადებული საალმშენებლო მასალა.

გაზეთი წერილის დასასრულს მოითხოვს, რათა ამ საქმეში ენერგიულად ჩაერიონ უმაღლესი საკონტროლო და ხელმძღვანელი ორგანოები.

კონტრ-რევოლიუციონერების ბუნაგის აღმოჩენის გარშემო

მოსკოვი, 15 მაისი. როგორც 12 მაისს გადმოგცემდით, მოსკოვის მახლობლად ცნობილ სერგიევის ლავრაში ხელისუფლების ორგანოებმა აღმოაჩინა შავრაზმელების ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდა სასულიერო პირები, ყოფილი თავადები, კაპიტალისტები, სახლის პატრონები და მეფის წარჩინებული მოხელეები. ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 2.000 კაცამდე აღწევდა.

პროკურატურა ამ დღეებში შეუდგა კვლევა-ძიებას ამ საქმის გამო. გამოირკვა, რომ სერგიევის ლავრის ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მოხდა თავდასხმა მკვლელობის მიზნით მაზრის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. კოსტამაროვზე. მიუხედავათ იმისა, რომ შავრაზმელები დიდათ იყვნენ მოწადინებული მოეკლად საშიშარი მოწინააღმდეგე კოსტამაროვი, მათ ეს ვერ შესძლეს.

გარდა ამისა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ ახლო ხანებში სერგიევის ლავრაში ჩამოვიდა ცნობილი შავრაზმელი ყოფილი თავადი მეშჩერსკი. მეშჩერსკიმ ინფორმაცია ჩამოიტანა უცხოეთის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ, მისცა დირექტივები სერგიევის ორგანიზაციას, გააბა კავშირი ამ ორგანიზაციასა და სხვა შავრაზმულ ორგანიზაციებს შორის და უკანვე გაემგზავრა.

ამასთან ერთად ირკვევა, რომ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს ქალიშვილი სხვისი პასპორტით მუშაობდა სერგიევის საავადმყოფოში. როძიანკოს ქალმა მოაწყო, სხვათა შორის, უკანასკნელ ხანებში სერგიევის საავადმყოფოს ექიმთა გაფიცვა.

კვლევა-ძიების დროს გამოაშკარავდა აგრეთვე, რომ სერგიევის ლავრის შავრაზმული ორგანიზაცია თავის კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობისათვის იყენებდა მონასტრის განძეულობას. აღმოჩნდა, რომ ლავრის მუზეუმიდან წაღებულია მრავალი განძეულობა.

მუშათა ორგანიზაციები გოლოვანოვშჩინის წინააღმდეგ

მოსკოვი, 15 მაისი. მოსკოვის 1 სტამბის (ობრაზცოვაია ტიპოგრაფია), შეკუმშული გაზის ქარხნის და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებმა, რიცხვით სამი ათას კაცმა ღია წერილით მიმართა მთავრობის კომისიას, რომელიც იკვლევს დიდი ოპერის თეატრში შექმნილ მდგომარეობას. თავის წერილში მუშები მოითხოვენ მთავრობის კომისიიდან, რათა ძირფესვიანად იქნეს შეცვლილი ის არანომალური მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს დიდი ოპერის თეატრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

სამძიმრის გამოცხადება

მოსკოვი, 15 მაისი. თურქეთის ელჩმა ტევფიკ-ბეიმ სამძიმარი გამოუცხადა საგარეო საქმეთა კომისარიატს ამხ. ციურუპას გარდაცვალების გამო.

ზარალი ხანძრისაგან

რიაზანი, 15 მაისი. წინასწარი ცნობებით, ხანძრისაგან მიყენებული ზარალი სასოვში აღწევს 500.000 მანეთს. შენობების უმეტესობა დაზღვეული იყო. სახ. დაზღვევის სამმართველოს განყოფილებამ ზომები მიიღო ცეცხლისაგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურებლად (ადს).

ამხ. მირონოვის დანიშვნა

კიევი, 15 მაისი. კიევის საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმმა ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია მუშა ამხ. მირონოვი ქარხანა „ბოლშევიკი"-დან 40 წლის საწარმოო სტაჟით.

ებრაელთა მიწადმოქმედთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ლატარიის ტირაჟი

მოსკოვი, 15 მაისი. 12 მაისს დაიწყო და 13 მაისს დასრულდა ებრაელთა მიწადმოქმედთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ლატარიის გათამაშება. ლატარიის გათამაშებას დაესწრო საზღვარ გარეთიდან ჩამოსული ებრაელი მწერალი შალომ აში. მთავარი მოგება ხვდა შემდეგ ნომრებს: ორი მოგზაურობა ამერიკაში № 892.330 და 43.556; 45 ობლიგაცია 1926 წ. სესხისა ხვდა — № 569.710; სახლი—ბინა 3 ოთახიანი თავის სამზარეულოთი—№ 620.885-ს.

დედა-მიწის გარშემო მოგზაურნი

ნოვო-სიბირსკი, 15 მაისი. მოვიდა ვენის უნივერსიტეტის ცხრა სტუდენტი, რომელნიც დედა-მიწის გარშემო მოგზაურობენ. ისინი ვენიდან გამოსულან 1922 წელს და უკვე მოუვლიათ საფრანგეთი, ესპანეთი, ალჟირი, ეგვიპტე, სპარსეთი, ინდოეთი და სხვ. ქვეყნები. სტუდენტთა მოგზაურობის საგანს შეადგენს პრაქტიკული შესწავლა ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიისა.

ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს ვენის კომუნისტურ გაზეთის „როტე-ფანე"-ს კორესპონდენტი.

ავღანისტანის ფადიშახის გამგზავრება ყირიმში

ლენინგრადი, 15 მაისი. კვირას დილით ფადიშახმა ამხ. კომაროვის თანხლებით დაათვალიერა სამეცნიერო აკადემია, სადაც მას შეეგებნენ აკადემიკოსები ამხ. კარპინსკის მეთაურობით.

ამხ. კარპინსკის მისასალმებელი სიტყვის საპასუხოდ ფადიშახმა მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის მეცნიერებს იმისათვის, რომ ისინი მზად არიან მეცნიერული შრომებით ხელი შეუწყონ ავღანისტანის კულტურულ და სამეურნეო განვითარებას, და განაცხადა, რომ ის ისარგებლებს საბჭოთა მეცნიერების რჩევით და მითითებებით.

ფადიშახმა დაათვალიერა აკადემიის მიერ სპეციალურად მოწყობილი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია პროფესორ ვავილოვის ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალები ავღანისტანის მიწადმოქმედების შესახებ. ფადიშახმა აკადემიაში დაჰყო ორი საათი.

დღისით ფადიშახმა დაათვალიერა ქალაქი.

ფადიშაჰის გამგზავრება

კვირას, 5 საათზე ფადიშაჰი მეუღლით, ოჯახის წევრებით და ამალით გაემგზავრა ყირიმში. იმავე მატარებლით გაემგზავრა ამხ. ქარახანი.

ფადიშაჰი ორიოლში

ორიოლი, 15 მაისი. ორიოლში მატარებლით ჩამოვიდა ფადიშაჰი. ფადიშაჰმა მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი და ამხ. ქარახანის და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა თანხლებით დაათვალიერა ყარაული და გარნიზონის ნაწილები.

აღმასკომის თავმჯდომარის მისალმებაზე ფადიშაჰმა უპასუხა მოკლე სიტყვით, რომელშიაც საბჭოთა კავშირს უსურვა ზრდა და განმტკიცება.

ფადიშაჰი უკრაინაში

ხარკოვი, 15 მაისი. უკრაინაში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი, რომელიც მიემგზავრება ყირიმში. უკრაინის მთავრობის წევრები შეხვედრიათ გაემგზავრენ ბელგოროდში.

ბელგოროდში ამხ. ქარახანმა ფადიშაჰს გააცნო უკრაინის მთავრობის წევრები.

უკრაინის მთავრობის სახელით ამხ. ვლასენკომ მიმართა ფადიშაჰს მისალმებით უკრაინულ ენაზე:

„ხანგრძლივი ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული მუშურ-გლეხური უკრაინა — განაცხადა ამხ. ვლასენკომ—რომელიც ნებაყოფლობით შევიდა საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებულის კმაყოფილებით ესალმება თქვენს ქვეყანას, რომელმაც თავგანწირულ ბრძოლით მიაღწია მჩაგვრელებისაგან განთავისუფლებას და დადგა დამოუკიდებელი განვითარების გზაზე. მე გამოვსთქვამ რწმენას, რომ თქვენი ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში განამტკიცებს იმ მეგობრობას, რომელიც არსებობს ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის".

ამხ. ვლასენკოს მისალმების საპასუხოდ ფადიშაჰმა განაცხადა:

„მე გულწრფელ მადლობას გიცხადებთ მისალმებისათვის, რომელმაც ძლიერ ამაღელვა. ჩემი ცხოველი სიმპატია საბჭოთა კავშირის მიმართ სავსებით ეკუთვნის აგრეთვე უკრაინის რესპუბლიკასაც. მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება".

ფადიშაჰის მატარებელი ხარკოვიდან წავიდა ყირიმში (ადს).

ფადიშაჰის შემოწირულება

მოსკოვი, 15 მაისი. ავღანისტანის ფადიშაჰს ამანულა ხანის მოსკოვში ყოფნის დროს მან მოსკოვის საბჭოს გადასცა 10.000 მანეთი. ეს თანხა გამოყენებულ იქნება ქალ. მოსკოვის უღარიბეს ბავშვებისათვის დახმარების გასაწევად (ადს).

მაქსიმ გორკი მოსკოვში მიემგზავრება

რომი, 14 მაისი. მ. გორკი 19 მაისს ბერლინით მიემგზავრება მოსკოვში.

უცხოელ მეზღვაურების კრება

ლენინგრადი, 15 მაისი. ლენინგრადის ნავთსადგურში, მეზღვაურთა საერთაშორისო კლუბში გაიმართა უცხოელი მეზღვაურების მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„ჩვენ, საერთაშორისო მეზღვაურები, პროტესტს ვაცხადებთ ბელა-კუნის დაპატიმრების წინააღმდეგ. ჩვენ მოვუწოდებთ ავსტრიის ტრანსპორტელებსა და რკინისგზელებს ხელი შეუშალონ კუნის გადაყვანას უნგრეთის საზღვარზე. (ადს).

მედსანშრომის მუშაკთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 15 მაისი. გაიხსნა მედსანშრომის მუშაკთა საკავშირო ყრილობა.

ამხ. სემაშკო მისასალმებელ სიტყვაში შეეხო მედიცინის მუშაობის როლს კულტურულ რევოლიუციაში, მოუწოდა მათ უფრო მჭიდროთ დაუკავშირდენ მასებს თვითკრიტიკის საშუალებით და აღკვეთონ ჯანმრთელობის დაცვის დარგში არსებული დეფექტები.

ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ს, საკავშირო პროფსაბჭოს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, კომინტერნს, პროფინტერნს და წითელ არმიას.

ყრილობამ ერთხმად გამოიტანა პროტესტი ბელა-კუნის დაპატიმრებისა და უნგრეთის ფაშისტური მთავრობისათვის მისი მოსალოდნელი გადაცემის წინააღმდეგ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. სენიუშკინის მოხსენება მედსანშრომის ც. კ.-ის მოქმედების შესახებ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

შახტის საქმე

საზოგადოებრივი ბრალმდებელნი

მოსკოვი, 15 მაისი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ დონბასის ეკონომიური კონტრრევოლიუციის საქმეზე საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვლენ ამხ. შეინი, ოსადჩი, გრინკო და კრუმინი. (ადს).

მოითხოვენ ულმობელ დასჯას

ყაზანი, 15 მაისი. უპარტიო დელეგატების წინადადებით, თათართა რესპუბლიკის ინჟინერ-ტეხნიკოსთა კონფერენციამ წერილი გაუგზავნა შახტის პროცესში საზოგადოებრივ ბრალმდებლად დანიშნულ ამხ. შეინს. კონფერენცია მოითხოვს, ბრალმდებლებისაგან, ეცადონ, რომ მთელ მსოფლიოში შრომის პირველი რესპუბლიკის ინტერესების მოღალატენი სასტიკად იქნან დასჯილნი. (ადს).

კომპოზიტორ სპენდიაროვის დაკრძალვის წესი

ერევანი, 15 მაისი. სპენდიაროვის დამკრძალავმა კომისიამ შეიმუშავა კომპოზიტორის ნეშთის დაკრძალვის წესრიგი. 16 მაისს დღის 4 საათზე სპენდიაროვის ნეშთს ყველა პროფკავშირთა კოლექტივების ორკესტრების თანხლებით ანატომიკუმიდან გადაიტანენ კულტურის სახლში, სადაც საზოგადოება დამშვიდობება სპენდიაროვის კუბოსთან. შეუწყვეტლად დაუკრავს აღმოსავლური და სიმფონიური კონცერტი. 17 მაისს დღის 4 საათზე კულტურის სახლის დიდ დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი, სახელმწიფო კონსერვატორიის და სპენდიაროვის სახელობის აღმოსავლურ კვარტეტების მონაწილეობით. 5 საათზე პროფკავშირთა ორკესტრების თანხლებით კუბოს გადაიტანენ მოედანზე, სადაც მეორე სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, მოხდება დაკრძალვა. კულტურის სახლი და დაკრძალვის ადგილი მორთულია სახალხო არქიტექტორ თამანიანის, სახალხო მხატვარ სარიანის და მხატვარ არაქელიანისა და არუნიანის მიერ. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) [illegible] საკონტრ. კომისიის პლენუმი

საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირება ამიერ-კავკასიაში

ამხ. ვარდანიანის მოხსენება

მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის სრულიად ნათელია დირექტივა საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირების შესახებ, ამიტომ მის განმარტებას მე არ გამოუდგები, ვიტყვი მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიშით 20 პროცენტიანმა შემცირებამ ჩვენ უნდა მოგვცეს 300 მილიონი მანეთის ეკონომია.

მე-15 ყრილობის დადგენილებამ და მთავრობის კანონმა პირველ რიგში დაგვისახეს ყველა სამეურნეო, სახელმწიფო, საკრედიტო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვის შემცირების ამოცანა. ეს იყო მუშაობის პირველი სტადია. მთელ სამეურნეო და სახელმწიფო აპარატის შემცირებასთან ერთად ჩვენ მოვახდინეთ ხარჯთაღრიცხვათა შემცირებაც. ის ციფრები, თქვენ რომ დღეს უნდა მოგახსენოთ, მაჩვენებელი იქნება ჯერ-ჯერობით მხოლოდ სახარჯთაღრიცხვო ეკონომიისა, იმ ეკონომიისა, რომელიც ჯერ მხოლოდ ქაღალდზეა. რეალური ეკონომიის შესახებ, იმის შესახებ, თუ რამდენად მოვახერხებთ სახარჯთაღრიცხვო ეკონომიის განხორციელებას, ჩვენ შეგვეძლია ვილაპარაკოთ მას შემდეგ, როცა მოვახდენთ ფაქტიურ შემოწმებას, რომელიც ამ.-კავკ. უკვე 17 აპრილიდან დაიწყო. მხოლოდ ივნისის დამლევისათვის გვექნება ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ფაქტიური ხარჯების 20 პროცენტიანი შემცირება წლის პირველ ნახევარში. ეს იქნება ჩვენი მუშაობის მეორე სტადია. მესამე სტადია:—მას შემდეგ, რაც დამთავრდება სამეურნეო წელიწადი, ჩვენ მოვახდენთ გენერალურ შემოწმებას, და შემდეგ მოგახსენებთ, გამოვკვლევთ თუ არა ჩვენს სახელმწიფო აპარატს ნავარაუდევი 300 მილიონი მანეთი.

ხარჯთაღრიცხვის შემცირების დროს ჩვენ არ ვჯერდებოდით მხოლოდ 20 პროცენტს, არამედ ვცდილობდით, სადაც კი მოგვეხერხებოდა, მეტადრე სამეურნეო აპარატში, ამ მინიმუმზე მეტი შემცირება მოგვეხდინა; ზოგიერთ ადგილას ჩვენ მივაღწიეთ შემცირებას 25—30 და კიდევ მეტი პროცენტით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხარჯთაღრიცხვათა შემცირების შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებში დიდათ განსხვავდება იმ შემოწმებისაგან, რომელიც სწარმოებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებში. სახელმწიფო ბიუჯეტიანი დაწესებულებების შემცირება გაცილებით უფრო ადვილი იყო: ჩვენ გვაქვს ფინანსთა სახ. კომისარიატი, გვაქვს სახელმწიფო ხაზინა და შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვანი. აქ შემცირება შეიძლება მოგვეხდინა უფრო მექანიკურად, ამისათვის საკმაოა თვით ფინანსთა სახ. კომისარიატის აპარატს ჩამოვაჭრათ კუთვნილი 20 პროცენტი ბიუჯეტის გატარების დროს. სამეურნეო ორგანიზაციებში კი მუშაობა, რასაკვირველია, ცოტა სხვანაირად მიიმართებოდა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენ კიდევ შარშანდლამდე (ამას ვერ უარჰყოფენ სამეურნეო მუშაკნი) არამც თუ არ გაგვჩნდა სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა,—რაც დღევანდლამდე არა გვაქვს,—ჩვენ ხარჯთაღრიცხვებიც კი არ გვქონდა დაწესებულებებში და თუ გვქონდა, ისიც სრულიად არარეალური და ჩამოუყალიბებელი. ჩვენ ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ მხარეს—სახარჯთაღრიცხვო დისციპლინას.

ახლა ვნახოთ თუ რას გვიჩვენებს სახელმწიფო ბიუჯეტი? უნდა ვსთქვა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გარშემო დიდი დავა გვქონდა; ფაქტიურად 20 პროცენტიანი შემცირება ჩვენ აქ მოვახდინეთ არა მიმდინარე სამეურნეო წლის 1 ოქტომბრიდან, როგორც ამას დირექტივა მოითხოვდა, არამედ 5 თვის შემდეგ.

ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ორგანიზაციებში შარშან, 1926—27 წელს საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები საშუალოდ უდრიდა 7.180.000 მანეთს. წელს კი უკვე შემცირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უდრის 5.790.000 მანეთს. ამგვარად, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტიან დაწესებულებებში 20 პროცენტიანი შემცირება ჩვენ განვახორციელეთ 19,3 პროცენტით. ეკონომიის ეს 19,3 პროცენტი, აბსოლუტური ციფრებით, რომ გამოვხატოთ, შეადგენს 1.390.000 მანეთს.

საქართველოში შარშან საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები უდრიდა 3.203.000 მანეთს; წელს ეს ხარჯები შემცირებულია—2.603.000 მანეთამდე. საქართველომ 20 პროცენტიანი შემცირების ნაცვლად მოგვცა 18,7 პროცენტიანი შემცირება, რაც 600.000 მანეთს უდრის.

აზერბეიჯანს შარშან 2.669.000 მანეთის ხარჯები ჰქონდა, წელს—2.044.000 მანეთი. პროცენტულად აზერბეიჯანმა ყველაზე მეტი შემცირება მოახდინა—23.3 პროცენტით, რაც უდრის 625.000 მანეთს.

სომხეთს შარშან 1.211.000 მანეთის ხარჯები ჰქონდა; 1927—28 წელს—973.000 მანეთი; შემცირება გამოიხატება 19,7 პროცენტით ანუ 238.000 მანეთით.

ამგვარად, ამიერ-კავკასიაში გასულ წელს მთელი საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები უდრიდა 14.263.000 მანეთს. მიმდინარე წელს ეს ხარჯები შემცირებულია 11.410.000 მანეთამდე, ბიუჯეტით 20 პროცენტიანი შემცირება ზედმიწევნით არის შესრულებული, ეკონომია შეადგენს 2.853.000 მანეთს.

რას გვიჩვენებს ადგილობრივი ბიუჯეტი? მე აქ მოვიყვან ზოგად ციფრებს. ადგილობრივ ბიუჯეტში შემცირება მოვახდინეთ 20 პროცენტის ნაცვლად 25 პროცენტით. საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები მთელ ამიერ-კავკასიაში უდრიდა 5.883.000 მანეთს, წელს კი—4.410.000 მანეთს, ეს გვაძლევს 25 პროცენტის ეკონომიას ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით, ანუ 1.473.000 მანეთს.

ჩვენ ხელუხლებლად დავტოვეთ სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები, რადგან იქ მეტად უმნიშვნელო თანხები იხარჯება. აზერბეიჯანის სასოფლო საბჭო მთელი წლის განმავლობაში 764 მანეთს ხარჯავს, სომხეთისა—478 მანეთს, საქართველოსი—868 მანეთს. რაიონების დაყოფისა და დაირების გამაგრების შემდეგ აზერბეიჯანის ქვედა ბიუჯეტში მივიღეთ 197.000 მანეთის ეკონომია.

გადავდივარ სხვა ორგანიზაციებზე. შევეხოთ, პირველ ყოვლისა, ბანკებს, საკრედიტო ორგანიზაციებს. აქ შემდეგ სურათს ვხედავთ: 1926—27 წელს ამიერ-კავკ. ყველა საბანკო ორგანიზაციების დამოკიდებული ხარჯები უდრიდა 2.535.000 მანეთს, ხოლო 1927—28 წელს უკვე შემცირებულ ხარჯთაღრიცხვათა მიხედვით—1.990.000 მანეთს. ამგვარად, ამიერ-კავკ. საბანკო სისტემაში 20 პროცენტიანი შემცირების ნაცვლად გატარებულია 21,5 პროცენტიანი შემცირება. ამ წლის განმავლობაში შემცირებამ უნდა მოგვცეს 545.000 მანეთის რეალური ეკონომია.

რესპუბლიკების მიხედვით ბანკები შემდეგ სურათს გვაძლევს: ამიერ-კავკ. ხარჯები შემცირებულია 21,5 პროცენტით, საქართველოში—21,8 პროცენტით, აზერბეიჯანში—20,2 პროცენტით, სომხეთში—26,6 პროცენტით.

საქართველოს მრეწველობაში 1926—27 წელს დამოკიდებული საადმინისტრაციო სამმართველო ხარჯები უდრიდა 3.192.000 მანეთს, წელს კი—2.427.000 მანეთს; ეკონომია—765.000 მანეთს. აქ ჩვენ ვხედავთ 20 პროცენტის ეკონომიის ნაცვლად 24 პროცენტს ეკონომიას. აზერბეიჯანის ხარჯები შარშან უდრიდა 3.110.000 მანეთს, წელს კი—2.476.000 მანეთს; ეკონომია—634.000 მანეთს ანუ 20,4 პროცენტს „უაზნავთოდ"; სომხეთის მრეწველობაში შარშან ხარჯები უდრიდა 452.000 მანეთს, წელს კი—394.000 მანეთს, ე. ი. აქ 58.000 მანეთის ეკონომიაა ანუ 20 პროცენტის ნაცვლად 12,9 პროცენტი. სულ რესპუბლიკის მრეწველობაში შარშან დამოკიდებული ხარჯები უდრიდა 6.754.000 მანეთს, წელს კი—5.297.000 მანეთს. მთელი ეკონომია შეადგენს 1.457.000 მანეთს, დირექტივა შესრულებულია 21,6 პროცენტით.

ამიერ-კავკ. ადგილობრივი მრეწველობა შემდეგ სურათს გვიჩვენებს. ამიერ-კავკასიამ შარშან დახარჯა 1.306.000 მანეთი, წელს კი—1.083.000, აქ 20 პროცენტიანი ეკონომია 223.000 მანეთში გამოიხატება. 20 პროცენტის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ხარჯების 17 პროცენტიან შემცირებას.

ამგვარად, სახელმწიფო და ადგილობრივი მრეწველობის საერთო ეკონომია შეადგენს—1.680.000 მანეთს.

ამიერ-კავკ. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ყველა დამოკიდებული ხარჯები შარშან უდრიდა 7 მილიონ 495 ათას მანეთს, წელს კი—5.829.000 მანეთს. სახელმწიფო ვაჭრობაში ჩვენ უნდა გვქონდეს 1.666.000 მანეთის ეკონომია, რაც შეადგენს 22,3 პროცენტს.

კოოპერაციაში 20 პროცენტიანი შემცირების შესახებ ჩვენ პირველად სულ სხვადასხვანაირი მითითება გვქონდა და კოოპერაციის მიმართ იძულებული ვიყავით ორჯერ-სამჯერ ხელახლა დაგვეწყო მუშაობა. კერძოთ დავა იყო ბრუნვათა ზრდის აღრიცხვის შესახებ. შემდეგ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ შარშან, როდესაც ფასების დაკლების კამპანია სწარმოებდა, უკვე შემცირდა კოოპერაციის [illegible] სავაჭრო ხარჯები; ამიტომ აქ გადავეყარეთ [illegible] სხვადასხვა სიძნელეს და კოოპერაციამაც ვერ [illegible] აღასრულა 20 პროცენტიანი შემცირება. [illegible] ასეთია: სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ, რომელსაც აერთიანებს „ზაკსოიუზი", 1926—27 წელს გაადიდა ბრუნვები 27,5 პროცენტით. ხარჯების შემცირებამ უნდა მოგვცეს 390.000 მანეთი; 20 პროცენტიანი შემცირების მაგიერ ჩვენ ვხედავთ სულ 13,3 პროცენტიან შემცირებას.

ჩვენ დაგვრჩა კიდევ რამოდენიმე ორგანიზაცია, ავიღოთ, მაგალითად, ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტო. ეს არის ნახევრად სამეურნეო, ნახევრად სახელმწიფო ბიუჯეტიანი ორგანიზაცია. შემდეგ ჩვენ გვაქვს საქონლისა და ფონდის ბირჟა, ორგანიზაცია, რომელსაც ვერც ერთ ჯგუფს ვერ მივაკუთვნებთ, აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევა.

ამ ორგანიზაციებმა დირექტივა 20,6 პროც. შეასრულეს, ეკონომია მოგვცეს 109.000 მან.

ბოლოს ტრანსპორტი. ამ დარგში ჩვენ ცნობები გვაქვს მხოლოდ რკინის გზების ცენტრალური სამმართველოს შესახებ.

ამიერ-კავკ. რკინისგზათა ცენტრალურმა სამმართველომ წელს მოგვცა 515.000 მანეთის ეკონომია, რაც შეადგენს შემცირების 20,1 პროცენტს გასული წლის ხარჯებთან შედარებით.

სულ 20 პროცენტიანმა შემცირებამ მთელ ამიერ-კავკასიაში უნდა მოგვცეს 9.698.000 მანეთი, ე. ი. 20,9 პროცენტი, სხვანაირად რომ ვსთქვათ, დირექტივა მის პირველ სტადიაში შესრულებულად უნდა ჩავთვალოთ. ეს „უაზნავთოთ". „აზნავთმა" მოგვცა წელს 1.627.000 მანეთის ეკონომია ანუ 14,6 პროცენტი. სულ „აზნავთთან" ერთად ჩვენ გვაქვს 11.325.000 მანეთის სახარჯთაღრიცხვო ეკონომია. „აზნავთიანად" დირექტივა შესრულებულია მხოლოდ 19,6 პროცენტით.

ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა შემცირება მოახდინეს უფრო წვრილი ხარჯების შემოკლების საშუალებით და არა ხელფასის ფონდის ძირითადი მუხლის ხარჯზე, როგორც ამაზე დირექტივა მიგვითითებდა. ეს გარემოება ძალიან ცუდ გარანტიას წარმოადგენს შემცირების რეალური განხორციელებისათვის.

მე უნდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხებზე, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია წარსულ შემოწმებასთან და რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, რაც მომავალში უნდა გავაკეთოთ. პირველ ყოვლისა, მე უნდა ვსთქვა, რომ როგორც ყოველ ჩვენს მუშაობაში, ისე აქაც ჩვენ გადაგვეღობა ერთი მოვლენა, რომელსაც, ალბად, კიდევ დიდხანს ვერ მოვიშორებთ,—ეს არის ჩვენი აპარატების წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა არსებობდა ხარჯთაღრიცხვის შემოწმების დროს, არსებობს ახლაც—ფაქტიური შემოწმების დროს.

მოვიყვანოთ ამ წინააღმდეგობის რამდენიმე მაგალითი. ბანკებმა რომ დირექტივა მიიღეს, თავდაპირველად თავისი ხარჯები თვითონვე შეამცირეს 20 პროცენტის მაგიერ სულ 8,1 პროცენტით. როდესაც მათ ანგარიში მოვთხოვეთ, ამ ორგანიზაციებმა თხოვნა-მუდარით მოგვმართეს და დაიწყეს წუწუნით მტკიცება, რომ 8 პროცენტზე მეტად შემცირება არ შეიძლება და თუ 8 პროც. მეტად შევამცირებთ, მთელი საბანკო სისტემა განადგურდება ამიერ-კავკასიაში. ისინი შემცირების შედეგად 62.000 მანეთს გვაძლევდნენ. მაგრამ როცა ჩვენ ჩვენის მაკრატლით გვერდით მოუჯექით საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, შემცირება ავიყვანეთ 21,3 პროცენტამდე. მაინც ჯერ-ჯერობით არც ერთი ბანკი არ განადგურებულა; 62.000 მანეთის მაგიერ, ჩვენ მოვახერხეთ 152.000 მანეთის ეკონომია.

თითქმის ასეთსავე მდგომარეობაშია ამიერ-კავკასიის სავაჭრო ორგანიზაციები.

ჩვენს მუშაობას, კერძოდ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას მხოლოდ თბილისში, ის მოჰყვა, რომ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებმა, ჩვენი ზედმოქმედების შემდეგ, მოგვცეს 194.000 მანეთის ეკონომია.

ეხლა შევჩერდები სხვა დეფექტებზე. მე სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ დირექტივა ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ უმეტეს ნაწილად სრულდება მექანიკურად, რაციონალიზაცია ჯერ-ჯერობით არ სჩანს. ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როცა ეშინიათ რაციონალიზაციაზე დახარჯონ ზედმეტი 200—300 მანეთი, აქ დიდ მომჭირნეობას იჩენენ, სრულებით ტყუილ უბრალოდ კი ხარჯავენ ათი ათასობით.

კიდევ ერთი ნაკლულოვანება, რომელიც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ ჩვენი პრესა სუსტად გამოეხმაურა ხარჯების 20 პროცენტით შემცირებას.

გადავდივარ რა ჩემი მოხსენების უკანასკნელ ნაწილზე, მე უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ეხლა ვიწყებთ მუშაობას იმისათვის, რომ ხარჯთაღრიცხვის ციფრები, ხარჯთაღრიცხვის ეკონომია გადავაქციოთ რეალურ ეკონომიად. ეს ყველაზე უფრო ძნელი და მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ეს ამოცანა დაკავშირებულია ხარჯთაღრიცხვის დისციპლინასთან, [illegible] სერიოზული ყურადღება მივაქციოთ ამ საკითხს.

დირექტივის შესრულების შესამოწმებელ მუშაობაში მუშათა და ინსპექციის ორგანოებთან ერთად ჩაბმულ უნდა იქნან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, საფინანსო-საკონტროლო სამმართველო, ვაჭრობის სახ. კომისარიატი და სინდიკატების ბიურო. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში დირექტივის შესრულების ფაქტიური კონტროლი უნდა დაეკისროს ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს.

20 პროცენტიანმა შემცირებამ ხელი უნდა შეუწყოს ბიუროკრატიზმთან ბრძოლასაც. ამ მხრივ ჯერ ჯერობით ძალიან ცოტა რამ გავაკეთეთ.

ჩვენ ეხლა უნდა გავაფართოვოთ ბრძოლა ამ 20 პროცენტისათვის, ვინაიდან შემდეგ გვიან იქნება, რადგან უკვე გავიდა 6 თვე. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ რეალურ მომჭირნეობას,— აღნიშნული 10 მილიონი უნდა გადავაქციოთ რეალურ 10 მილიონად ამიერ-კავკასიაში, ხოლო მთელ კავშირში—300 მილიონად.

ამგვარად ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ძირითად დირექტივას.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

როცა ჩვენ პირველათ მივიღეთ მოკლე დეპეშა ქუთაისიდან იმის შესახებ, რომ იქ გაჩნდა ხანძარი, ჩვენ ამ ცნობას არ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ვფიქრობდით, რომ ხანძარი მალე იქნებოდა ჩაქრობილი.

ხოლო როცა რამოდენიმე საათის შემდეგ მოვიდა ცნობა, რომ ხანძარი არამც თუ არ არის ჩაქრობილი, არამედ ძლიერდება და განაგრძობს უბნების განადგურებას, მაშინ აშკარა გახდა ქუთაისის ხანძარის საშიში და სტიქიური ხასიათი. ხანძარი არაჩვეულებრივად დიდ ხანს გაგრძელდა—10-დან 15 საათამდე. რატომ მოხდა ეს? ჩვენი ჩამორჩენილობისა და უკულტურობის გამო. ქუთაისში აქამდის არ არის წყალსადენი, არ აღმოჩნდა საკმაო წყალი, წყალს ეზიდებოდენ ბოჭკებით, ხოლო ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა ხანძრის სწრაფი ლიკვიდაცია. ქალაქ ქუთაისის ძველი „მამები" მეფის და მენშევიკურ რეჟიმის დროს ყველაფერზე ზრუნავდენ, ხოლო „წვრილმანი"—წყალსადენი —დაავიწყდათ, და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინად—საბჭოთა ხელისუფლების დროს—რეალურად იქნა დასმული და დადებითად გადაიჭრა საკითხი წყალსადენის გაყვანის შესახებ და ქუთაისელების ეს ძველი ოცნება განხორციელდება. წყალსადენი აგებულ იქნება. ის დაჯდება სულ 1.800.000 მანეთი. წყალსადენის უქონლობის გამო ხანძრისაგან მიყენებული ზარალი კი 5 მილ. მანეთამდე აღწევს.

ვინ დაზარალდა ამ ხანძრისაგან? ქალაქის ყველაზე უფრო ღარიბი ნაწილი, ნახევრად შიშველ-ტიტველი და მშიერი, მტვერში და ტალახში მცხოვრები ებრაელების უბანი. დაიწვა ქოხები და არა მარტო ქოხები, არამედ დიდი სახლებიც, დაიწვა ქალები, დაიწვა ბავშვები. შვიდასამდე ოჯახი უსახლკაროთ და ულუკმა პუროთ დარჩა. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა დააბინაოს და გამოჰკვებოს ისინი, უნდა დაუყოვნებლივ გაუწიოს მათ ყოველმხრივ დახმარება. ამიტომ ამ ჟამად პარტიისა და ქვეყნის და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მიმართული უნდა იქნეს აქეთკენ და მახლობელ პერიოდისათვის ჩვენი ლოზუნგი გახდეს:

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს!

მ. კახიანი.

განსაცდელის დღეები

წერილი ქუთაისიდან

დილის 11 საათზე მთელ ქუთაისში გავრცელდა ხმა ებრაელების უბანში ხანძრის გაჩენის შესახებ. ახმაურდა ქარხნების საყვირი. დიდი და პატარა ყველა გარბის გზა-კვალ აბნეული. თით ქუჩას მოსდებია ხანძარი, ძლიერი ქარი ჰქრის. ყველა ფეხზე სდგას. დაბომულია ნერვები, გაისმის წივილ-კივილი და ჟრიამული. სახლები იწვება. ავეჯეულობა ზოგი იწვება, ზოგი იკარგება და ზოგი იმტვრევა.

წითელი არმიის ნაწილები და მილიცია ეხმარებიან ხანძრის მქრობელ რაზმს, სცლიან სახლებს, იცავენ წესრიგს. მუშა-მოსამსახურეებიც მათთან არიან. გონება დაკარგული ხალხი ერთმანეთს შესტირის. დედა შვილს ეძებს, შვილი მამას და ძმა დას. აგერ ქუჩაში ქალს გული შეუწუხდა; წყალით ძლივს ვაბრუნებთ, თურმე საცოდავს შვილი დახწვია. აგერ პატარა ბავშვი გაფითრებული თვალებ მიბნედილი ძველ დახეულ ბალიშზე ქუჩაში აგდია უგრძნობლად, ეტყობა დედას გამოუყვანია და თვით კი ან სხვა შვილს ეძებს, ან ავეჯეულობა უნდა გადაარჩინოს. გაშმაგებული ბრძოლაა, იბრძვის ორი ძალა—ხანძარი და ქუთაისის ცეცხლის მქრობელი რაზმი ამხ. ქეჭუას ხელმძღვანელობით. ხანძრის სწრაფ გაჩაღებას ხელს უწყობს ძლიერი ქარი; რაზმელებს კი ყველა: წითელ-არმიელი, მილიცია, ქარხნის მუშა, მოსამსახურე და სხვა.. მაგრამ ჯერ-ჯერობით შუადღის 2 საათზე გამარჯვება ხანძრის მხარეზეა. საშინლად დაიქანცნენ ქუთაისის რაზმელები, შემცვლელი არსაიდან სჩანს. ხალხში შემზარავი ზმუილი და ჩოჩქოლია, ყველა სტირის, ყველას სახეზე საშინელებას ჰკითხულობ, მხოლოდ იღიმება ის, ვისაც ზეგრეჯერ გაუღიმია მშრომელი ხალხის დაკოჟრებულ ხელებით მონაპოვარზე; იღიმება აგრეთვე ისიც, რომელიც სულით ბოროტია და მხოლოდ იმას ფიქრობს, თუ როგორ ააგოს თავის ბედნიერება სხვის უბედურებაზე; აი კიდეც გამოჩნდა ქუჩაში გარეწარი საკერი მანქანით იღლიაში და სხვადასხვა ნივთებით ხელში, რომელიც მილიციას დაპატიმრებული მოჰყავს ჯაჭვის ხიდიდან, როგორც ქურდი. ხალხი შფოთობს მოჰკალით—დაფლითეთ და სხვა...

წითელი ჯვრის რაზმიც ამხ. ყოხინაშვილის ხელმძღვანელობით სხვას არ რჩება უკან: სისწრაფით მიჰყავთ სატარებელ ლოგინებით დამწვარ-დასახიჩრებულნი საავადმყოფოში.

მფრინავი აფთიაქიც აწვდის პირველ მოთხოვნილებითი წამლებს დაზარალებულებს.

მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე (ყოფ. თბილისის) ერთ-ერთ კონდიტერში ებრაელის ფეხმძიმე ქალი რჩება.

ერთ ებრაელის ოჯახს, როდესაც ხანძარი გაუჩნდა (მამაკაცი სახლში არ იყო) დიასახლისს ერთი შკაფი უნდა გადაერჩინა, რომელშიაც მას ჰქონდა მოთავსებული მისი ავლადიდება, ეხვეწება ერთს მუშას შკაფის გამოტანას, ხანძარი სახლს ირგვლივ ედება, მუშას შკაფი გამოაქვს, შკაფში ქალი ერთ ბავშს აჯენს, მეორე მას თან მოჰყავს და ახწრებს მუშას, ამ დროს მუშას ცეცხლი ეღობება წინ, შეშინებული ხელიდან აგდებს შკაფს და თავს შველის. შკაფი ბავშვით იწვება; საშინელი სურათია, დედა თმას იგლეჯს, უნდა ხანძარში შევარდეს და შვილს უშველოს, მაგრამ არ უშვებენ.

ქუთ.. ცეცხლის მქრობელ რაზმს მოეშველა ფოთის, სამტრედიის, რიონის და ზესტაფონის რაზმები. გაჩაღებული ბრძოლაა, მაგრამ ცეცხლი ქარის დახმარებით განაგრძობს სახლიდან სახლზე გადასვლას. ხალხი ელის შველას თბილისიდან და ბათომიდან, ამათზე ამყარებენ იმედებს. ერთმანეთს ეკითხებიან: „როდის იქნება ნეტავი თბილისის და ბათომის რაზმები. ერთი ამბობს—3 საათში, მეორე—5 საათში და ზოგი კი—თბილისიდან არ ჩამოდიან, მათ არ შეუძლიან დაგვეხმარონ, რადგან მათი „შლანგები—ნასხები" წყალსადენის მილზეა მოწყობილი"-ო და სხვა...

4 საათია, მე-3 ინტერნაციონალის ქუჩა სავსეა ხალხით, ელიან სტუმართ—მშველელთ, ჰა კიდეც გამოჩნდა ბათომის რაზმი თავის მშვენიერ მოწყობილობით (გრძელი შლანგები). ბათომის რაზმი ეკვეთა გამძვინვარებულ ხანძარს და თუ ქუთაისი—ფოთი—სამტრედია—რიონი—ზესტაფონის რაზმები მდინარე რიონიდან კასრებით მიეზიდებოდნენ წყალს, ჩვენ ვხედავთ, რომ ბათომის რაზმი უშუალოთ „შლანგებით" რიონიდან ეზიდებიან წყალს, ასე გეგონებათ 3 საათში რიონი ამოშრესო.

ბათომის რაზმმა შესცვალა დროებით სხვა დაქანცული რაზმები. ხალხი გაიძახის: გვიშველა ბათომის რაზმმა-ო, მაგრამ ქარი კვლავ ძლიერდება, შიშიანობაა.

ადგილობრივი ხელისუფლება ყოველგვარ ღონეს ხმარობს დამწვარ-გაქცეულ ოჯახთა წევრების დახმარებისათვის. ტროცკის ქუჩაზე გამოჩნდება აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლვამიჩავა და პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კეკელია, რომლებსაც ყველა შესცქერის და შველას თხოვენ. ყოველი მოქალაქე მათ სახეზე ჰკითხულობს მწუხარებას და გრძნობს მათ მდგომარეობას.

აი აგერ ქუჩაში გამოჩნდება „მეტაჩკეები" პურით სავსე, რომელიც ყველას უფასოთ ურიგდება. აი კომისიაც, რომელიც ქუჩებში გახიზნულ ხალხს ათავსებს თავისუფალ დარბაზში და შენობებში. აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულებით ავეჯს და ხალხს ეზიდებიან მობილიზაციაქმნილი „მეტაჩკეები", მეეტლეები, [illegible] ლები და მუშები, [illegible] მათ საფასური.

ღამის 2 საათია, ქარი ნელდება, ჩამოდის თბილისის რაზმი. ბათომის და თბილისის რაზმები გაშმაგებით მუშაობენ მთელი ღამე.

11 მაისს, დილის 6 საათზე ცეცხლი აქა-იქ ცოტ-ცოტა ლუღლუღებს. აღმასკომის მიერ სწარმოებს სასწრაფო და გეგმიანი მუშაობა, გამოყოფილია 3 კომისია: სარეგისტრაციო, ბინაზე მომწყობი და დამხმარე.

როგორც გამოირკვა ხანძარი გაჩენილია ერთ ებრაელის ოჯახში, რომლის სარდაფში კონფეტს ადუღებდენ.

დამწვარია შაუმიანის, ჯაფარიძის, მე-3 ინტერნაციონალის და ტროცკის ქუჩებზე 320-მდე შენობა (ათასამდე კომლი), ამის გარდა დაცლილია 400-მდე სახლი, დამწვარია 20-დე ადამიანი.

ორგანიზაციები შეუდგენ დახმარების მოგროვებას.

მიშოკ.

როგორ ვებრძოდით ხანძარს

ქუთაისიდან დაბრუნდა ა.-კ. რკინის გზების სახანძრო ნაწილის უფროსი ამხ. კილჩევსკი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა დაწვრილებითი ცნობები იქ მომხდარ ხანძრისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

ხანძრის გაჩენის დროს ამხ. კილჩევსკი შორაპანში იყო. მიიღო რა თხოვნა დახმარების შესახებ, მან მაშინვე შეკრიბა შორაპნის რკინის გზის სახანძრო გუნდი, გაიარა ზესტაფონში და წაიყვანა იქაური ქალაქის სახანძრო რაზმი და რკინის გზის სახანძრო გუნდი და ჩავიდა ქუთაისში ერთ საათში და 20 წუთში.

15 წუთით ადრე ჩასულიყო სადგ. სამტრედიის გუნდი.

— ჩასვლის დროს—ამბობს ამხ. კილჩევსკი, ხანძარი გამძვინვარებული იყო. პანიკა მოცული მცხოვრებლები ცეცხლის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებდენ, ხოლო ცეცხლის ჩაქრობაზე მომუშავე ქუთაისის რაზმი და რკინის გზის გუნდი უწყლობისა, ძლიერი ქარისა და საჭირო ხელსაწყოების უქონლობის გამო უძლური აღმოჩნდა სტიქიასთან ბრძოლაში.

ამ დროისათვის უკვე დამწვარი იყო ქალაქის ნაწილი მდ. რიონსა და ჯაფარიძის ქუჩის შორის და ცეცხლი გადადიოდა ბაზრისა და ქალაქის ბაღისკენ.

ადგილობრივ შექმნილ საგანგებო ხუთეულის განკარგულებით, ხანძრის ქრობის ხელმძღვანელობა დამეკისრა მე და მთელი ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იქნა იქითკენ, რომ ცეცხლი არ გადასულიყო ახალ უბნებზე. ამისათვის ვანგრევდით ხის შენობებს და სადაც შესაძლებელი იყო ცეცხლზე ვასხამდით წყალს.

საღამოს ხუთი საათისათვის მეხანძრე გუნდების, სამხედრო ნაწილების, მუშების და რიონჰესის და ქალაქის საბჭოს ტეხნიკურ პერსონალის თავდადებული მუშაობით შესაძლებელი გახდა ცეცხლის მომწყვდევა იმ რაიონში, რომელიც მან მოიცვა მეხანძრე ორგანიზაციების მისვლამდე.

საღამოს 5 საათის შემდეგ ჩამოვიდნენ ქალაქის რაზმები და რკინის გზის გუნდები ხაშურიდან და ქიათურიდან. მათ მოყვენ ფოთის ნავთსადგურის და ქალაქის მეხანძრეთა რაზმები. საღამოს 7 საათზე ბათომიდან ჩამოვიდენ ძლიერი სახანძრო საშუალებებით აღჭურვილი ნავთის სინდიკატის, ქალაქის და მოხალისეების მეხანძრე რაზმები.

ხაშურის, ქიათურის და ფოთის რაზმები უშუალოდ ჩაებენ ხანძართან ბრძოლაში, ხოლო ბათომიდან ჩამოსული რაზმები გაიგზავნენ სამუშაოდ ცეცხლის ზურგში, სადაც შეუდგენ გადარჩენილ შენობების დაცვას. ამით შესაძლებელი გახდა ზოგიერთ შენობების გადარჩენა ხანძრის ზონაში.

გზაში დაგვიანების გამო თბილისის მეხანძრეთა რაზმი ჩამოვიდა იმ დროს, როდესაც ცეცხლი თითქმის უკვე ჩაქრობილი იყო; მხოლოდ ხღვრიალებოდა და საბოლოოდ იწოდა შენობების ხის ნაწილები.

ცეცხლის გავრცელების მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს: შენობების სიმჭიდროვე, წყალსადენის უქონლობა და ადგილობრივ მეხანძრეთა რაზმის ტეხნიკურ საშუალებათა სიღარიბე. ამასთანავე ცეცხლის სწრაფად გავრცელებას ძალზე უწყობდა ხელს ძლიერი ქარი.

აღსანიშნავია, რომ ცეცხლის ქრობის პროცესში მრავალი მეხანძრე შეირუჯა, ზოგიერთს დაუზიანდა თვალები.

დახმარება ქუთაისს

გამოხმაურება

მწერლები ეხმარებიან ცეცხლისაგან დაზარალებულთ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის მცხოვრებთათვის დახმარების გასაწევად დაარსა კომიტეტი გრ. **რობაქიძის** თავმჯდომარეობით. კომიტეტში წევრებათ შედიან: **პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ს. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, ბესარიონ ჟღენტი, ბენიტო ბუაჩიძე და ს. ამაღლობელი.**

კომიტეტი ახლო ხანში გამართავს დიდ საღამო-კონცერტს, რომლიდანაც შემოსული თანხა მთლიანად გადაიდება ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

კომიტეტს აგრეთვე განზრახვა აქვს ამავე მიზნით გამოსცეს სპეციალური კრებული, რომელიც გავრცელებული იქნება თვითონ მწერლების მიერ მთელ საქართველოში.

—:—

ცნობების მიღებისთანავე ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების გამო საქ. მემის გამგეობამ მოიწვია საგანგებო სხდომა, რომელმაც გამოყო დაზარალებულთათვის დახმარების აღმომჩენი კომისია, შემდგარი 17 კაცისაგან. იმავე სხდომაზე გამგეობამ გადასდო დაზარალებულთათვის თავისი ფონდის ოცდახუთი პროცენტი. ახლად გამოყოფილ კომისიის ინიციატივით გუშინ მოწვეულ იქნა საქ. მემის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც შეგროვილი იქნა 600 მ. ფულად, მრავალი სხვადასხვა ნივთები. კრებამ ქუთაისის აღმასკომს და მთავრობის კომისიას გაუგზავნა თანაგრძნობის დეპეშა და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

გამოყოფილ კომისიას მიზნად აქვს დახმარების შეწირულებათა შეკრების ფართოდ გაშლა.

შ. ბენიაშვილი.

—:—

ორი დღის განმავლობაში (12—14 მაისი) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა სამმართველოს საფინანსო განყოფილებამ ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მიიღო 7.000 მანეთი, რომლის უმეტესი ნაწილი შეგროვილ იქნა ადგილობრივი გაზეთების რედაქციების მიერ.

დაზარალებულთა სასარგებლოდ საკმაოდ დიდი თანხა ჯერ-ჯერობით გადასდო თბილისის ქალაქის საბჭომ (20.000 მანეთი) და საქართველოს პროფსაბჭომ (2.000 მანეთი).

რეიხსტაგის არჩევნების წინ

(წერილი ბერლინიდან)

ბურჟუაზიული პარტიების და ახალი რეიხსტაგის არჩევნები 20 მაისს მოხდება. ამასთან ერთად ჩატარდება პრუსიის, ბავარიის, ვიურტემბერგის, ოლდენბურგის და ბადენის ლანდტაგის არჩევნები. შესაძლებელია არჩევნები მოხდეს საქსონიის ლანდტაგშიაც; ამის შესახებ ჯერ ნამდვილი ცნობები არ გამოქვეყნებულა.

რეიხსტაგის ნაადრევი დათხოვნა და არჩევნების 20 მაისისათვის დანიშვნა გამოწვეულია მომავალ შემოდგომაზე ეკონომიური კრიზისის შესაძლებლობით, ლოკარნოს პოლიტიკის ნიადაგზე შექმნილი სიძნელეებით და კაპიტალის მისწრაფებით, არჩევნები გამოიყენოს მუშათა კლასზე შეტევის გასაძლიერებლად.

გერმანიის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ხასიათდება 1927 წ. მაღალი კონიუნქტურის დასუსტებით. უმუშევართა 2 მილიონიანი არმიის არსებობა აღარ აიხსნება მარტოოდენ სეზონური მოვლენით, ეს არის, ერთის მხრივ, საქვანახშირო მრეწველობის პროდუქტის გასაღების სიძნელეთა შედეგი და, მეორეს მხრივ, სხვა დარგის ინდუსტრიაში დაწყებულ კრიზისის გამოხატულება. ამჟამად შინა-ბაზრის ტევადობამ საზღვარს მიაღწია. შემდეგში გერმანიის ინდუსტრიას შეუძლია თავისი პროდუქცია განავითაროს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საშუალება მიეცემა საზღვარგარეთ საქონლის ექსპორტი გააძლიეროს. ამას თან უნდა სდევდეს კაპიტალის ექსპორტიც.

საქონლის და კაპიტალის ექსპორტი თავის მხრივ დამოკიდებულია პროდუქციის თვითღირებულებისა და კაპიტალის დაგროვების გაძლიერებისაგან. (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დღეს გერმანიის პროდუქციის თვითღირებულება მსოფლიოში ყველაზე დაბალია). გარდა ამისა, საჭიროა მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ძალთა განწყობილება გერმანიის სასარგებლოდ შეიცვალოს, ამით აიხსნება გერმანიის კაპიტალის გაძლიერებული შეტევა მუშათა კლასზე, მისი ცდა გადასინჯულ იქნეს დაუესის სარეპარაციო გეგმა, წართმეული კოლონიების უკან დაბრუნების, ნედლეულის ახალი წყაროების გაჩენის და სავაჭრო ბაზრის გაფართოების კამპანია.

საგარეო პოლიტიკის საკითხების სიძნელე გამოწვეულია ლოკარნოს ხელშეკრულებით. მოკლე მომავალში მოლაპარაკება დაიწყება საფრანგეთთან რეინის ოლქის (კელნის ზონის) საფრანგეთის ჯარებისაგან განთავისუფლების შესახებ.

მოსალოდნელია აგრეთვე დაუესის სარეპარაციო გეგმის საფუძვლიანი გადასინჯვა. ცნობებიდან, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა ამის შესახებ სჩანს, რომ უნდა გამოირკვეს გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა საბოლოო ჯამის რაოდენობა. ამის შემდეგ გამოიშვება საერთაშორისო სესხი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება გერმანიის რკინისგზებით და მრეწველობის ზოგიერთ დარგების შემოსავლით. ამ სესხის ერთი ნაწილი მიეცემა ამერიკას, რომელიც ამის სამაგიეროდ უარს იტყვის მოკავშირეთა ვალებზე; სესხის მეორე ნაწილი მიეცემა საფრანგეთს და ბელგიას, ამის გამო მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად. ინგლისი უარს იტყვის სარეპარაციო გადასახადის თავის ნაწილზე. ამით მოისპობა ტრანსფერის სისტემა, რომელიც თვით ბურჟუაზიული პარტიების მოწმობით გაკოტრებულად უნდა იქნეს აღიარებული.

რათქმა უნდა, რომ გერმანიის დღევანდელი საგარეო პოლიტიკა აშკარა იმპერიალისტურია და შტრეზემანი მისი საუკეთესო გამტარებელი. მაგრამ, მიუხედავად გერმანიის კაპიტალის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერებისა, მას მაინც ვერ შესწევს საკმარისი ძალა დამოუკიდებლივ განახორციელოს თავისი იმპერიალისტური მიზნები. ამიტომ ის ცდილობს ამ საქმეში ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტები დაიხმაროს, რაც უფრო მეტი დრო გადის და რაც უფრო მწვავდება კლასთა წინააღმდეგობანი გერმანიაში, უფრო მეტად ებმება გერმანიის ფინანსიური კაპიტალი ანტი-საბჭოთა იმპერიალისტურ ბლოკში. ამით აიხსნება გერმანიის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკების შეწყვეტა და მისი ცდა როგორმე მოურიგდეს პოლონეთს. გარდა ამისა, აქ ჩვენ ვხედავთ ინგლისის ხელს.

ამ საკითხთა კომპლექსის გადასაწყვეტად შტრეზემანს სჭირდება ფორმალურად დიდი კოალიცია, რომელშიაც გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ბელადებიც შევლენ. ვამბობ ფორმალურად, ვინაიდან სოც.-დემოკრატია, იმყოფება რა ვითომ ოპოზიციაში, ფაქტიურად მხარს უჭერდა და ახლაც მხარს უჭერს შტრეზემანის საგარეო პოლიტიკას.

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ გადავდივართ თვითეულ პოლიტიკურ პარტიების საარჩევნო ტაქტიკის აღწერაზე. დავიწყოთ სოც.-დემ. პარტიიდან.

ა. გერ. სოც. დემ. პარტია

გერმანიის რეფორმისტების მიზანია რაც შეიძლება მეტი დეპუტატი გაიყვანონ რეიხსტაგში, რომ ამით მთავრობაში მათი შეყვანა აუცილებელი გახდეს. მას უნდა ჯერ ვაიმარის კოალიცია განხორციელდეს, ე. ი. კოალიცია სახალხო (შტრეზემანის) პარტიასთან, ცენტრსა და დემოკრატებთან. მაგრამ, თუ არჩევნების შემდეგ ძალთა განწყობილება პარტიათა შორის ისეთი დარჩა, რომ აუცილებელი გახდა ნაციონალისტურ (მონარქისტულ) პარტიასთან ერთად მთავრობის შედგენა, ე. ი. დიდი კოალიცია, როგორც აქ ამბობენ, მაშინ სოც.-დემოკრატია ამაზედაც დასთანხმდება. ისინი უფრო მეტ დათმობაზეც წავლენ, ოღონდ მინისტრის პორტფელები მიიღონ. სოც.-დემ. პარტია თანახმა არის დიდი კოალიციის შედგენა იმით გაადვილოს, რომ ის ჯერ პრუსიაში განახორციელებს ამას. როგორც მკითხველმა იცის, პრუსიის კოალიციონურ მთავრობაში 4 პარტია შედის: სახალხო პარტია, ცენტრი, დემოკრატები და სოც.-დემოკრატია. აკლია მარტო მონარქისტების პარტია.

ეს მარტოოდენ ჩვენი მოსაზრება როდი არის. ამას თვით სოციალ-დემოკრატია აღიარებს აშკარად. კოალიციონური პოლიტიკის აუცილებლობა დამტკიცებულ იქნა ჯერკიდევ კილის პარტეიტაგზე. იქ ამის შესახებ ჰილფერდინგმა გააკეთა უშველებელი მოხსენება, რომელიც დელეგატების მიერ აღფრთოვანებით იქნა მოსმენილი.

სოც.-დემოკრატიის ბელადები საარჩევნო ბრძოლაში ყოველნაირი საშუალებით სცდილობენ მუშათა კლასი დაარწმუნონ, რომ კოალიცია აუცილებელია. ისინი ამბობენ, თუ არ ბურჟუაზიულმა ბლოკმა იბატონოს, ჩვენ უნდა შევიდეთ მთავრობაში. მის მიერ კოალიციონურ პოლიტიკის აღიარება და ცდა, როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოს დამცველ პარტიამ, რათაც არ უნდა დაჯდეს, მონაწილეობა მიიღოს კაპიტალისტურ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აპარატში, პრაქტიკულად სხვადასხვა ფორმებში იხატება. მაგალითად, საიმპერიო მაშტაბით სოც.-დემ. პარტია ოპოზიციას აწარმოებს, ამავე დროს შედის პრუსიის მთავრობაში, რომელიც ვეიმარის პარტიებისაგან შესდგება. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ბადენსა, ჰესენსა, და ანჰალტში. ლიუბეკში მას ბლოკი აქვს დემოკრატებთან; მეკლენბურგში დემოკრატებთან და „ხალხის კეთილდღეობის კავშირთან". ჰამბურგში ის არჩევნების შემდეგ ისევ საკოალიციო პოლიტიკას დაადგა ბურჟუაზიასთან, თუმცა მისი წარმომადგენლები კომუნისტებთან ერთად უმრავლესობას შეადგენენ. მარტო ბრაუნშვაიგშია სოც.-დემ. მთავრობა, სადაც მუშათა კლასისათვის არა კეთდება რა.

საარჩევნო კრებებზე სოც.-დემ. ორატორები მშრომელ მასებს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ჰპირდებიან, თუ სოც.-დემოკრატები მთავრობაში შევლენ. აშკარაა, ეს მათი ჩვეულებრივი საგიტაციო მანევრია, გარდა ამისა, ისინი ცდილობენ პროფკავშირების მოქმედება, თუ კი პროლეტარიატისათვის რამე გაკეთებულა, თავიანთ პარტიის მიზნებისათვის გამოიყენონ. საერთოდ სოც.-დემოკრატიის ეკონომიური ხაზი საარჩევნო ბრძოლაში ჰილფერდინგის ფორმულით ასე ხასიათდება: სახელმწიფო კაპიტალიზმი+სამეურნეო დემოკრატია (ე. ი. კოალიცია—სოციალიზმი).

იქ, სადაც პროლეტარიატის პოლიტიკური განვითარების დონე დაბალია, სადაც რევოლიუციონური ტრადიცია ნაკლებია (მაგ., აგრარულ პროლეტარიატში), სოც.-დემ. ორატორები ნაკლებ წინააღმდეგობას ხვდებიან; სამაგიეროდ იქ, სადაც მუშები კარგად იცნობენ რეფორმისტების პოლიტიკის ძირითად ხაზს, მათ მიმართ დიდ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. ხშირად კრება მუშტი-კრივით თავდება. მაგრამ სოც.-დემოკრატების გაიძვერობაში ვერავინ აჯობებს და ასეთ რაიონებში უმეტესად მემარცხენე სოც.-დემ. გამოდიან, რომლებიც სცდილობენ მემარცხენე ფრაზებით მიაფუჩეჩონ თავისი ანტი-მუშური პოლიტიკა.

სოც.-დემ. პარტიის მთავარი ლოზუნგია ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ. ამით აიხსნება მისი პროვოკატორული როლი წითელი ფრონტელების კავშირის აკრძალვის საქმეში. ამის შესახებ ჩვენ ქვევით ვილაპარაკებთ.

ბ. ცენტრის პარტია

ორიოდე სიტყვა ცენტრის პარტიის შესახებ. ამ პარტიაში შედის ქრისტიან მუშათა ერთი ნაწილი, რომელსაც სარწმუნოებრივი მოსაზრება აკავშირებს მასთან. ამ მუშათა ნაწილში ადგილი აქვს ძლიერ ოპოზიციას და უდიდეს უკმაყოფილებას ცენტრისადმი, რაც მუშათა გამემარცხენებაში გამოიხატება. ამ გვარ მუშების დასაშოშმინებლად გამოდის ცენტრის მემარცხენე ფრთა, როგორც მაგ., ყოფ. რეიხსკანცლერი ვირტი, გამოდის და თავის ამომრჩეველთ უმტკიცებს, რომ ცენტრის პარტია მშრომელთა ინტერესების დამცველი პარტია არის. ცენტრის წარმომადგენლები სცდილობენ პარტიის მონარქისტებთან თანამშრომლობა სხვადასხვა „მიღწევებით" გაამართლონ. მათი აზრით, ასეთ „მიღწევებს" ეკუთვნის: რესპუბლიკის განმტკიცება (მონარქისტების მიერ რესპუბლიკის დაცვის კანონის აღიარება, რომლის ძალითაც, სხვათა შორის, ფაშისტური მინისტრი კეიდელი ცდილობს აკრძალოს წითელი ფრონტელების ორგანიზაცია). „საზაო პოლიტიკა", სოციალური კანონმდებლობა (სამთომადნო მუშათა პენსიის კანონი, უმუშევართა დაზღვევა და შრომის სასამართლოს კანონი) და ბრძოლა სკოლის გაქრისტიანებისათვის. მიუხედავად ასეთი „მიღწევებისა", ცენტრი დიდ წინააღმდეგობას ხვდება აღნიშნულ მუშათა წრეებში. საერთოდ ცენტრი სოც.-დემ. პარტიასთან ერთად და მასთან შეთანხმებით გამოდის საარჩევნო კამპანიაში.

გ. ბავარიის სახალხო პარტია

ბავარიის სახალხო პარტიას ახლო კავშირი აქვს ცენტრის მემარჯვენე ფრთასთან. ის იბრძვის სახელმწიფოს უნიფიკაციის წინააღმდეგ და ჰქადაგებს პარტიკულარიზმს. ამგვარი ტაქტიკით ბავარიის სახალხო პარტია ბრძოლას უძნელებს სოც.-დემ. ბავარიაში.

დ. გერმანიის ნაციონალური პარტია

გერმანიის ნაციონალური პარტია ცდილობს, მიუხედავად მთავრობაში მონაწილეობისა, საარჩევნო ბრძოლაში გამოვიდეს, როგორც „ნაციონალური ოპოზიცია". თავის ოპოზიციონურ მდგომარეობას პრუსიაში პარტიის მიზნებისათვის იყენებს. სოფლად მის დამხმარე ორგანიზაცია „ლანდბუნდი" („სოფლის კავშირი") არის, რომელმაც მთელი მოძრაობა შექმნა აგრარიების „უმწეო მდგომარეობის" გასაუმჯობესებლად. მის ნაციონალურ პროგრამას შეადგენს: რეინის ოლქის განთავისუფლება ფრანგებისაგან, დაუესის სარეპარაციო გეგმის გადასინჯვა და პოლონეთთან ხელშეკრულების უარყოფა. რადგან დოიტშნაციონალებმა რესპუბლიკის დაცვის კანონი აღიარეს და ერთა ლიგაში შესვლას მხარი დაუჭირეს, ამიტომ გულისწყრომა დაიმსახურეს ნაციონალისტურ წვრილბურჟუაზიულ წრეებში, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან, ფაშისტური ორგანიზაციების ზეგავლენით, უფრო მეტად აღნიშნონ თავისი ნაციონალიზმი და მონარქიზმი საარჩევნო კამპანიის დროს.

ე. გერმანიის სახალხო პარტია

სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან შედარებით სახალხო პარტია უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია. გერმანიის ბურჟუაზიის მიღწევებს, თუ ასეთი სადმე არის, შტრეზემანს აწერენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო პარტიის ხელშია ხელმძღვანელობა ცნობილი ლიუტერის ბიუროს, რომლის მთავარ მიზანს ხმების შესყიდვით რეიხსტაგში ბურჟუაზიულ დეპუტატების გაყვანა შეადგენს. ამას ერთვის სასკოლო კანონის წინააღმდეგ ხმის მიცემაც, რამაც, ეჭვს გარეშეა, წვრილ ბურჟუაზიის ლიბერალურ წრეებში სიმპატია მოუპოვა პარტიას. იქ, სადაც აგრარული მოსახლეობა სჭარბობს, სახალხო პარტია გამოდის დოიტშნაციონალების მოკავშირედ, ხოლო ინდუსტრიის რაიონებში მომავალი კოალიციის მოკავშირედ.

ვ. დემოკრატიული პარტია

დემოკრატიული პარტია, როგორც ბურჟუაზიული ბლოკის ლოიალური ოპოზიცია, სოც.-დემ. პარტიის მხარეზე იბრძვის.

ზ. ფაშისტები

ფაშისტური ორგანიზაციები აქტიურად აწარმოებენ საარჩევნო ბრძოლას. ხშირად ისინი ნაციონალისტების წინააღმდეგაც კი ილაშქრებენ საკოალიციო პოლიტიკის გამო, მაგრამ ფაშისტების ბანაკში განხეთქილება იმდენად დიდია, რომ დიდ გამარჯვებას ისინი ვერ მიაღწევენ. ფაშისტები იბრძვიან უმთავრესად კომუნისტების წინააღმდეგ.

არიან კიდევ პატარა პარტიები, როგორიც, მაგ. სამეურნეო პარტია, რენტიების პარტია და სხვა გლეხური პარტიები, რომლებიც, ასე ვსთქვათ, წვრილბურჟუაზიულ მასათა უკმაყოფილებას გამოხატავენ მსხვილბურჟუაზიის წინააღმდეგ. ფაქტიურათ ყველა ესენი დამოკიდებულნი არიან ბურჟუაზიისაგან. შესაძლებელია ზოგიერთმა მათგანმა მანდატი მიიღოს რეიხსტაგში, მაგრამ მათი გამარჯვება არსებითად ბურჟუაზიის გამარჯვება იქნება.

თ. გერმანიის კომუნისტური პარტია

დასასრულ ჩვენ შევჩერდებით იმ დიდ საქმიანობაზე, რომელსაც კომპარტია აწარმოებს ამ საარჩევნო კამპანიის პროცესში. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ბურჟუაზიული პარტიების და კერძოდ სოც.-დემ. პარტიის ბრძოლის ტაქტიკა და ის მთავარი პოლიტიკური საკითხები, რომელთა გარშემო ტრიალებს მათი ბრძოლა. საჭიროა გავითვალისწინოთ ის სიძნელენი, რომლებიც კომპარტიის წინაშე წამოჭრილია. ცხადია, კომპარტიისათვის საპარლამენტო არჩევნები ნიშნავს იმ ძალების დათვლას, რომელნიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ კლასიური სახელმწიფოს და კაპიტალისტურ საზოგადოების დამხობის საქმეში. კომპარტიისათვის საპარლამენტო არჩევნები ნიშნავს ფართო მასების რევოლიუციონურ დარაზმვას და მომავალი სოციალურ-რევოლიუციის ძალთა შეფასებას. ამიტომ კომპარტია, წინააღმდეგ სოც.-დემ. პარტიის შეხედულებისა დემოკრატიაზე და პარლამენტარიზმზე, უხსნის მშრომელ მასებს, რომ მათი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლება რეიხსტაგის საშუალებით ვერ განხორციელდება, რომ პროლეტარიატი ვერ განთავისუფლდება კაპიტალის მონობის უღლისაგან, თუ სახელმწიფოს მმართვა-გამგეობა კაპიტალისტების და მისი ლაქია სოც.-დემ. პარტიის ბელადების ხელში იქნება.

გარდა ამისა, კომპარტია არ ივიწყებს საკითხს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალურ პროლეტარიატისათვის, საბჭოთა კავშირის დაცვას იმპერიალისტების თავდასხმისაგან. კომპარტია თავის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად საბჭოთა კავშირის დაცვას იხილავს. ყველგან, სადაც კრებები იმართება, კომუნისტ ორატორების პირიდან გაისმის გაფრთხილება პროლეტარულ სახელმწიფოზე იმპერიალისტების თავდასხმის მზადების წინააღმდეგ. ამასთანავე კომპარტია ამჟღავნებს გერმ.—სოც.-დემ. და მეორე ინტერნაციონალის მოღალატურ როლს ამ საქმეში, რა თქმა უნდა, გერმანიის კომ. პარტიას არ გააჩნია ისეთი თანხები, როგორც ბურჟუაზიას, ანდა სოც.-დემ. პარტიას, არც ისეთი დამხმარე ორგანიზაცია, როგორც პროფკავშირების ორგანიზაციაა. მისი ბრძოლის საშუალება თვით წევრების აქტიობა და წითელი ფრონტელების კავშირის ძმური თანამშრომლობა არის. უნდა ვსთქვათ, რომ პარტიამ ამ მხრივ ბევრს მიაღწია. ყველგან საარჩევნო კრებებზე, ქარხანა-ფაბრიკებში, მუშათა უბნებში კომპარტიას დიდი გავლენა აქვს.

ასეთმა სიმპატიამ მუშათა კლასის მხრივ დააფიქრა როგორც ბურჟუაზია, ისე სოც.-დემ პარტია. აქედან—მათი გაშმაგებული თავდასხმა კომპარტიაზე, რამაც წითელ ფრონტელების კავშირის აკრძალვის ცდაში ჰპოვა თავისი უმაღლესი გამოხატულება.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა კეიდელმა, თანახმად რესპუბლიკის დაცვის კანონისა, თხოვნით მიმართა გერმანიაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების მთავრობებს, რითა მათ თავიანთ საზღვრებში „წითელ ფრონტელთა კავშირი" აკრძალონ. ეს რეაქციონური ნაბიჯი, თქმა არ უნდა, ბრძოლის გაძლიერებას ნიშნავს პროლეტარიატის წინააღმდეგ. საგულისხმოა აქ ის, რომ ფაშისტი კეიდელი, რომლის მფარველობის ქვეშ ფაშისტური ორგანიზაციები არიან, ეურდნობა რესპუბლიკის დაცვის კანონს, რომელიც თავის დროზე სოც.-დემ. პარტიის ინიციატივით იქნა მიღებული რეიხსტაგში.

ყველა პარტიები, მათ შორის სოც.-დემ. პარტია სრული კმაყოფილებით შეხვდენ ფაშისტ მინისტრის ნაბიჯს. მხოლოდ ისინი ჯერ შეუთანხმდენ საკითხში, თუ როდის უნდა მოხდეს წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა. მათი აკრძალვა არჩევნების წინ გააძლიერებდა კომპ. სიმპატიას მშრომელ მასებში. ამიტომ მოითხოვენ აკრძალვის არჩევნებამდე შეჩერებას. ამით და უმთავრესად კი მუშათა მასების მრისხანე საპროტესტო მოძრაობით აიხსნება, რომ ბურჟუაზიამ ვერ გაბედა წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა.

ამ მოძრაობას მართლა გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და წითელ ფრონტელთა ორგანიზაციის ცენტრალურმა ორგანომ მოწოდებით მიმართეს პროლეტარიატს სადემონსტრაციოთ გამოსულიყვნენ. ამ მოწოდებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა მუშათა კლასში. მრავალ ინდუსტრიალურ რაიონებში გაიმართა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები. 19 აპრილს საღამოთი მოხდა ბერლინის ლუსტგარტენში მასიური საპროტესტო დემონსტრაცია. მან აუარებელი ხალხი მიიზიდა, მიუხედავად ცუდი ამინდისა, (ამ საღამოს საშინლად წვიმდა), საპროტესტო დემონსტრაციაში 150 ათასმა ბერლინელმა მუშამ მიიღო მონაწილეობა.

მაგრამ „ფორვერტსმა" ეს „ვერ შეამჩნია" და მეორე დღეს ამცნო თავის მკითხველებს, რომ საპროტესტო დემონსტრაციაში მუშების მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა.. ამავე დილით კი ბურჟუაზიული გაზეთები „ფოსიშე ცაიტუნგი" და „ბერლინერ ტაგებლატი" სწერდენ, რომ ბერლინს დიდი ხანია ასეთი მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია არ უნახავს. „ფორვერტს"-მა შეგნებულად ჩაიდინა ეს სიცრუე, რომ შეესუსტებინა ის უდიდესი სიმპატია კომპარტიისადმი, რომელიც მუშათა კლასში დაიბადა ბურჟუაზიის რეაქციონური განზრახვის გამოქვეყნების შემდეგ. მაგრამ ამაოდ. წითელ ფრონტელთა აკრძალვის ცდით გამოწვეულმა დემონსტრაციებმა უდავოდ გახადეს კომპარტიის გავლენის ზრდა მუშათა კლასზე.

ბერლინი.

ლ. ყა—ელი.

შემოსულია გაზ. „კომუნისტი"-ს კანტ.

ქუთაისში ხანძრისგან დაზარალებულთათვის შემოაქვს თუთხმეტი (15) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ელიავა შალვა, 2) ამბარცუმიანი, 3) კახიანი, 4) ბეჟანიანი, 5) ძნელაძე ამბერკი, 6) ლვამიჩავა ერასტი, 7) შავერდოვი ხაზა, 8) ივანოვ-კავკასიელი, 9) მესხი ვარლამი, 10) ამირაგოვი ფილია, 11) დუმბაძე რაჟდენ და 12) კუხალეიშვილი სევა.

სიმონ ჟუღელი.

—:—

თბილისის დიდუბის ეკლესიის სამრევლო საბჭოს ქუთაისში დაზარალებულთა დასახმარებლად შემოაქვს 12, 13 და 14 მაისს შეგროვილი 24 მან. 9 კაპ.

სამრევლო საბჭოს თავმჯდ. **ი. მირიანაშვილი.**

—:—

შემომაქვს ერთი (1) მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მოუწოდებ ყველა პერსონალურ პენსიონერ ამხანაგებს ერთხმად გამოეხმაურონ ქუთაისში მომხდარ გაუგონარ უბედურებას.

ინვალიდი **ნოე კილაბერია.**

—:—

შემომაქვს სამი (3) მანეთი ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად და ვიწვევ პროფ. ალ. მაჭავარიანს, ვლ. ჟღენტს, ალ. ნათიშვილს, ალ. ალადაშვილს, ს. ამირაჯიბს, ვ. მოსეშვილს, ხ. მოსეშვილს, შ. მიქელაძეს, ს. ყიფშიძეს, ი. ქუთათელაძეს, ვ. ვორონინს, დოცენტებს: ალ. წულუკიძეს, კ. ერისთავს, ნ. ციციშვილს, მ. შალამბერიძეს, მ. უგრელიძეს, ს. ხაყვერლიძეს, ვლ. ცეცხლაძეს, ექიმებს: ს. ჩახუნაშვილს, ე. ზაქარიას, ო. ოხიძეს, ე. ფიფიას, კ. ჯგაფარიძეს, პ. ქაჯაიას, გ. რუსიშვილს, მ. მათეშვილს, ნ. ჩირაძეს, გ. კობაიშვილს, ი. ასლანიშვილს, გ. ხერინაშვილს, კლ. ტყემალაძეს, მ. ტყავაძეს, ზ. მასურაძეს, ვლ. კაკიაშვილს, არ. მალაევს, გ. ცქიმანაურს, ელ. კალანდაძეს, ვ. მაჩაბელს.

სტ.-მედიკი **შალვა მოსეშვილი.**

—:—

თბილისის მე-9 შრომის სკოლის მშობელთა დამხმარე კომიტეტს, ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოთ, თავის მცირე საშუალებიდან შემოაქვს 30 მანეთი და იწვევს: მე-2, 4, 7, 8, 14, 15, 26, 29 და 33 შრომის სკოლების მშობელთა დამხმარე კომიტეტებს.

მე-9 შრომის სკოლის მშობელთა დამხმარე კომიტეტი.

—:—

შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ორი მანეთი და ვიწვევთ: ლექტ. ხარაბაძეს, დევაძეს, და მიხ. კონიაშვილს და სტუდენტებს: შალვა ხალუქაძეს და მიხეილ გოგნიაშვილს.

პედინსტიტუტის სტუდენტები: **თ. დაშნიანი, შ. რატიანი.**

შემომაქვს 5 მანეთი ქუთაისში დაზარალებულთათვის და ვიწვევ: მელიტონ გოგორიშვილს, დათიკო კალანდაძეს, ბორია შარაბიძეს, ელისაბედ ლახნიშვილს, ქეთო სანებლიძეს, გიორგი რეხვიაშვილს, ევგენი ჯანჯღავას, დათიკო მახარაძეს, გრ. რაჩკოვსკის, დათიკო ჩირაძეს.

სიმონ ბიბილეიშვილი.

—:—

შემოგვაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარა- სამტრედიის, რიონის, ქუთაისის, შორაპნის, ხაშურის, გორის, ავჭალის, ქსნის და თბილისის სადგურის ბუფეტების მოიჯარადრეებს.

ვასილ ს. ბეგეჭკორი.

—:—

შემომაქვს ორი მანეთი „ქუთაისის ფონდში" და ვიწვევ: შ. ნუცუბიძეს, (თბილისის ა. კ. რკინის გზის დამ. რაზმი), ა. უმბრიევს, ცაგურიას, ვასო სხირტლაძეს, გ. ჯოხაძეს, ს. მასხარაშვილს, ნ. ჩაჩავას, გენო მიქაძეს, გალუსტოვს და აქსენტი ნიკოლაიშვილს.

ნ. ქ. კიკნაძე.

—:—

შემაქვს სამი მანეთი (3) ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევ: თინა თაქთაქიშვილს, ლეილა ბიქტორის ასულს ცერცვაძეს, ცისანა მეხსს, ნათელა ჩუბინიძეს, მერი გელოვანს, თამარა ბაქრაძეს, ლამარა გაბუნიას, ლამარა ღვალაძეს, თინა საბახტარაშვილს, რუსუდან ოქროცვარიძეს, თეიმურაზ გუგუნავას, შოთა ჟუმბურიძეს, თეიმურაზ ჟღენტს, ბიძინა ლომაიას, თენგიზ გაბაშვილს, თენგიზ გოშაძეს, მიშა ჩეჩელაშვილს, რევაზ ჩუბინიძეს, შოთა არჩვაძეს და შალვა ჩილაშვილს.

5 წლის ლეილა ვანოს ასული ცერცვაძე.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმმა გადასდო ხუთი თუმანი დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოთ, გვირგვინის მაგიერ, რომელიც პრეზიდიუმს უნდა დაეფინა განსვენებულ მწერალ ხილოვან ხუნდაძის ცხედარზე.

—:—

ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოთ რკინის გზის მე-9-რე შრომის სკოლის თანამშრომლებმა გადასდეს ერთი დღის საფასური რაც შეადგენს 21 მანეთს, რომელიც წარმოდგენილია „კომუნისტი"-ის კანტორაში.

—:—

11 მაისიდან დღემდე „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოსულია სულ 6.90 მან 76 კაპ.

გამოწვევებს, რომლებსაც არ ახლავს აღნიშნული თანხა რედაქცია არ აქვეყნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტინფორმაციის საკითხები

სამაზრო კომიტეტების საინფორმაციო აპარატების მუშაობა ძალიან მოისუსტებს. სამაზრო კომიტეტების უმეტეს ნაწილში საინფორმაციო აპარატი გადაიქცა ან „მრუდე სარკედ", რომელიც სისწორით არ გამოხატავს ორგანიზაციის მუშაობას და მდგომარეობას, ან იმდენად „ბნელ სარკედ", რომ მასში ვერავინ დაინახავს, თუ როგორ მდგომარეობაშია და როგორ მუშაობს პარტორგანიზაცია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სამაზრო აღმასკომების საინფორმაციო აპარატების მუშაკთა არადამაკმაყოფილებელი პარტშემადგენლობა. საქართველოს კომპარტიის (ბ) 19 სამაზრო კომიტეტში საინფორმაციო განყოფილების გამგეთა შორის არის პარტიის წევრი 9 კაცი (რომელთაგან 4 კაცს აქვს პარტსტაჟი 1926 წლიდან—1928 წლამდე), პარტიის კანდიდატი—7 და 3 კომკავშირელი; გარდა ამისა, საინფორმაციო განყოფილებაში მომუშავეთა უმრავლესობა ახალგაზრდა ამხანაგები არიან, რომელთაც არ აქვთ გამოცდილება და საკმაოდ არ იცნობენ რთულ პარტიულ მუშაობას. ცხადია, რომ მათ არ შეუძლიათ გაითვალისწინონ ყველა ის პროცესები, რომლებიც ხდება პარტორგანიზაციაში, ისინი ვერ მისცემენ კომიტეტს პარტორგანიზაციის მდგომარეობის და მუშაობის დასაბუთებულ და ნათელ ანალიზს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის დარგში მომუშავე მუშაკები ხშირად იცვლება. საკმაოა დავასახელოთ გორის სამაზრო კომიტეტი, სადაც უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში (1927 წ. ივნისიდან 1928 წლის მარტამდე) გამოიცვალა კომიტეტის საინფორმაციო ქვეგანყოფილების 4 გამგე.

კომიტეტის საინფორმაციო აპარატი უნდა ემსახურებოდეს კომიტეტის ყველა განყოფილებებს. ამის შესახებ არსებობს როგორც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ისე საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სათანადო დირექტივა. მაგრამ სამაზრო კომიტეტების საინფორმაციო აპარატი, რომელიც წარმოადგენს საორგანიზაციო განყოფილების ქვეგანყოფილებას, თავის მუშაობას აწარმოებს იმგვარად, რომ ემსახურება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ საორგანიზაციო განყოფილებას.

საინფორმაციო აპარატის გეგმას ადგენენ საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის გეგმის მიხედვით. ეს გეგმა არ ითვალისწინებს იმ საკითხებს, რომლებიც აღნიშნულია კომიტეტის სხვა განყოფილებათა და პრეზიდიუმის მუშაობის გეგმებში.

საინფორმაციო განყოფილება აუარებელ მასალებს იღებს სხვადასხვა არაპარტიული ორგანოებისაგან. საინფორმაციო აპარატი იღებს აღმასკომის, კოოპერატივების გამგეობების, სამაზრო გლეხკომების, სადგილ-მამულო განყოფილების, სახალხო განათლების, სამაზრო პროფბიუროს, პროფკავშირთა ადგილკომების სხდომების ოქმებს. ეს აუარებელი მასალა აბრკოლებს საინფორმაციო აპარატის მუშაობას. ყველა ამ ოქმების წაკითხვა დიდ დროს ართმევს თანამშრომლებს.

სამაზრო აღმასკომების საინფორმაციო აპარატის მუშაობა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ მან ნამდვილად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. სამაზრო აღმასკომების საინფორმაციო აპარატი განმტკიცებულ უნდა იქნას პარტიული მუშაობის კარგად მცოდნე ამხანაგების ჩაბმით ამ მუშაობაში. საინფორმაციო განყოფილებებმა არ უნდა მიიღონ საინფორმაციო მასალები არაპარტიული ორგანოებისაგან, მათ უნდა მიიღონ მხოლოდ კომფრაქციების მასალები.

ამასთან ერთად აუცილებლად უნდა იქნას გადასინჯული საინფორმაციო აპარატის მუშაობის გეგმა. ეს გეგმა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა ის საკითხები, რომლებიც აღნიშნულია როგორც კომიტეტის პრეზიდიუმის, ისე ყველა მის განყოფილებების მუშაობის გეგმებში. უნდა მოგვარდეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ საინფორმაციო განყოფილება ემსახურებოდეს კომიტეტის ყველა განყოფილებებს.

ჩვენ აუცილებლად ვთვლით ხაზი გავუსვათ იმას, რომ საჭიროა საინფორმაციო აპარატმა დახმარება გაუწიოს კომიტეტების ინსტრუქტორებს. სამაზრო კომიტეტის საინფორმაციო აპარატმა წინასწარ უნდა შეარჩიოს მასალა, რომელიც ყოველმხრივ აშუქებს ორგანიზაციის მუშაობას და მდგომარეობას და ინსტრუქტორთან ერთად წინასწარ დაამუშაოს და შეისწავლოს ეს მასალა.

ასეთი სისტემა მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ინსტრუქტორის მუშაობას ორგანიზაციის გამოკვლევათა ხარისხის გაუმჯობესებაში.

არა ნაკლები მნიშვნელოვანი საკითხია საინფორმაციო აქტივის შეკავშირების და გამოყენების საკითხი.

ზოგიერთი პარტორგანიზაციების გამოცდილებამ, რომელთაც საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას დირექტივით დაიწყეს მუშაობა საინფორმაციო აქტივთან (ფოთის, გორის, აჭარისტანის ორგანიზაცია), გვიჩვენებს, რომ ინფორმაქტივის ინსტიტუტი სავსებით მიზანშეწონილია საქართველოს პირობებში.

სამაზრო კომიტეტების საინფორმაციო აპარატებმა უნდა შეისწავლონ ეს საკითხი, რომელიც დამუშავებულ იქნა ამიერ-კავკასიის პარტინფორმაციის მეორე თათბირზე (1927 წ. მაისში) და უნდა შეუდგნენ საინფორმაციო აქტივის შექმნას პირველ რიგში მსხვილ უჯრედებში.

საინფორმაციო აქტივი გამოყოფილ უნდა იქნას ბიუროს წევრების ან უჯრედის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობიდან.

საინფორმაციო აპარატის მუშაობის დიდ ნაკლს წარმოადგენს კავშირის უქონლობა პრესასთან, კერძოდ გაზეთების პარტგანყოფილებასთან. კომიტეტების საინფორმაციო აპარატს აქვს მთელი რიგი მასალები, რომლებიც აშუქებს ორგანიზაციის მუშაობას და მუშაობის გამოცდილებას და საუცხოვო მასალას წარმოადგენს პრესისათვის.

საინფორმაციო აპარატის მასალების გამოყენება პრესისათვის უნდა ეკისრებოდეს არა მარტო საინფორმაციო განყოფილების მუშაკებს, არამედ სამაზრო კომიტეტის ყველა მუშაკებს, ვინაიდან მხოლოდ გამოცდილებათა გაზიარებით, ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკის გაშუქებით გაზეთის ფურცლებზე ჩვენ შევძლებთ პარტორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და რაციონალიზაციას.

ა. გუსტიაკოვი.

პირველი ქართული დივიზიის პარტკონფერენცია

კონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ქ. წ. არმიის მთავარსარდალი ამხ. ლევანდოვსკი. მან აღნიშნა, რომ უფ. პოლიტშემადგენლობის ყოფა-ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუ კი გატარდა მთავრობის დადგენილება ბინების დათმობის შესახებ აქაც—ქუთაისში ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ ბინები. ამისათვის რევ-საბჭო გადასდებს რვა ათას მანეთს.

გადადის რა საბრძოლო მომზადების საკითხებზე, ამხ. ლევანდოვსკი ამბობს, რომ სროლაში მთელი არმიის მასშტაბით პირველი ადგილი უჭირავს 1-ლ ქართ. დივიზიას, აგრეთვე მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს საავიაციო და საარტილერიო საქმეში.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. დევდარიანის და მელაძის საბოლოო სიტყვები. ამხ. დევდარიანმა პასუხი გასცა მთელ რიგ შეკითხვებზე და შეეხო სამხედრო კომისარის როლს ნაწილში. მან აღნიშნა, რომ სამხედრო კომისარი პასუხისმგებელია ნაწილის მთელი აღმშენებლობისათვის.

თვითკრიტიკა—ამბობს ამხ. დევდარიანი, ზოგიერთების აზრით, წ. არმიის რიგებში ისე უნდა გავატაროთ, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებში. ეს არ არის სწორი: არმიაში სხვა პირობებია და თვითკრიტიკის საკითხებმაც სხვა სახე უნდა მიიღონ.

ამხ. მელაძე აღნიშნავს, რომ მორიგ სწავლაში ყურადღება უნდა მიექცეს დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, აგრეთვე ჩვენი მუშაობის გაძლიერებას სამოქალაქო ორგანიზაციებში.

უკანასკნელად მოსმენილ იქნა დივიზიის პარტკომისიის მდივნის ამხ. მიქაძის მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი პარტკომისია წარმატებით ებრძოდა აქა-იქ შემოჩენილ ოპოზიციონერებს. მან სათანადო მუშაობა ჩაატარა პარტიული ეთიკის დაცვის საქმეში: მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული ლოთობის მოვლენები. პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმე წელს უკეთაა დაყენებული. მომავალში პარტკომისიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიული მასის პირადი ყოფა-ცხოვრების საკითხებს, აგრეთვე გააძლიეროს მუშაობა უპარტიოებს შორის.

კამათში მონაწილეობა მიიღო ათმა ამხანაგმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა პარტიის წევრების ბოლშევიკურად აღზრდა.

ამხ. მიქაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია და დამტკიცდა სამანდატო კომისიის მოხსენება.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია ახალი პარტკომისია, რომელშიაც შევიდნენ: წევრებად—ამხ. მუქაძე, ბლუაშვილი, ჯაჭალანია, გუჯაბიძე, ნოზაძე, გოგია, ცინცაძე, კვიტაიშვილი და ანთიძე; კანდიდატებად: ამხ. ქელიძე, გელაძე და ჩირქეზია.

კონფერენცია დაიხურა ამხ. დევდარიანის მოკლე სიტყვით.

ს. გეგია.

ბიუროების საარჩევნო კრებებზე

პოლიგრაფტრესტის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში

პოლიგრაფტრესტთან არსებულ საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კომუჯრედის კრებამ მოისმინა კომუჯრედის ბიუროს მუშაობის ანგარიში და მოახდინა არჩევნები.

კრებამ გამოიჩინა დიდი აქტივობა. მოხსენების გარშემო იყო 16 შეკითხვა და კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა.

ბიუროს მუშაობა ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს ბიუროს მუშაობის სუსტი მხარეები, როგორიცაა მაგალითად, გეგმის უქონლობა, შედარებითი სუსტი ხელმძღვანელობა ახ. ლენინ. კ. კ. უჯრედისა და ადგილკომის ფრაქციისადმი, სავიტპროპო მუშაობის სისუსტე, არა საკმაო აქტივობა და მონაწილეობა საწარმოო ცხოვრებაში და აგრეთვე მოწაფეების თეორიული მომზადების საქმეში.

კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა კამათში მონაწილე ამხანაგების ნაჩვენებ ყველა დეფექტების გათვალისწინებით და ბიუროს მუშაობის გამომკვლევ კომისიის დასკვნების მიხედვით გამოიმუშაოს ახალ ბიუროსათვის სახელმძღვანელო პრაქტიკული წინადადებები.

კიდ.

არ ვარგა ასეთი „კეთილი" მოწყობა

ვინ წავა იმის წინააღმდეგ, რომ კეთილად და ლამაზად იქნეს მოწყობილი ესა თუ ის სოფელი, ესა თუ ის ქალაქი, და კერძოდ თბილისი. მაგრამ ასეთი „კეთილი" მოწყობა, როგორც ეს ატყვია და ემჩნევა იმ ადგილს, სადაც ეხლახანს (ვერის ხიდიდან კარლ მარქსის ხიდის მიმართულებით) ბეტონის კედელი ამოაშენეს მდინარე მტკვრის პირად, არ არის საჭირო.

რას ვხედავთ? უკაცრავად, ხედვას თავი დავანებოთ, და ვიკითხოთ: რას ვყნოსავთ? არავის არ უსურვებ ამის ნახვას, და ყნოსვას, რაც იქ ესე იგი იმ რაიონში არის, სადაც მშვენიერი ბეტონის კედელი არის აშენებული და გაყვანილი. მე თვითონ ვცხოვრობ მდინარე მტკვრის პირად, (სადაც ახალი კედელია აშენებული),—წინად ჩემ ბალკონში სასიამოვნო იყო ჯდომა, ეხლა კი ფანჯრები და კარები მაგრად გვაქვს ჩაკეტილი, რომ არ მოვიწამლოთ და დავიშხამოთ (გაჩნდა კოღოებიც), ახლო-მახლო მცხოვრებლები შეწუხებულნი არიან ხსენებული ჭაობის მიზეზით.

მე თვითონ სამჯერ მივმართე, სადაც საჭირო იყო, მაგრამ შესაფერი ყურადღება არავის მიუქცევია! არ ვიცი რატომ.

მე და ჩემი მეზობლები საძაგელი და საზიზღარი სუნით ვიყავით შეწუხებულნი და გამწარებულნი, მაგრამ ფიზიკური წარმოდგენა არ მქონდა იმის შესახებ, საიდანაც მოდიოდა ის. გაგებული მქონდა ზოგიერთებიდან, რომ ზემო მოხსენებული ჭაობი იქმნებოდა და იკვებებოდა ქალაქის კანალიზაციის მილებიდან გამომდინარე სითხით, რაც ჩემთვის დაუჯერებელი იყო.

მაგრამ ამ თვის 14 მე თვითონ დავათვალიერე ერთიანად და ვიწყევლი ბედს, რომ წავედი და დავათვალიერე. კინაღამ წავიქეცი. დაგროვებულია და კიდევ განაგრძობს გროვებას დიდძალი სიბინძურე, რომელიც ლპება და შმორდება და შხამავს ახლო-მახლო რაიონს. საინტერესოა გამოირკვეს თუ ვინ ხელმძღვანელობდა კედლის გაყვანას რას ფიქრობდნენ, როდესაც ამოშენებულ კედელ და კლდეს შუა სტოვებდნენ ღია საკანალიზაციო მილებს?! ამაზე უნდა აგონ პასუხი. ამ საკითხის გამორკვევაში უნდა ჩაერიოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

ერთი სიტყვით საჭიროა დაუყოვნებლივ მიექცეს ყურადღება იმ ადგილს, რომელზედაც მე შევაჩერე მკითხველის ყურადღება, და რომელიც, გაბედულად შეიძლება ითქვას, არის გადაქცეული ყოველგვარი ავადმყოფობის ბუდედ.

ქ. ხომერიკი.

ცეკავშირში

საღამოს 6 საათია. ცეკავშირის შენობის წითელ კუთხეში იკრიბება ორი უჯრედი: ერთი—თვით აპარატის და მეორე—ცეკავშირის სტამბის.

დღევანდელი კრების დღის წესრიგში ორი მნიშვნელოვანი საკითხი სდგას, დღეს უნდა განვიხილოთ ორივე უჯრედის ბიუროების ანგარიში და დღესვე უნდა შევაერთოთ ეს უჯრედები.

იხსნება კრება. უჯრედების გაერთიანების შესახებ მოკლე ინფორმაციით გამოდის ამხ. სირაძე. იგი აღნიშნავს, რომ უჯრედების მუშაობა დღემდე ფერხდებოდა იმით, რომ ერთი მათგანი დაწესებულებასთან ერთად შედიოდა მეორე რაიონში, მეორე კი—მე-4 რაიონში. დღეის შემდეგ ეს უჯრედები ერთიანდება და მიმაგრებული იქნება ქალაქის რაიონზე.

შემდეგ კრება ისმენს ცეკავშირის უჯრედის ბიუროსა და სტამბის უჯრედის ბიუროს ანგარიშებს.

კამათში გამოსული ამხანაგები უთითებენ, რომ ცეკავშირის უჯრედი ვერ ეწეოდა საკმაო ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, დაწინაურება ვერ მიდიოდა სათანადო ტემპით, სუსტი იყო ქალთა შორის მუშაობა და სხვა.

კრებამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები ახლად არჩეულ ბიუროსათვის.

მეთვალყურე.

კომკავშირში

საკავშირო კომკავშირის მე-8-ე ყრილობა

ამხ. ბახუტოვის სიტყვა

მოსკოვი, 14 მაისი. კვირას, კომკავშირის ყრილობის სხდომაზე ამხ. რუხიმოვიჩისა და შვერნიკის მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო რ. ს. ფ. ს. რ.-ის შრომის კომისარმა ამხ. ბახუტოვმა, რომელიც შეეხო შრომის სახალხო კომისარიატის მორიგ ამოცანებზე მოზარდთა შრომის დარგში.

„ჩვენ,—სთქვა ამხ. ბახუტოვმა,—დაუშვით მოზარდთა შრომა ცეცხლზე სამუშაო და მავნებელ საამქროებში, რომ მოზარდთაგან სათანადო პროფესიებისათვის მოგვემზადებია კვალიფიციური მუშები. რომ უკეთესად გავატაროთ კანონი ახალგაზრდათა შრომის შესახებ—საჭიროა იმ პირობების შესწავლა, რომლებშიაც ისინი მუშაობენ".

შემდეგ ამხ. ბახუტოვი შეეხო უმუშევრობასთან ბრძოლას. კოლექტივების ორგანიზაცია, როგორც უმუშევრობის შენელების საშუალება, მიზანშეწონილი გამოდგა. ახალგაზრდობა შეადგენს რ. ს. ფ. ს. რ.-ის კოლექტივებში დაბანდებულ უმუშევართა 9 პროცენტს. შარშან რ. ს. ფ. ს. რ.-ის შრომის სახ. კომისარიატმა დახარჯა 1 მილიონი მანეთი მოზარდებზე. რომლებიც უშუალოდ შრომის ბირჟიდან არიან აყვანილნი. წელს გადადებულია 1,5 მილიონი მანეთი; დაახლოებით 1 მილიონი მანეთი დაიხარჯება ფაბრიკა-კომუნების ორგანიზაციაზე. (ადს).

კომკავშირი და კულტურული რევოლუცია

მოსკოვი, 14 მაისი. 13 მაისს გაიმართა კომკავშირის ყრილობის, განათლების კომისარიატის და წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების გაერთიანებული სხდომა, რომლის მსჯელობის საგანი იყო „კომკავშირის ამოცანები კულტურულ ამოცანებთან დაკავშირებით.

ამხ. კალინინმა აღნიშნა, რომ კომკავშირის კულტურულ ამოცანათა შორის პირველ რიგში სდგას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღება. წერა-კითხვის საერთო უცოდინარობის ლიკვიდაციით ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მოსახლეობის პოლიტიკური ცოდნა. ბოლოს, რევოლუცია უნდა მოვახდინოთ თვითონ ყოფა-ცხოვრებაში. ახალგაზრდობა იზრდება, ძველი ყოფა-ცხოვრების ყალბი შეხედულებანი მას ჯერ კიდევ ღრმად არა აქვს გამჯდარი. ამიტომ კულტურული რევოლუცია უნდა დავიწყოთ ახალგაზრდობიდან.

ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა ახალგაზრდობის კოლექტიური გრძნობათა განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობა. უნდა გადავსთვალიეროთ ოჯახური ურთიერთობა და აღმოვფხვრათ ძველი ყალბი შეხედულებანი. ქალიშვილს უნდა დავეხმაროთ, რომ მამაკაცს გაუთანასწორდეს. კომკავშირელები [illegible] უნდა შეიჭრან ყველა ტიპის სკოლებში და ამოსწყვიტონ იქ არსებული სიდუხჭირე.

კომკავშირის ყრილობის სახელით გამოსულმა ამხ. მილჩაკოვმა განაცხადა, რომ კომკავშირი ხმას აძლევს კულტურულ რევოლუციას.

რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია როგორც კომკავშირის ყრილობის დადგენილება, ნათქვამია, რომ 1928 წლის 1 აგვისტოდან ცხადდება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში კომკავშირის მონაწილეობის შემოწმების თვე. სახალხო განათლების ორგანოთა საშუალებით მოხდება 1.000 კომკავშირელის მობილიზაცია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო მუშაობის საწარმოებლად. თვითეულმა წერა-კითხვის მცოდნე კომკავშირელმა უნდა გამონახოს ერთი უცოდინარი და შეასწავლოს წერა-კითხვა. 1929 წლის 5 მაისისათვის უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კომკავშირის ყველა წევრთა შორის. კომკავშირი ფართო კამპანიას იწყებს თავის წევრთა ჩასაბმელად პედაგოგიურ ტეხნიკუმებში.

რა ვნახეთ როსტოვში

რა ნახა თბილისის საბჭოს მუშათა დელეგაციამ როსტოვში? ბევრი რამ.

აქ მინდა შევეხო ორ დიდ საქმეს, ორ აღმშენებლობას, რომლებმაც ჩვენ, თბილისელი დელეგატები გაგვაკვირვა და გაგვახარა, ერთი არის პურის საცხობი ქარხანა, მეორე დიდი წისქვილი.

პურის ქარხანა სულ ახლად აუგიათ როსტოვის ამხანაგებს და ეს ქარხანა წარმოადგენს ამ დარგში ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას.

ქარხანა აცხობს დღე და ღამეში 6.500 ფუთ პურს.

მთელ როსტოვს კი 308 ათას მცხოვრებზე სჭირდება დღე-ღამეში 12 ათასი ფუთი პური.

ამნაირად მარტო პურის საცხობი ქარხანა ამზადებს ნახევარზე მეტ პურს. დანარჩენი მზადდება კოოპერაციების და კერძო პირების მიერ.

ამ ქარხანაში მუშაობს ხუთასზე მეტი კაცი. ქარხანას თან ახლავს წისქვილი, საიდანაც ფქვილი გადმოდის პირდაპირ მილებით, ზემო სართულებში იცრება, სუფთავდება და მილებითვე ჩადის მოსაზელ დიდ რგვალ ქვაბში, ამ ქვაბში ტრიალებს არა ადამიანის, არამედ ფოლადის დიდი მუშტი, რომლის საშუალებითაც 7 წუთში იზილება 25 ფუთი ფქვილი. როცა ცომი მზათაა გამოსაცხობათ, მუშა ელექტრო-ძალით ასწევს ცომით სავსე ქვაბს და გადააყირავებს მას მილის თავში. ცომი მიდის ერთი სართულით დაბლა, აქ ავტომატიურად ნაწილდება, იწონება, გადადის ფორმებში და ათასობით შედის ერთ წუთში გახურებულ ღუმელებში.

ქარხანაში მომუშავე მუშებს აქვთ ყოველ გვარი მოწყობილობა.

ვერავინ შევა ქარხანაში თავისი ჩვეულებრივი ტანისამოსით. თავის ტანისაცმელს სტოვებენ მუშები საამისოთ დანიშნულ ყუთში. იქვე არის აბანო, სადაც მუშა ტანს იბანს როგორც მუშაობის დაწყებისას, ისე გათავებისას. არის სადეზინფექციო ოთახი, სამკითხველო და სხვა მრავალი საჭირო მორთულობა, რომლის აწერაც ძალიან შორს წამიყვანდა.

ეხლა ორიოდე სიტყვა როსტოვის წისქვილის შესახებ.

ეს არაა ახალი აღმშენებლობა. ეს ყოფილ ფაბრიკანტ პარამონოვის წისქვილია. ის ძალზე დააზიანა წარმოებულმა სამოქალაქო ომმა. როსტოვი ხომ ხელიდან-ხელში გადადიოდა სამოქალაქო ომის დროს. წისქვილი ამის გამო ძალზე დაზიანდა. დღეს საბჭოთა ხელისუფლებას ეს უზარმაზარი წისქვილი სავსებით აღუდგენია. ბევრი ახალი მანქანები მიუმატებია და დღეს წისქვილი იძლევა დღე და ღამეში 30 ათასს ფუთ ფქვილს.

აქედან თვით ქალაქს ხმარდება ხუთი ათასი ფუთი, რადგანაც საცხობ ქარხანასთან არსებული მეორე წისქვილი ამზადებს მხოლოდ 7 ათას ფუთამდე ფქვილს.

დანარჩენი 25 ათასი ფუთი ფქვილი ამ უზარმაზარი წისქვილიდან იგზავნება სხვადასხვა ქალაქებში და მათ რიცხვში ჩვენს ქალაქშიც.

რამოდენიმე სიტყვა როსტოვის ახალ წყალსადენზე.

ძველი წყალსადენი ვეღარ აკმაყოფილებს წითელ როსტოვს და აი გამოყავთ ახალი. წყალსადენი ისაზრდოებს მდინარე დონიდან.

უკვე ნახევარზე მეტი სამუშაო გაკეთებულია და ამ წელს წყალსადენი მზად იქნება.

ჩვენ გავაცანით როსტოველ ამხანაგებს ჩვენი ახალი წყალსადენი, ნატახტარში წარმოებული მუშაობა, წყლის რაოდენობა.

კიდევ ბევრი საყურადღებო ფაბრიკა-ქარხნები ვნახეთ აქ. უფრო მეტი ვერ დავათვალიერეთ უდროობის გამო.

მივეჩქარებით ხარკოვის დასათვალიერებლად.

ს. დოლიძე.

როსტოვი 5 მაისი.

საქ. ცაკის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში

შორაპნის მაზრაში

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით: მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში შორაპნის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ პენსიების და დახმარებების სახით ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს დაურიგა 4.648 მან.

გლეხკომების ყრილობა აფხაზეთში

ხუთშაბათს, 10 მაისს, სოხუმში გაიხსნა სრულიად აფხაზეთის გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების (გლეხკომების) ყრილობა. ყრილობას, გუშინ საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ და ცენტრალური გლეხკომის თავმჯდომარემ ამხ. კ. ხომერიკმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „სრულიად საქართველოს ცენტრალური გლეხკომის სახელით მივესალმები ჩვენი მოძმე მოკავშირე აფხაზეთის გლეხკომების მეორე ყრილობას და ურთი-ერთ დახმარების საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ყრილობას უსურვებ ნაყოფიერ მუშაობას. გაუმარჯოს აფხაზეთის მშრომელ გლეხკაცობას, გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელებისა და დაჩაგრულების ინტერესების ერთგულ დამცველს—კომუნისტურ პარტიას".

თბილისის საბჭოს სექციებში

ოთხშაბათს, საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს სავაჭრო - კოოპერატიული, კომუნალური და განათლების სექციების სხდომები.

სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ განიხილა სამი საკითხი:

ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, პურის საცხობების და სავაჭროების მდგომარეობის შესწავლა და სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის გამოკვლევის შედეგები.

სავაჭრო კოოპერატ. სექციის გამოკვლევის შედეგები

სექციის გამოკვლევის შესახებ მოხსენება გააკეთა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. ტატულოვმა.

მან აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები სექციის მუშაობაში, როგორიც არის სექციის რიცხვობრივი სიმცირე, მიმაგრებულთა პასიურობა და სხ.

სექციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე უნდა აღიძრას საკითხი, რომ საბჭოს სხვა სექციებში მყოფი ის წევრები, რომლებიც სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში მუშაობენ,—გადარიცხულ იქნან სავაჭრო კოოპერატიულ სექციაში.

სექციამ დაადასტურა, რომ მიმაგრებულები არ ესწრებიან სხდომებს და გადასწყვიტა მიიღოს შესაფერი ზომები.

საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვა საკითხი, სექციის მიერ დაწინაურებულ მუშებისათვის შესაფერ ადგილების მიცემის შესახებ.

სექციის ბიუროს მიენდო გააძლიეროს მუშაობა სექციის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ვაჭრობის მოწესრიგება

სექციამ მოისმინა ამხ. ბაქრაძის მოხსენება თბილისის აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიის გამოკვლევის შედეგების შესახებ. სექციამ საჭიროდ სცნო ხსენებული კომისია გადაკეთდეს ადგილობრივ ვაჭრობის დამოუკიდებელ განყოფილებად. განყოფილებასთან მოეწყობა მუდმივი თათბირი, რომელშიაც შევლენ სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მუდმივი თათბირი წინასწარ დაამუშავებს ადგილობრივ ვაჭრობის საკითხებს.

სექციამ საჭიროდ სცნო მოწესრიგებულ იქნას კომისიის და შინა-ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს შორის დამოკიდებულება, ისე რომ გაძლიერდეს სამმართველოს ხელმძღვანელობა კომისიის საქმიანობაზე, მეორე მხრივ კომისიას დაევალოს თავის მუშაობის გეგმა შეუთანხმოს შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოს საქმიანობის საერთო გეგმას.

ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია, ქალ. თბილისის გარდა თავის გავლენას გაავრცელებს მაზრებზედაც, რისთვისაც გადიდდება ინსტრუქტორების რიცხვი.

პურის საცხობების გამოკვლევა

სავაჭრო კოოპერატიულმა სექციამ გადასწყვიტა გამოიკვლიოს თბილისში მომქმედი პურის საცხობები და პურის სავაჭრო წერტილები. გამოკვლევის მიზანია ნათელჰყოს პურის სავაჭრო და საცხობ წერტების განაწილება ცალკე რაიონების მიხედვით, მოსახლეობის საშუალო რაოდენობა თვითეულ წერტზე, ყოველდღიურად გამომცხვარ პურის წონა, საცხობების და სავაჭროების ტეხნიკურ-სანიტარული მდგომარეობა, პურის ხარისხი და მისი გაყიდვის წესი.

გამოკვლევა დაევალა სექციის მიერ გამოყოფილ პურის ცხობის მეთვალყურე რაიონულ კომისიებს, რომლებიც იმუშავებენ მუშკოოპისა და „ზაკტპო"-ს სადუქნო კომისიის წევრებთან, გემო-კვების პროფკავშირის, თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის და კომუნალურ სექციების წევრებთან ერთად.

გამოკვლევა მოხდება სპეციალურ ანკეტების საშუალებით და გასტანს 1—2 დღე.

კეთილმოწყობის საკითხები

კომუნალური სექციის სხდომაზე მოისმინეს ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება ქ. თბილისის და მისი მაზრის კეთილმოწყობის შესახებ. მომხსენებელმა დაახასიათა ის მუშაობა, რომელსაც თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება აწარმოებდა კეთილმოწყობის დარგში 1926—27 წლის და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის განმავლობაში. იგი შეეხო აგრეთვე მიმდინარე წლის მეორე ნახევრის სამუშაო გეგმასაც.

1926—27 წელს ქალაქის კეთილმოწყობაზე საინჟინერო სექციის ხაზით დაიხარჯა 467809 მანეთი. ამ თანხებით ჩატარდა ქუჩების მოკირწყვლა, შეკეთება და მოწყობა, ხიდების შეკეთება და აგება, საზოგადო ფეხსალაგების მოწყობა, სანაპირო ქუჩის გასაყვანად მოსამზადებელი მუშაობა და სხვა.

ახალ სახლების მშენებლობაზე დაიხარჯა 1.470000 მან., სამკურნალო დაწესებულებების შეკეთებაზე 99.000 მანეთი, აბანოებზე 60000

ამას გარდა სწარმოებდა მუშაობა ქალაქის წყალსადენის და კანალიზაციის ქსელის გასაფართოებლად და სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც გადადებული იყო 86.000 მანეთი.

გასულ წელს ჩატარებული იქნა კომუნარების ბაღის კეთილმოწყობა რაც დაჯდა 25.000 მანეთი; ამას გარდა ჩატარდა სხვა ბაღების შეკეთებაც. სატყეო სექციამ დახარჯა 50000 მანეთი, საზოგადო სამუშაოებს მოუნდა 43800 მანეთი.

თბილისის მაზრის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 51000 მან. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაიხარჯა: ახალ მშენებლობაზე—272.280 მანეთი, ბაღების შეკეთებასა და კეთილმოწყობაზე 15.382 მან., სატყეო მეურნეობის დარგში 7423 მანეთი.

მარტო სანაპირო ქუჩის გასაყვანად დახარჯულია 272.000 მანეთი.

საერთოდ მიმდინარე წელს საინჟინერო სექციის ხაზით ახალ მშენებლობაზე დაიხარჯება 581.000 მანეთი, კაპიტალურ შეკეთებაზე 45.000; მიმდინარე შეკეთებაზე—40.000, კანალიზაციაზე 186.000, ბაღების მშენებლობაზე 110.000, სატყეო მეურნეობაზე—54.000 და თბილისის მაზრაში—110.000 მანეთი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. სექციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, არ ხდება ქუჩების მორწყვა, მათი შესაფერი შეკეთება და სხ.

მიღებულ რეზოლიუციაში სექციამ აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქუჩების შეკეთების საკითხს.

იმ ქუჩებზე, რომელზედაც გამუდმებით სწარმოებს საბარგო მიმოსვლა, უნდა იქნეს დაგებული კუბიკური ქვები. ქვაფენილები უნდა შეკეთდეს სახლმფლობელობათა ხარჯზე.

სასურველად იქნა ცნობილი ქუჩებში ხეების დარგვა.

ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სექციამ საჭიროდ სცნო ქუჩების მორწყვის და გაწმენდის საქმის გაძლიერება.

სექციამ დაადგინა კეთილმოწყობის განყოფილებასთან დაარსდეს სასაფლაოების სექცია, რომლის გამგებლობაში იქნება ქალაქ თბილისში არსებული ყველა სასაფლაოები.

გასულ წლების მაგალითის მსგავსად წელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა უბნების კეთილმოწყობას.

თბილისის მაზრაში საგზაო მშენებლობის გასაფართოებლად საჭიროდ იქნა ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობის შრომით ბეგარის მთლიანად და სავსებით გამოყენება.

საბავშვო ბაღები

განათლების სექციის მორიგმა სხდომამ 14 მაისს მოისმინა მოხსენება საბავშვო ბაღების მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბავშვო ბაღების მდგომარეობა ყველგან დამაკმაყოფილებელი არ არის. ზოგ ჯგუფებში ბავშვები ნორმაზე მეტი არიან, ხოლო ზოგიერთში ბავშვთა რიცხვი ნორმას არ აღწევს. ზოგი იმ შენობათაგანი, სადაც საბავშვო ბაღებია მოთავსებული, საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისითაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მეცადინეობის მეთოდიური მხარე საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს და აგრეთვე თვით მომხსენებლის მიერ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ საბავშვო ბაღების ამჟამად არსებული ქსელი არ შეესაბამება თბილისის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროებას.

დასასრულ, სექციამ მიიღო დადგენილება, რომელიც საჭიროდ აღიარებს საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებას, საბავშვო ბაღების განტვირთვას ნორმაზე ზედმეტ ბავშვებისაგან, ბავშვების უფრო რაციონალურ განაწილებას ბაღებს შორის, თანხების გამოყოფას სასწავლო დაწესებულებების შესაკეთებლად გაღებულ ფონდიდან, და მეცადინეობის რეორგანიზაციას ახალ საბჭოთა მეთოდის მიხედვით.

მუშათა ცხოვრება

დღეს 16 მაისს საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხებია დასმული. ჩვენი გაზეთის ყველა მუშკორის დასწრება სავალდებულოა.

მუშათა ფართო კოლექტივის წევრები უნდა გამოცხადდნენ სრულ 4 ნახ. ს.

ნაყოფიერად მუშაობენ

გასულ წლებში, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ კბილის ამბულატორიის ექიმების უყურადღებობის გამო. კბილით ავადმყოფებს მთელი კვირაობით უხდებოდა რიგში დგომა და ბოლოს ძლივს ეღირსებოდნენ ხოლმე საექიმო დახმარების მიღებას. სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. ამბულატორიის გამგეთ, ექიმ კარაგულაიანის დანიშვნის შემდეგ მთლიანად შეიცვალა კბილით ავადმყოფთა მიღების და წამლობის წესი. ახალი წესით კბილით ავადმყოფი, აღრიცხვაში გატარებისთანავე ისინჯება ექიმის მიერ და ენიშნება მეორედ მისვლის დრო. ამჟამად ამბულატორიაში მუშაობს 9 ექიმი. მუშაობა სწარმოებს ორ წყებად. არის ექვსი კბილის სავარძელი თავისი მანქანებით. კბილის ჩადგმა მუშა-მოსამსახურეთათვის, გარდა ოქროს კბილისა უფასოა. ოქროს კბილის ჩადგმაში მუშა-მოსამსახურე იხდის დამუშავებისათვის 2—50 კაპ. და თვით ოქროს ღირებულებას 1—31 კაპ. გრამში. ოჯახის წევრები სარგებლობენ სახაზინო ოქროთი. მათ ოქროს კბილები უკეთდებათ საკუთარი საშუალებებით. ამბულატორია ახდევინებს მხოლოდ დამუშავების ღირებულებას 2—50 კაპ. თითო კბილში.

ა. წ. მარტის თვეში ჩამოსხმულია და გაკეთებულია 572 კბილი, 38 პროტეზი, 48 ოქროს გვირგვინი და სხ. კბილის ექიმები თავიანთი ცოდნის ასაწევად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად განსაზღვრულ დროით მიდიან მოსკოვში პრაქტიკულ სამუშაოებზე. ამიტომ რკ. გზის ამბულატორია გამოცდილი კბილის ექიმებით უზრუნველყოფილია.

საერთოდ ექიმების მოპყრობა ავადმყოფებისადმი დამაკმაყოფილებელია. აღარ არის ის უამრავი საჩივრები, ავადმყოფებისაგან, რომლებსაც ადგილი ქონდა წინად, რაც უნდა მიეწეროს ამბულატორიის ექიმებისა და ტეხნიკურ თანამშრომლების მუყაით მუშაობას. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რკ. გზების ცენტრ. ამბულატორია, არ არის შესაფერ ადგილზე და ხეირიან შენობაში მოთავსებული. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს სათანადო ორგანოებმა და მიიღონ ზომები ამბულატორიის შესაფერ ადგილზე გადასატანად.

კოტე ქვენობნელი.

ჯარიმა უნდა გადახდეთ

რკინის გზის სადგურებზე არსებული ბუფეტების მოიჯარადრეებსა და რკინის გზის სამმართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი ბუფეტში, სარგებლობენ შეღავათიან ფასებით. ყოველი მოიჯარადრე ვალდებულია თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრას ნიხრი სურსათ-სანოვაგეზე. ეს ასე უნდა ხდებოდეს, მაგრამ არ ხდება.

ზოგიერთი მოიჯარადრენი ამ ხელშეკრულებას არ ასრულებენ პირნათლად: სად. ხაშურის ბუფეტის მოიჯარადრე, რკინის გზელებს იმდენსავე ახდევინებს სურსათ სანოვაგეში, რამდენსაც კერძოებს. ამის შესახებ მოიჯარადრეს ბევრჯელ მიეცა შენიშვნა და წინადადება, რომ გამოეკრა ნიხრი თვალსაჩინო ადგილზე და პირნათლად შეესრულებინა რკინის გზასთან დადებული ხელშეკრულება, მაგრამ მადაგახსნილი მოიჯარადრე ანგარიშს არ უწევს არც ასეთ შენიშვნებს და არც ოქმის შედგენას. ასევე იქცევა სად. რიონის ბუფეტის მოიჯარადრეც.

სადგურის უფროსებმა და კომერციულ რევიზორებმა, რომელთაც ევალებათ ამ ნიხრის ცხოვრებაში გატარების თვალყურის დევნება, ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას და ხელშეკრულების დამრღვევებს მიუსაჯონ სათანადო ჯარიმა.

ნ. ც—ლი.

ხელფასის რეფორმისათვის

(რკინის გზები)

რკინის გზელთა ხელფასის რეფორმასთან დაკავშირებით, ამჟამად ა. კ. რკინის გზებზე ტარდება ხელფასის გამომუშავების ნორმების, ნარდი მუშაობის შეფასების გადასინჯვა.

ამ მუშაობის წარმატებით ჩატარებისათვის თბილისის მთავარ სახელოსნოებში თითოეულ საამქროსთან პარიტეტულ საფუძველზე დაარსებულია დროებითი შემფასებელ-საკონფლიქტო ქვე-კომისიები, სადაც სწარმოებს სამუშაოების პირველ დაწყებითი დაყოფა, მათი დაყოფა თანრიგების მიხედვით და გამომუშავების ნორმების დამუშავება.

ქვე-კომისიებში შედის ორი წარმომადგენელი ადმინისტრაციიდან და ორი მუშებიდან. მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას იხილავს და ამტკიცებს სახელოსნოების შემფასებელ, საკონფლიქტო კომისია.

ა—ძე.

პროვოკაციას ეწევა

თბილისში არსებობს ეგრედ წოდებული კლუბ-სათამაშოები, რომლებიც ეკუთვნის საქართველოს ცაკის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას. დღემდე ამ კლუბების თანამშრომლები მუშაობდნენ პროცენტებზე. ისინი ითვლებოდნენ დღიურ მუშებათ და ამიტომ ზოგიერთი ადმინისტრატორები ხსნიდნენ სამსახურიდან სრულიად უმიზეზოთ. წელიწადში ათჯერ იცვლებოდა, ადმინისტრატორთა შემადგენლობა. რაც დაღს ასვამდა კლუბ-სათამაშოების ნორმალურ მუშაობას თანამშრომელთათვის ქმნიდა აუტანელ პირობებს.

დღეს ეს საკითხი მოგვარებულია. კლუბ-სათამაშოებს სასურველი და საქმიანი ადმინისტრაცია ყავს. ახალი ადმინისტრაციის საქმისადმი სწორი მიდგომის წყალობით დღეს ყველა თანამშრომლები მტკიცე ხელფასზედ მუშაობენ და კოლექტიური ხელშეკრულებაც არის დადებული სახალხო კვების კავშირსა და ადმინისტრაციის შორის. ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა. მაგრამ კლუბ № 3 თანამშრომელი მოქ. სევერიან ნუცუბიძეს შეაქვს საერთო საქმეში არევ-დარევა და ეწევა პროვოკაციას თანამშრომლებში იმის შესახებ, რომ კლუბის თანამშრომლებმა მოითხოვონ კვლავ პროცენტებზე გადასვლა და დასტოვონ პროფესიონალური კავშირი. მის ასეთ პროვოკაციას რასაკვირველია არ გაჰყვებიან თანამშრომლები და თავიანთ ერთადერთ ოჯახს, პროფკავშირს არ გაანებებენ თავს, მაგრამ არ შეიძლება ამან ერთგვარი არევ-დარევა შეიტანოს კლუბების საქმიანობაში და არ შეაფერხოს ნორმალური მუშაობა. ამიტომ საჭიროა ამ თავითვე მიექცეს ყურადღება ამ მოვლენას და მიღებული იქნეს ზომები სევ. ნუცუბიძეს კლუბ-სათამაშოებიდან გასაძევებლად.

თანამშრომელი.

მუშკორთა წერილებიდან

უწყლობამ შეგვაწუხა. დღემდე ვაკეს მცხოვრებნი, უწყლობის გამო აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. აღმასკომო, მოგვაწოდე ჩვენც წყალი.

ვაკელი.

როდის შეაკეთებენ. გრიბოედოვის ქუჩა, № 33, სახლი ეკუთვნის თბილისის აღმასკომს. სახლს მოელის დანგრევა, თუ იგი საჩქაროდ არ იქნა შეკეთებული. მდგმურებმა მიმართეს აღმასკომის პრეზიდიუმს, რათა მიეღოთ სასწრაფო ზომები სახურავის შესაკეთებლად, მაგრამ თებერვლის აქეთ ეს განცხადება სათანადო რეზოლიუციით, უწყვია პორტფელში ინჟ. ნოსიკოვს და სახლის შეკეთებაზე კი ჯერ-ჯერობით არაფერს ფიქრობს.

ლევკან.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრება

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში № ქართ. მსრ. დივიზიის მეთაურმა ამხ. გიორგაძემ სამთვიან სამოსწავლო შეკრების შესახებ განაცხადა შემდეგი:

სამთვიანი სამოსწავლო შეკრების ჩატარება დივიზიაში იწყება 17 მაისიდან. მზადება იწარმოებს დივიზიის რეგიონში თბილისში, ქუთაისში და გორში.

შეკრებაზე უნდა გამოცხადდნენ ახალგაზრდები, დაბადებულნი 1905 წელში, რომელნიც გაწვეულ იქნენ წითელი ჯარის რიგებში გასული წლის შემოდგომაზე და ჩაირიცხნენ ტერიტორიალურ ნაწილებში.

სამოსწავლო შეკრების დამთავრების შემდეგ ეს ახალწვეულნი ჩაირიცხებიან დივიზიის ნაწილების ცვალებად წითელ არმიელებად და სამხედრო სამსახურს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში გაივლიან თავისივე ნაწილებში. ახალწვეულთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოიხდის სამხედრო სამსახურს ჯარის გარეშე მომზადების წესით.

ოთხი წლის განმავლობაში ცვალებადნი ყოველწლიურად გაწვეული იქნებიან დივიზიის საერთო შეკრებაზე წელიწადში 1—2 თვით და აგრეთვე ჩაბმულ იქნებიან შეკრებათაშორისო მუშაობაში, რომელიც გამოიხატება ერთდღიან შეკრებაზე გამოცხადებაში და ინდივიდუალურ დავალებების შესრულებაში.

სამოსწავლო შეკრების დროს მთავარი ყურადღება მიექცევა მარჯვე მსროლელის და მეტყვიამფრქვევის მომზადებას, ყურადღება მიექცევა აგრეთვე ახალწვეულთა ფიზიკურ მომზადებას და მთაში ისეთ ჩვევათა გამომუშავებას, რომლებიც საჭირონი არიან სამხედრო დარგში.

სამხედრო მზადებასთან ერთად წარმოებული იქნება პოლიტმეცადინეობაც, რომლის მიზანია ახალწვეულთაგან ისეთი მებრძოლ-მოქალაქის გამომუშავება, რომელსაც შეგნებული აქვს წითელი არმიის მნიშვნელობა, მისი ორგანიზაციის პროლეტარულ-კლასობრივი ხასიათი და თავისი მოვალეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის დარგში.

შეკრებაზე გაწვეულ მუშა-მოსამსახურეებს ენახებათ ადგილი სამსახურში შეკრების განმავლობაში, მხოლოდ ჯამაგირი ამ ხანში არ მიეცემათ. მათ აქვთ უფლება მიიღონ მხოლოდ 2 კვირის დახმარება. უმუშევართა ოჯახები იღებენ დამატებით დახმარებას.

შეკრებიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული. დაგვიანების და გამოუცხადებლობის მიზეზი მიღებულ იქნება სტიქიური უბედურება ან გაწვეულის ჯანმრთელობა. ის გაწვეულნი, რომლებიც დაიგვიანებენ, არ გამოცხადდებიან შეკრებაზე არა საპატიო მიზეზის გამო, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

დასასრულ ამხ. გიორგაძემ გამოსთქვა რწმენა, რომ მომავალი ტერიტორიალური შეკრება იქნება ნაყოფიერი, რადგან წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირი

„სოფლის კავშირთან" არსებულმა კოლექტიურ მეურნეობათა სექციამ ამ რამოდენიმე ხნის წინეთ დაამთავრა საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევა. გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ, გუშინ სექციამ მოიწვია კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების თათბირი. თათბირს დაესწრნენ აგრეთვე სახ.-სამ. ბანკის და მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლებიც. კოლმეურნეობათა სექციის თავმჯდომარის ვ. ცაგარელის მოკლე შესავალ სიტყვის შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები სიღნაღის, ზუგდიდის, ბორჩალოს და თბილისის მაზრების კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სიღნაღის მაზრაში არსებობს 75 კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 1,300 კომლი, კოლმეურნეობათა განკარგულებაში იმყოფება 628 დეს. მიწა. მეურნეობის მთავარ დარგებს შეადგენენ მევენახეობა და ხორბლეულობის კულტურა.

ზუგდიდის მაზრაში არსებობს 50 კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია 573 წევრი. კოლექტივების განკარგულებაში იმყოფება 491 დეს. მიწა. მეურნეობის მთავარი დარგები: მევენახეობა, მეთამბაქოობა, ჩაი კენაფი და მანდარინა.

თბილისის მაზრაში გამოკვლევის დროს არსებობდა 18 კოლექტიური მეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებული იყო 367 კომლი.

ბორჩალოს მაზრაში გამოკვლევის დროს არსებობდა 7 სამანქანო ამხანაგობა, რომელშიაც გაერთიანებული იყო 282 კომლი. გამოკვლევის დროს ჩამოყალიბდა 7 ახალი სამანქანო ამხანაგობა.

მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ ამხანაგობების სათანადო სიმაღლეზე ვერა სდგას საორგანიზაციო საქმიანობა. ბევრ მეურნეობაში ჩამოყალიბებული არ იყო მმართველი აპარატი და საქმე სწარმოებდა პრიმიტიული სახით; ანგარიშწარმოება კოლმეურნეობათა უმრავლესობაში სრულიად არ არსებობდა, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება; სათანადოთ ვერ არის მოწესრიგებული აგროკულტურული დახმარების საქმე. მომხსენებლები აღნიშნავდნენ აგრეთვე მიწადმოწყობის საკითხის მოუგვარებლობას, რაც საგრძნობლად აფერხებს კოლმეურნეობათა საქმიანობის ნაყოფიერებას (მიწის ნაკვეთების დაქსაქსულობა).

სათანადოთ ვერ არის მოწყობილი სახ.-სამ. იარაღ მანქანებით მომარაგების საქმეც. ზოგიერთ რაიონებში თავმოყრილია მანქანების დიდი რაოდენობა და ნაწილი ამ მანქანებისა გამოუყენებელია, იმ დროს, როდესაც ზოგ რაიონში მანქანები მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვება (ზუგდიდის მაზრა). ამას თანავე მანქანები არ არის შერჩეული რაიონის ნიადაგის პირობების მიხედვით, რაც ამცირებს ამ მანქანების მუშაობის ნაყოფიერებას.

მოუწესრიგებელია აგრეთვე ამხანაგობების პროდუქციის რეალიზაცია, ინსტრუქტორებმა ადგილებზე მიუთითეს ყველა შემჩნეულ დეფექტებზე და როგორც ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები, აგრეთვე თვით ამხანაგობებიც ღებულობენ ზომებს შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში

კვირას, 13 მაისს, შესდგა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება. თავმჯდომარემ ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ დაახასიათა გარდაცვალებული ამხ. ა. ციურუპა, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი მუშაკი და მშენებელი და წინადადება მისცა დამსწრე საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მისი ხსოვნისათვის.

შემდეგ კრებამ მოისმინა ტეხნიკური საზოგადოების გამგეობის დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ გამგეობის წევრებს შეაქვთ ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ თითო თუმანი და იწვევენ საზოგადოების ყველა წევრებს დასახმარებლად. საზოგადო კრებამ მოიწონა გამგეობის ეს გადაწყვეტილება და ამასთანავე დაადგინა გაგზავნოს ქუთაისში ინჟინერთა კომისია ინჟ. გ. ქურდიანის თავმჯდომარეობით დაზარალებული რაიონის დაგეგმვისა და კეთილმოწყობის საკითხების შესასწავლად და გამოსარკვევად.

დაბოლოს მოსმენილ იქნა ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება ფარავნის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის შედეგების შესახებ. გამოკვლევის გეგმა წამოყენებული იყო 1921 წელს ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მიერ ბ. მიქელაძესთან ერთად, მაგრამ თანხების მიღება და გამოკვლევის დაწყება მოხერხდა მხოლოდ 1927 წელს. წინასწარი გეგმების დამუშავებისათვის გადადებულია ცენტრის მიერ 150.000 მანეთი, რომლიდანაც უკვე მიღებულია 70.000 მან. გამოკვლევას აწარმოებდა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის ჰიდროტეხნიკური ბიურო საქართველოს ს. მ. უ.-სთან ხელშეკრულების თანახმად 1921 წ. წამოყენებულ სქემატიური ვარიანტის მიხედვით. ჩატარებულ გამოკვლევამ სავსებით დაადასტურა 1921 წლის მოსაზრებანი ამ სადგურის შესახებ. (სადგური იქნება მაღალ დაწნევიანი, 100.000 ცხ. ძალ. მუდმივი სიმძლავრით) საველე სამუშაოები უკვე დასრულებულია და ეხლა უნდა შეუდგენ მასალის დამუშავებას იმ ვარაუდით, რომ წელს მოხერხდეს წინასწარი გეგმის შედგენა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ინჟ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენება ფარავნის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის შესახებ, საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება სთვლის გამოკვლევის მასალას საყურადღებოდ, ხოლო თვით საკითხს ფრიად მნიშვნელოვნად და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ გეგმების შედგენა დაჩქარებით ჩატარდება და ეს საქმე საჭირო თანხებით უზრუნველყოფილი იქნება".

თბილისის მშრომელნი ბელა კუნის დასაცავად

საერთაშორისო ბურჟუაზიის მორიგმა ვერაგობამ—ავსტრიის მთავრობის მიერ ამხ. ბელა-კუნის შეპყრობამ და მისმა განზრახვამ გადასცეს ბელაკუნი უნგრეთის ბურჟუაზიულ სასამართლოს—თბილისის პროლეტარებში გამოიწვია სასტიკი პროტესტი. მთელი რიგ წარმოებებსა და დაწესებულებებში შესდგა მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებმაც ერთხმად გამოიტანეს დადგენილება ფაშისტების ველური მოქმედების წინააღმდეგ.

თბილისის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა შორის

14 მაისს შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. გ. სანაკოევის ინფორმაცია ამხ. ბელაკუნის დაპატიმრების შესახებ, კრება აღშფოთებას გამოსთქვამს ბელაკუნის დაპატიმრების გამო და მოუწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ზომები მიიღონ კომუნისტ რევოლიუციონერის—ამხ. ბელაკუნის განსათავისუფლებლად.

რკ. გზის მთავარი სახელოსნოებში

იმავე დღეს თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. სართანიას ცნობა ამხ. ბელაკუნის უნგრეთის მთავრობისათვის გადაცემის განზრახვის შესახებ და ერთხმად დაადგინა—უღრმესი პროტესტი განაცხადოს ავსტრიის ფაშისტების ამ ვერაგული განზრახვის წინააღმდეგ და მოუწოდოს მთელი ქვეყნის, განსაკუთრებით, უნგრელ და ავსტრიელ პროლეტარებს მედგრად დაიცვან თავდადებული რევოლიუციონერი ფაშისტების თვითგასამართლებისაგან.

სად. თბილისის კონდუქტორთა საერთო კრება

სადგ. თბილისის კონდუქტორთა საერთო კრებამ მოისმინა რა ცნობა ამხ. ბელაკუნის დაპატიმრების შესახებ, გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც კატეგორიულად მოითხოვს ამხ. ბელაკუნის განთავისუფლებას.

თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა შორის

14 მაისს შესდგა თბილისის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 1600 კაცი. ამხ. ბელაკუნის დაპატიმრების გამო კრებამ ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც დეპოს მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ მუშათა ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლ-რევოლიუციონერის განთავისუფლებას და ამასთან ერთად მოუწოდებენ მსოფლიო პროლეტარიატს მხარში ამოუდგეს საბჭოთა მუშების მოთხოვნილებას ამხ. ბელაკუნის განთავისუფლების შესახებ.

თბილისის მ. გ. მილიციის საერთო კრება

თბილისის მ. გ. მილიციის საერთო კრებამ, რომელმაც მოისმინა ამხ. კუკულავას მოხსენება ბელაკუნის დაპატიმრებისა და ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე თავდასხმის შესახებ პოლონეთში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: ბურჟუაზიული სახელმწიფოები პროლეტარიატის ბელადის დასჯის მიზნით არ ერიდებიან თავიანთ კანონების ფეხქვეშ გათელვასაც კი. ამას ამტკიცებს ზეიპელის განზრახვა გადასცეს ბელაკუნი უნგრეთის ჯალათ—ხორტის. ჩვენ—თბილისის მილიციის თანამშრომელთა საერთო კრება პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ და მოვითხოვთ ბელაკუნის განთავისუფლებას.

ასეთივე აღშფოთებას გამოსთქვამს კრება ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელზე მომხდარ თავდასხმის გამო.

მთავარ ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეები

ამხ. ბელაკუნის დაპატიმრებისა და პოლონეთში ჩვენ სრულუფლებიან წარმომადგენელზე მოწყობილ თავდასხმის გამო, მთავარ ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც გაიმართა 14 მაისს მთ. ტელეგრაფის კანტორაში, ერთსულოვან პროტესტს აცხადებს ამხ. ბელაკუნის წინააღმდეგ ჩადენილ ვერაგობის გამო და მოუწოდებს საერთაშორისო პროლეტარიატს დადგენ საბჭოთა კავშირის—მშრომელთა ერთადერთი რესპუბლიკის საერთაშორისო ინტერესების სადარაჯოზე.

პურის ბაზრის მოწესრიგება

თათბირი ვაჭრობის კომისარიატში

პურის ცხობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თბილისის აღმასკომის სავაჭრო კომისიის და კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი.

ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. მგალობლიშვილმა აცნობა თათბირს, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში თბილისში ყოველდღიურათ ცხვება 9.200 ფუთი პური, ე. ი. ნორმაზე მეტი 1900 ფუთით. აღნიშნული იქნა, რომ უკანასკნელ ხანში თბილისიდან ახლო მახლო რაიონებში გადის გამომცხვარი პური, რაც გამოწვეულია გასული წლის მოუსავლობა, მიუხედავად ამისა, უკანასკნელი დღეების გადიდებული ნორმა მთლიანად ვერ იყიდება და ყოველდღიურათ რჩება გაუსაღებელი 400 ფუთამდე პური.

თათბირმა დაადგინა—მომავლისთვის დღიურ ნორმათ დატოვებული იქნეს 9.000 ფუთი ფქვილი, რომელიც ორგანიზაციათა შორის განაწილებული იქნება შემდეგ ნაირათ: მუშკოოპს—5.000 ფუთი „ზაკტპო"-ს—1.200 ფუთი და „ხარეწკოოპკავშირს"—2.800 ფუთი.

თბილისის აღმასკომის სავაჭრო კომისიას დაევალა გამოარკვიოს, თუ რა რაოდენობის პური გადის თბილისიდან ახლო მახლო რაიონებში ყოველ დღიურათ, რა მიზნითაც გამოკვლეული უნდა იქნეს პურის ბაზარი და გამოკვლევის შედეგები ეცნობოს საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატს. პურის მცხობელ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ 17 მაისამდე გამოაცხონ მხოლოდ 1 ხარისხის პური. ხოლო 18 მაისიდან: 1 ხარისხის—70 პროცენტი და მე-3-ე ხარისხის —30 პროცენტი „ხლებოპროდუქტს" წინადადება მიეცა ფქვილი ყოველ დღიურათ გასცეს შემდეგი ასორტიმენტით: 1 ხარისხის—70 პრ., მეორე ხარისხის—15 პროც. და მესამე ხარისხის—15 პროც.

თეთრი პური

გუშინდელიდან ქალაქში დაიწყო თეთრი პურის ცხობა.

იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად პურის ბაზარზე და მოსალოდნელია თუ არა კიდევ პურის კრიზისი, თბილისის აღმასკომთან არსებულ ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

ქალაქში პურის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი იყო კერძო პურის საცხობების დახურვა, რამაც გამოიწვია პურის ცხობის შეფერხება და გამომცხვარ პურის ცალკე რაიონებში არანორმალური განაწილება. მაგალითად, კერძო ფურნეების დახურვის პირველ ხანებში ტეხნიკურათ შეუძლებელი შეიქნა ყველა რაიონებში კოოპერატიული საცხობების საჭირო რაოდენობით გახსნა, ამას ზედ დაერთო პურის ფქვილის მიწოდების შეფერხება, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ტრანსპორტის არანორმალური მუშაობით დიდი ზამთრის გამო. ყველა მიზეზებმა გამოიწვიეს პურის კრიზისი თბილისის ბაზარზე.

ვინაიდან წითელი პურის ფქვილის მარაგი საკმაო მოიპოვებოდა და, პურის ბაზრის მოწესრიგების მიზნით კოოპერატიულ ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს დროებით მთლიანად გადასულიყვნენ წითელი პურის ცხობაზე.

ამასთან ერთად მიღებული იქნა ზომები რაიონებში პურის სავაჭროების საჭირო რაოდენობით გასახსნელად. ამ მიზნით ჩატარებული იქნა წინასწარი მუშაობა იმის გამოსაკვლევად, თუ რომელ რაიონს მცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით რამდენი სავაჭრო ესაჭიროება დასაკმაყოფილებლად.

ამჟამად მთელს ქალაქში უკვე გახსნილია 559 სავაჭრო პუნქტი, რომელიც სავსებით საკმაოა მცხოვრებლებისათვის პურის დაუბრკოლებლივ მისაწოდებლად.

სათანადო ორგანოების მიერ მიღებული ზომებით წითელი პურის ცხობის პერიოდში თბილისისათვის საჭირო რაოდენობით იქნა დამზადებული თეთრი ფქვილი და თეთრი პურის ცხობაც დაიწყო გუშინდელიდან.

თბილისის თეთრი პურით სავსებით უზრუნველყოფილია და ამ მხრივ არავითარი კრიზისი არ არის მოსალოდნელი შემდეგში.

თეთრ პურთან ერთად იწარმოებს წითელი პურის გამოცხობაც.

პურის წესიერად გამოცხობას და მის თავის დროზე მიწოდებას რაიონებისათვის მეთვალყურეობას უწევს თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიული სექცია, რომელსაც ყოველ რაიონზე მიმაგრებული ყავს წევრები.

კინო

კულტურული ნაშრომი, რომელიც სისულელეს მოხმარდა

(სახკინმრეწვი.—„ბოშური სისხლი".—დადგმა ლევ პუშის, ოპერატორი გალპერინი და მ. კალატოზიშვილი)

როდესაც ამ სურათს უყურებ მხოლოდ ერთი აზრი გებადება. რამდენი კინემატოგრაფიული გამოგონება, კულტურული შრომაა დახარჯული არაჩვეულებრივ სისულელეზე. და მართლაც რა სოციალური დანიშნულების და ვისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაიდგა ეს სურათი? ათას ერთი გადმოცემა თემისა სისხლის აღების ადათის შესახებ, რასაკვირველია, ბრძოლა სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ეხლაც დროულია. მაგრამ სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლასაც ვერ ვხედავთ ამ სურათში. ჩვენ ახლოს მთიული ხალხი სცხოვრობს, სადაც ეს ადათი არის გამეფებული. მაშასადამე ბრძოლა ამ ჩვეულების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული ადათის კონკრეტ რეალური მატარებელ ხალხის მასალის გამოყენებით. პუშს კი აუღია ბოშების ცხოვრება ჩვენთვის სრულიად განყენებული და მორიგული ტომისა. ამიტომ სურათის ეს ერთად ერთი გასამართლებელი მოსაზრებაც არ გამოდგება. თავისთავად გადასაღები ამბავი დრამატიულად ცუდად არის განვითარებული და ამ მხრივ სცენარისტების მუშაობა სუსტია. არ არის სიუჟეტური მთლიანობა. სურათი თემატიურად (და არა კინემატოგრაფიულად) ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის მოცემული. პარალელური მოქმედება ურთიერთად დაუკავშირებელ მომენტებისა მექანიკურად შეკოწიწებულ ეპიზოდთა შთაბეჭდილებას სტოვებს. პროლოგი შემდეგ, სადაც ჩაისახა მტრული გრძნობა ვლადსა და მურდოს შორის, დაშორებულია სიუჟეტის შემდგომ განვითარებას. მით უმეტეს, რომ ვლადი დამოუკიდებლად სცხოვრობს და მურდო კი განაგრძობს თავის ქარავნით ხეტიალს. ეტყობა, რომ მათი შეხვედრა იმიტომ მოხდა, რომ სურათის პროლოგით გათავება არ შეიძლებოდა და საჭირო იყო კიდევ შვიდი მოქმედების გადაღება. იგივე ითქმის სურათის ბოლოზე. მაყურებელი ზიხარ და დასასრულს ელდი, სურათი კი თურმე გათავებულია. ეს ალბად იმიტომ, მოხდა, რომ არც რეჟისორებმა და არც სცენარისტებმა არ დაამუშავეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როდესაც გიცა ცეკვის შემდეგ სახლში დაბრუნდა და იქ მამა არ დახვდა. ის სადღაც გარბის, მაყურებელმა არ იცის, რომ ის მიორას საშველად მიეშურება. ეს ეპიზოდი რომ უფრო ნათლად ყოფილიყო დამუშავებული, მაშინ მაყურებელი დაინტერესებული იქნებოდა. მოუსწრებს გიცა ბრძოლას და შესძლებს თუ არა მიორას განთავისუფლებას. მაშინ ამერიკული „ბედნიერი დასასრული" სიუჟეტურად და კინემატოგრაფიულადაც გართულებული იქნებოდა.

მაგრამ სურათის მხოლოდ ამ მხრივ დაფასება აუცილებლად დიდი შეცდომა იქნებოდა, რასაკვირველია, ამგვარი რეცენზია ობიექტიურ ხასიათს დაჰკარგავდა. პუშის „ბოშური სისხლი" გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, პირველი კინემატოგრაფიული სურათია, სახკინმრეწვის ყველა სურათებში „წითელი ეშმაკუნების" შემდეგ; ამ სურათში შესანიშნავად არის გაგებული და გადმოცემული კინოს ბუნება, მისი დინამიურობა. როდესაც პროლოგის პირველ კადრებს უყურებთ თქვენ უკვე გრძნობთ, რომ კინოფაქტს უყურებს და არა თეატრალურ პანტომიმასთან გაქვთ საქმე. ამ მხრივ პუშს აქვს დიდი მიღწევა. მთელი სურათი ოსტატურ დინამიურ პრინციპზე არის აგებული, მიუხედავად სისულელისა, რომელსაც თქვენ უყურებთ, რომელიც ამასთან ერთად სიუჟეტურად სუსტად არის გაკეთებული, მაყურებელი დაჭიმული ნერვებით უყურებს მოქმედების განვითარებას. ამ მხრივ ამ სურათმა განსაცვიფრებლად დაამტკიცა, რომ კინო ეს მოძრაობათა რიტმიული ორგანიზაციაა და თუ რეჟისორმა მოძრაობის ორგანიზაციის რიტმს მიუგნო, მისთვის სურათის კინემატოგრაფიული მთლიანობა უკვე უზრუნველყოფილია, შესანიშნავი, ზუსტი, ოსტატური მონტაჟი მთელი სურათის გასწვრივ. მონტაჟი, რომელიც არის კინომუშაობის საფუძველი, პუშს ზედმიწევნით შეუსწავლია. ლევ პუში ძველი მონტაჟისტია, ის, თუ არ ვცდები, ათი წელიწადი მონტაჟისტად მუშაობდა. ეს ცოდნა მას ამ შემთხვევაში შესანიშნავად გამოადგა. მხატვრისა და მსახიობთა მუშაობამ იხსნა სურათის „გაბითურება", და თუ „ბოშური სისხლი" საბოლოოდ კარგი სურათია, ეს იმიტომ, რომ იქ მშვენიერად, ოსტატურად არის გაკეთებული მონტაჟი და შესანიშნავად მუშაობენ მსახიობები. ყოვლად შეუძლებელია არ აღინიშნოს მსახიობთა კოლექტიური ანსამბლის წმინდა კინემატოგრაფიულ-პლასტიური მუშაობა. ეს ამ მხრივაც პირველი წმინდა კინემატოგრაფიული სურათია სახკინმრეწვის საერთო პროდუქციაში. არც ერთ მსახიობში არც ერთი ყალბი „ფსიქოლოგიური" ჟესტი, უბრალო მოძრაობის ბუნებრივი ორგანიზაციის პრინციპი მუშაობისა. არც ერთი თეატრალური მიზანსცენა. ყველა მსახიობი ისე კარგად მუშაობს, რომ ჩვენ არც კი ვიცით, რომელი უფრო აღსანიშნავია. თილეთ მარია შირაი. შესანიშნავად მომუშავე მსახიობი. ამნაირი მეორე მუშა-აქტიორი სახკინმრეწვს არა ჰყავს და არც ეყოლება ალბად, რადგან მარია შირაიმ განვლო დიდი სკოლა ცირკის აკრობატიკი, ცირკის მუშაკის დასრულებულ მოძრაობამ ჩვენ მოგვცა მშვენიერი კინო-მსახიობი ქალი. შირაი არ ეკუთვნის „ლამაზ თვალებიან" და „შესანიშნავ ტუჩებიან" ეგრეთ წოდებულ მსახიობებს, რომლებით სავსეა კინემატოგრაფია. ის ეგებ ულამაზოც არის, მაგრამ ის შესანიშნავი კინემატოგრაფიული მსახიობია. თუ ჩვენ ქალებს მსახიობებს სურთ კინოში მუშაობა, მათ ჩვენ უნდა ურჩიოთ შირაისაგან ისწავლონ, თუ როგორი მოძრაობაა საჭირო კინოში. შესანიშნავია ა. თაყაიშვილი, კოტე მიქაბერიძე და ზაალ თერეგი. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ თაყაიშვილი ერთი საუკეთესო მსახიობთაგანი არის. მიუხედავად იმისა, რომ ის თეატრიდან მოვიდა, ყველა მის სურათებში და აქაც, არც ერთი თეატრალური ჟესტი მთელი სურათის გასწვრივ. მეტად ძნელი იყო თაყაიშვილისათვის ამ როლის შესრულება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის ცალთვალა მუშაობდა. მაგრამ აქ სწორედ ამ თვალის შესახებ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ. ცალთვალობა მშვენივრად გამოიყენა თაყაიშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ ის მთელ სურათში ამ თვალით და მარცხენა ხელით თამაშობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, გალპერინის იშვიათი ფოტოგრაფია, როდესაც მან განათების სპეციალური სისტემით სურათი შავ ფონზე ეს ერთად ერთი ბრწყინვალე თვალი გასაოცრად გადაიღო.

კოტე მიქაბერიძემ ამ სურათით პირველად აღმოაჩინა თავისი თავი კინოში. მიქაბერიძემ იპოვა ტიპი და როლი. ის განთავისუფლდა კონცერტად ვოდევილის პსიქო-პოზებიდან და მუშაობს წმინდა კინო მეთოდებით. მსახიობის კულტურა იზრდება მიქაბერიძეში. მან სძლია ძველი ტრაფარეტი და მოგვცა მშვენიერი სახე ახალგაზრდა ცხოვრებით სავსე სისხლმდუღარე ბოშისა. მიქაბერიძეს ერთი რჩევა—განაგრძოს აღებულ გზით მუშაობა.

კარგია ზაალ თერეგი. ის თითქოს პროფესიით ძალიან შორს სდგას კინო-მსახიობის ხელოვნებისაგან, მაგრამ მუშაობამ, რეჟისორის კინოს ცოდნამ, აქაც სძლია არცოდნას და თერეგი კარგად მუშაობს სურათში.

რომ რეჟისორი სურათში მსახიობზე მუშაობდა ეს იქიდან ჩანს, რომ შემთხვევითი სტატისტიც კი, როგორიც არის ფაქტიურად იანი ზარუკილი კარგ კომიკურ სახეს იძლევა უძლურ ვაჭრის შვილისა.

ოპერატორები გალპერინი და კალატოზიშვილი აუცილებლად კარგ პროდუქციას იძლევიან. სურათში არ არის ტრაფარეტული კადრები. მშვენიერი განათება, რელეფური ფოტოგრაფია. მაგალითად აღსანიშნავია ცეკვა და ხანძარი (ვლადის სახლში, გალპერინის მიერ გადაღებული.

სამწუხაროა, ვიმეორებთ, რომ ეს მშვენიერი შრომა ამნაირ სისულელეს მოხმარდა და უკეთესი გადასაღები მასალა არ გამოადგა.

ლ. მალანჩიშვილი.

ქრონიკა

ინჟ. გ. ჟიჟინაძის გამგზავრება

ქუთაისში გაემგზავრა ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ინჟ. გ. ჟიჟინაძე, რომელსაც დავალებული აქვს გამოიკვლიოს, თუ რა სახის დახმარებას უფრო საჭიროებენ ცეცხლისაგან დაზარალებულნი და ან რა სახის დახმარებას აღმოუჩენს მათ ს.მ.უ.ს.-თან დაარსებული დამხმარე კომისია.

საგლეხო სესხის რეალიზაცია

უკანასკნელი ცნობებით, გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები საქართველოში გასაღებულია 1.020.000 მან. რაოდენობით. ეს თანხა მნიშვნელოვნად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას.

მაუდის ფაბრიკის სამუშაოები

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე, თბილისის მაუდის ფაბრიკის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ მოსმენილ იქნა სპეციალური მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ფაბრიკის მთავარი კორპუსის აგება დამთავრდება 15 სექტემბრისათვის. ამას გარდა საჭიროთაა ცნობილი, რომ ზოგიერთი ისეთი სამუშაოები, რომლებიც ხელს უშლიან მთავარი საალმშენებლო სამუშაოების წარმოებას, სასწრაფო წესით იქნეს დასრულებული.

ახალმშენებლობათა სამმართველოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები საზოგადოება „საშენის“ სამრეწველო თანხების გასაძლიერებლად, რომ აღნიშნულმა საზოგადოებამ თავის დროზე, შესძლოს ფაბრიკის ყველა სამუშაოების შესრულება.

თბილისის ალმასკომში

◆ სკოლებისათვის ახალი შენობების ასაშენებლად თბილისის ალმასკომმა საკავშირო ფონდიდან გამოითხოვა საჭირო თანხები.

◆ საბავშვო ბაღები მუშათა სახლებთან. თბ. ალმას. დაადგინა მუშათა საბინაო ამხანაგობების სახლების აგების დროს გათვალისწინებული იქნეს საბავშვო ბაღების და მოედნების მოწყობა.

◆ საკირე. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ქალაქის ფარგლებში ააგოს ახალი საკირე.

◆ კანალიზაცია. კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა გარეუბნებში მდებარე სახლებში კანალიზაციის გაყვანას.

◆ განათლების განყოფილებას დაევალა მომავალ სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს წლედების სპეცკურსებად და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად გადაკეთების გეგმა.

◆ სახლების გამოკვლევა. თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა გამოიკვლიოს კერძო პირთა სახლების მდგომარეობა. მოუვლელი და შეუკეთებელი სახლები ჩამოერთმევათ მეპატრონეთ.

სახ. უნივერსიტეტში

◆ დღეს, 16 მაისს დღის 1-ლ საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა საერთო კრება ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— სახელმწიფო გამოცდები. სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტზე დანიშნულია გამოცდები: სალიტერატურო დარგისათვის—1-ლ ივნისს, 12 ივნისს და 23 ივნისს. საისტორიო დარგისათვის—4 ივნისს, 18 ივნისს და 25 ივნისს. სამათემატიკო დარგისათვის და საბუნებისმეტყველო დარგისათვის ვადები ცალკე იქნება გამოცხადებული.

განათლების მუშაკთა კავშირში

◆ ბორჯომის საგარაკო სახლის შესაკეთებლად განათლების მუშაკთა კავშირმა გადადო 1.200 მანეთი.

◆ საექსკურსიო ბიურო. განათლების მუშ. კავშირთან მოეწყო ცენტრ. საექსკურსიო ბიურო, რომელიც უხელმძღვანელებს კავშირის წევრთა ექსკურსიების მოწყობის საქმეს.

◆ თეატრი ნაძალადევში. თბ. ალმასკომის დადგენილებით მუშათა ახალი თეატრის აგება ნაძალადევში დაიწყება ივლისში. თეატრი დაიტევს 1.000 კაცამდე.

სხვადასხვა

◆ გამოფენა. საქპროფსაბჭოს კულტგანყოფილება დღეს მუშათა სასახლეში აწყობს პროფკავშირთა საბიბლიოთეკო მუშაობის გამოფენას, რომელზედაც წაკითხული იქნება ლექცია. გამოფენა გასტანს 20 მაისამდე.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. წალენჯიხიდან—ბოკერიას, ქუთაისიდან—არონიშიძეს, ჩოხატაურიდან და ცხინვალიდან—მასვე, ბუკისციხიდან—შარაშიძეს, როსტოვიდან—ელენეს, ახალციხიდან—მაველოვს.

სასამართლო

არსენ სარიბეგოვს ღვინები არ გაუვიდა

არ უშველა არსენ სარიბეგოვს 22 წლის ვაჭრობის სტაჟმა, მისმა „გამოცდილებამ“ და „გამჭრიახობამ“.

სასამართლოს სხდომაზედაც ცდილობდა საბუთებით ხელში დაემტკიცებია, რომ მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება მისი ცოლის საკუთრებაა. ოცდაორი წლის ვაჭარს თავისი საკუთარი ნივთიც არა აქვს თავის სახლში!

სასამართლომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ არსენმა თაღლითობა ჩაიდინა, ცოლს მაშინ დაუმტკიცა სახლ-კარი, როცა გადასახადით იყო დაბეგრილი—ამიტომ დაადგინა ეს ამბავი ეცნობოს რესპუბლიკის პროკურორს სათანადო ზომების მისაღებად.

არსენს არც „გაკოტრების“ ამბავი დაუჯერეს. სასამართლოში დამტკიცდა, რომ სარიბეგოვმა მთელი თავისი საქონელი ფულად აქცია, დააცალიერა ღვინის სარდაფი და კარები გამოკეტა იმიტომ, რომ გადასახადი ეცილებინა თავიდან.

სასამართლომ არსენ სარიბეგოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და 6 თვით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

საქმე გაარჩია საგადასახადო კამერამ.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ფანცხავა, სახალხო მსაჯულები: შელეგია და ჩიხლაძე, საზოგადოებრივი ბრალმდებელი—მშვენიერაძე, საქალაქო მაძიებელი—გობეჩია, მდივანი—ბეთანელი.

საქმე გაირჩა სავაჭრო ავლაბრის მუშათა კლუბში. გასამართლებას ბევრი ხალხი დაესწრო.

მთვრალი შეყვარებული

აპეტ მელოიანცს შორიდან უყვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი, კირაკოზოვის ასული. ეს ამბავი იცოდა მისმა ამხანაგმა ხაჩატურ სოგომონოვმა, რომელიც ქალის მეზობლად ცხოვრობდა.

ხშირად დადიოდა მელოიანცი თავის ამხანაგთან და თავის გულისტკივილს უზიარებდა. სოგომონოვიც ამხნევებდა გამიჯნურებულ ამხანაგს და ავთანდილისებურ დახმარებას აღუთქვამდა.

— არ მომათხოვებენ მშობლები თუ იცი? დამიწუნებენ? რას იტყვი, ხაჩატურ!

— არ მოგითხოვებენ და აგერ არა ვარ! სულ ავაფეთქებ კირაკოზოვებს;—სოგომონოვმა შეკუმშული მუშტი დაჰკრა მაგიდაზე.

— აი მეგობარიც ასეთი უნდა! შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა! წამოდი, ხაჩატურ, ერთი ამ დარდიან გულზე ცოტა გადავკრათ!

წავიდენ ამხანაგები სარდაფში. დალოცეს ერთმანეთი. შეფიცეს მეგობრობა თავგანწირვამდე. სოგომონოვმა გამიჯნურებულ ამხანაგს დაულოცა ბედ-იღბალი და უსურვა მალე დაქორწინება კირაკოზოვის ქალზე. შეათვრეს ერთმანეთს.

მელოიანცს მოეკიდა ცეცხლი. ეხლავე უნდა წინადადება მისცეს კირაკოზოვის მშობლებს, რომ მათი ქალიშვილი სხვას არ მიათხოვონ.

მთვრალი მელოიანცი შევარდა კირაკოზოვის სახლში, სადაც ქალის დედაც დაუხვდა.

— მაძლევთ თუ არა თქვენს ქალს? ეხლავე მითხარით პასუხი!

— წადი! ეხლავე გაიპარე აქედან, თორემ თუ მოგისწრო მამამისმა, ვაი შენი ბრალი!—უპასუხებს ქალის დედა.

მელოიანცი აენთო ბრაზით. როგორ გაუბედეს ასეთი კადნიერი პასუხი...

ერთი ლაზათიანად შეუკურთხა „მომავალ“ სიმამრსა და სიდედრს და სტაცა სკამს ხელი. ქალებმა მორთეს კივილი. შეიქნა „არეულობა“ მთელს ეზოში. გაჩნდა მილიციელიც.

შეყვარებული მელოიანცი წაიყვანეს კომისარიატში და საპატიმრო ოთახში მოათავსეს.

ეს ამბავი რომ „ძმად ნაფიცმა“ სოგომონოვმა გაიგო, იერიში მიიტანა კირაკოზოვების ოჯახზე. შეიჭრა ბინაში, გადმოითრია მეგობრის სატრფო და დაუწყო ცემა.

სოგომონოვს უნდოდა „საგმირო“ საქმე ჩაედინა, ჩანგლით მოეკლა კირაკოზოვის ქალი, მაგრამ მილიციელმა ისიც დააპატიმრა და მეგობარს მიუჯინა გვერდით.

საქმე გაარჩია სამორიგეო კამერამ. ორივეს მიესაჯა ექვს-ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

გარყვნილების ბუდე

ანა აგაჯანოვის ქალი ციმბირიდან ჩამოსულა ჩვენს დედა-ქალაქში „სპეციალური დანიშნულებით“.

ჭრა-კერვა იცოდა კარგად, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ „მანიკური“ არ გაფუჭებოდა, თავი მიანება და უფრო ადვილ საქმეს მოკიდა ხელი.

თავისი ოთახი მოაწყო „სტუმრების“ მისაღებ ოთახად, აიყვანა აღრიცხვაზე მეძავი ქალები, ერთი სიტყვით გახსნა სხეულით ვაჭრობა.

ვაჭრობა პირველადვე კარგად განავითარა. შემოსავალი კარგი ჰქონდა. სმა-ჭამა, ქეიფი და დროს-ტარება ხომ ყოველდღე იყო მის ოთახში.

მდგმურებს არ ჰქონდათ მოსვენება. აძლევდენ წინადადებას, რომ თავი გაენებებია გარყვნილი ცხოვრებისათვის, მოსვენება მიეცა მდგმურებისათვის.

აგაჯანოვას ქალი ლაპარაკსაც არ კადრულობდა მეზობლებთან.

1927 წლამდე ასეთი ხელობით სცხოვრობდა აგაჯანოვა. შემდეგ კი გამასწორებელ სახლში ამოჰყო თავი.

თბილისის სამხრო სასამართლომ ამხ. ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით გუშინ გაარჩია ეს საქმე. ანა აგაჯანოვას მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

შემთხვევები

პლაშების გატანა ყალბი ჩეკებით

საქარ. სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიიდან ვიღაც ბოროტმოქმედს ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გაჰქონდა პლაშები. გუშინ მილიციამ ბოროტმოქმედი დააპატიმრა. იგი აღმოჩნდა ირაკლი სიმონის ძე კოტია.

ქურდობა მუშათა კლუბებში

უკანასკნელ ხანებში ცენტრალურ და ახალ მუშათა კლუბებში სამხედრო კუთხეებიდან სისტემატიურად იკარგება სხვადასხვა იარაღები. ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ ქურდობას ეწეოდენ ხსენებულ კლუბების თანამშრომლები: ვასილ ვასილევსკი და ივანე კალაშნიკოვი. ორივე დაპატიმრებულია.

დაკარგულ იარაღების ნაწილი აღმოჩენილია.

ქურდობა

გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის ხუთ შემთხვევას.

მკვლელობა

გუშინწინ, ვიღაც ბოროტმოქმედმა მოსკოვის ქუჩაზე (სახლი № 13 პირდაპირ) ხანჯლით მოჰკლა მოქ. პ. ტრაპაიძე.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ტროფიმე პროკოფის ძე ლიგა და პავლე იოსების ძე ქუთათელაძე, რომლებსაც ბრალდება ბინების და სავაჭრო მაღაზიების გაქურდვა.

დაჭრა

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვიღაც ბოროტმოქმედმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა მოქ. პანჩენკო.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდენ: მიხეილ მამედის ძე მამულაიშვილი და მიხეილ გიორგის ძე დოდოლაშვილი.

ხელოვნება

ა. ა. სპენდიაროვის საღამო

მიმდინარე წლის მაისის 13, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბის გამგეობამ, გარდაცვალებულ კომპოზიტორის ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად გამართა სიმფონიური საღამო. საღამო გაიხსნა ვერის მუზტეხნიკუმის გამგის, ახალგაზრდა კომპოზიტორის გ. ჩხიკვაძის წინასიტყვაობით, რომელშიც ორატორმა გააცნო აუდიტორიას სპენდიაროვის ბიოგრაფია, აღნიშნა უმთავრესი მომენტები მისი ცხოვრებისა და მხატვრულ შემოქმედებისა, დაახასიათა ეს შემოქმედება და მისი მხატვრული და მეცნიერული მნიშვნელობა მუსიკალურ კულტურის საქმეში. აუდიტორიამ ფეხზე ადგომით სცა პატივი სპენდიაროვის ხსოვნას, რის შემდეგაც დაიწყო სიმფონიური კონცერტი.

თანახმად დაპირებისა კონცერტი უნდა შემდგარიყო მხოლოდ სპენდიაროვის ნაწარმოებებიდან, მაგრამ გამოდგა, რომ პროგრამა შეცვლილი იყო და შეიცავდა სპენდიაროვის მხოლოდ ოთხ ნაწარმოებს, პროგრამის დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენდა განთქმულ კომპოზიტორების კაპიტალურ თხზულებებს, რომ კონცერტს მისცემოდა დიდი სამოქალაქო პანაშვიდის ელფერი, ეს ასეც უნდა მომხდარიყო რადგან სპენდიაროვის ნაწარმოებნი საერთოთ ისეთ სიცოცხლის და მოძრაობის მატარებელნი არიან, რომ სამოქალაქო პანაშვიდისათვის არ ქმნიან სათანადო განწყობილებას. ამის დამამტკიცებლად ჩაითვლება სპენდიაროვის ის ოთხი ესკიზი, რომელიც შეასრულა სიმფონიურმა ორკესტრმა პროგრამის პირველ ნაწილში. ამ ესკიზთა შორის ყველაზე მდარე და ორიგინალური მელოდიური მონახაზულობა ქმნის მხურვალე ჰავის და მზით გაჟღენთილობის შთაბეჭდილებას, რაც შეეხება სხვა დანარჩენთ, მეტადრე „ქორწილს“ და ყირიმის თათრების საცეკვაო „ხაითარმას“, მათი მელოდიკა უკვე შესანიშნავი სიცოცხლის და დინამიურობის მატარებელია, და ეს თვისებანი უფრო თვალსაჩინო ხდება ინსტრუმენტების ოსტატურად გამოყენების გამო.

გარდა სპენდიაროვის თხზულებისა, პროგრამის პირველ ნაწილში სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა შოპენის „სამგლოვიარო მარში“, ჩაიკოვსკის „მელანქოლიური სერენადა“ და მისივე საუცხოვოდ დამუშავებული „ფინალი“ მე-6 სიმფონიიდან.

ამ ნიმუშის არჩევა სპენდიაროვის ხსოვნის საღამოსათვის ჩაითვლება ფრიად მიზანშეწონილად. აგრეთვე მიზანშეწონილი იყო პროგრამის მეორე ნაწილის შემდეგი ნიმუშები: გლაზუნოვის „ლირიული პოემა“, ჰენდელის „ლარგო“ და ბეთჰოვენის „ეგმონტიდან“ პათეთიური ადგილი.

სიმფონიურ ორკესტრის შემოქმედების მხატვრულ მხარეზე მსჯელობის გამოთქმა ფრიად ძნელდება იმ არახელსაყრელ აკუსტიურ პირობებში, რომელსაც ქმნის საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბის ესტრადის არქიტექტურა.

ამ პირობებში ორკესტრის ხმოვანება თავისი ნამდვილი სახით ვერ წარმოსდგება. ტექნიკურად კი პროგრამა ორკესტრის მიერ ჩაითვლება დაძლეულად. სიმფონიურ ორკესტრს (ქართული მუსიკალური საზოგადოება) ლოტბარობდა კომპოზიტორი შ. თაქთაქიშვილი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

— დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა დაიხურება კვირას 20 მაისს.

◆ მოხ. კახიანის სახელობის მუშუაკი 18 მაისს ოპერის თეატრში გამართავს დიდ საღამო-კონცერტს.

◆ რუსთაველის თეატრში ქიხარევას საგასტროლოდ დღეს წარმოდგენილი იქნება „ოკეანეს გაღმა“.

◆ წითელი არმიელის და ფლოტის საზაფხულო კლუბი გაიხსნება 17 მაისს. ამავე დღეს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ ქიხარევას გასტროლები დამთავრდება 20 მაისს.

◆ კინო ფუნიკულიორზე. წელს ფუნიკულიორზე სახკინმრეწვი ხსნის კინოს.

სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად

13 მაისს რუსთაველის თეატრში სომეხ ხელოვანთა სახლის და სომხური მუსიკალურ ტექნიკუმების თაოსნობით შესდგა კომპოზიტორ სპენდიაროვის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო სხდომა, რომელსაც დაესწრენ საქართველოს განათლების კომისარიატის და კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლებიც. სხდომამ კომპოზიტორ სპენდიაროვის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა სომხეთის განათლების კომისარს ამხ. მრავიანს.

მუშკოოპის კამპანია

ახალი წევრების მოსაზიდად და საპაიო ანაბარების შესაკრებად

ამჟამად თბილისის მუშათა კოოპერატივი ატარებს კამპანიას მუშკოოპში ახალი წევრების მოსაზიდად და საპაიო ანაბარების შესაკრებად. ამ კამპანიის გამო თბილისის მუშკოოპის გამგეობასთან ერთად საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შემდეგი მოწოდებით მიმართა საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს.

უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოები კოოპერაციის მიერ საკუთარ თანხების დაგროვების საკითხს მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება აძლიერებს თანხებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განსავითარებლად, სახელმწიფოს მიერ კოოპერატივისადმი გაწეული დახმარება თანდათან მცირდება და კოოპერაცია იძულებული ხდება საბრუნავი საშუალებები შეჰკრიბოს კოოპერაციაში გაერთიანებულ წევრებს შორის, პირველ რიგში, საპაიო ანაბარების სახით.

საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომების აქტიურ მონაწილეობაზე არის დამოკიდებული საპაიო კამპანიის წარმატებით ჩატარება და ამასთან ერთად წარმატებული ბრძოლა კერძო ვაჭართან. ე. ი. მუშების ყველა მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება, მუშათა ბიუჯეტის მოზიდვა კოოპერაციაში, რაც არსებითად ნიშნავს მუშის რეალური ხელფასის გადიდებას.

რამდენათაც საპაიო კაპიტალი კოოპერაციის სამეურნეო მოქმედების საფუძველს წარმოადგენს და რამდენათაც საკუთარი თანხები, რომელიც კოოპერაციის განკარგულებაშია სრულიად საკმარისი არ არის პაის მქონე წევრთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, საქართველოს პროფსაბჭო და მუშკოოპის გამგეობა ამ კამპანიას აძლევენ უდიდეს მნიშვნელობას და ავალებენ პროფკავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, ადგილკომებს და კოოპ. კომისიებს აქტიური დახმარება გაუწიონ მუშკოოპს ამ საპაიო კამპანიის ჩატარებაში.

მუშა-გამომგონებელთა ფონდი

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა კავშირების ყველა ცენტრ. გამგეობებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ ა. წ. 10 მაისს ტრესტებს დაუგზავნა განკარგულება რათა შესრულებული იქნეს დირექტივა წარმოებებთან მუშათა გამომგონებლების და საქმიან წინადადებათა წახალისების ფონდის შექმნის შესახებ. ფონდები მოწყობილი უნდა იქნეს ცალკე წარმოებებთან და არა ტრესტებთან. ფონდების შენახვა იმ წარმოებებში, სადაც დამოუკიდებელი კასა არ არის და ცალკე ანგარიშიანობა არ სწარმოებს, ხდება ტრესტებთან თვითეული წარმოებისათვის ცალკე ტრესტთან ფონდის შენახვა დასაშვებია მხოლოდ თბილისში. რაც შეეხება ადგილობრივ წარმოებებს, იქ ფონდი უნდა იყოს ადგილობრივ წარმოებაში.

თბილისის წარმოებების ფონდის ტექნიკურად ტრესტთან არსებობა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ჯილდოს გაცემა და ფონდიდან ხარჯების გაწევა უნდა ხდებოდეს ტრესტის მიერ. თანახმად საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მიერ 1927 წ. იანვარში გამოქვეყნებულ დებულებისა, ფონდიდან ხარჯებს ეწევა ცალკე წარმოების ადმინისტრაცია, მხოლოდ როცა ეს ხარჯები ათას მანეთს აღწევენ, მაშინ საჭიროა ტრესტის ნებართვა, ამ თანხაზე ნაკლები ხარჯების გაწევის უფლება აქვს ქარხნის ადმინისტრაციას საექსპერტო კომისიის დადგენილების მიხედვით.

ამ დირექტივის შეუსრულებლობის ან მისი დამახინჯებით გატარების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროფსაბჭოს.

ღონისძიებები მეღორეობის განვითარებისათვის

უახლოესი 5 წლის განმავლობაში აგებული იქნება ბეკონის ქარხანა.—ქარხნის აგება დაჯდება 300.000 მანეთი.—ჯიშიან ღორების შესაძენად გადადებულია 50.000 მან.—რესპუბლიკის 11 რაიონში გაიხსნება ჯიშიან ღორების მოსაშენებელი სადგურები.

საქართველოში მეღორეობის საქმის გაფართოებისათვის მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა 5 წლიანი გეგმა.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეღორეობის საქმეს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მის გაფართოებას.

პირველ რიგში ყურადღება მიექცევა ღორების ჯიშის გაუმჯობესებას და ჯიშიან ღორების მოშენებას. ამ მიზნით უახლოეს 5 წლის განმავლობაში მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატი ჯიშიან ღორების მოსაშენებელ სადგურებს გახსნის ახალსენაკში, ზუგდიდში, აფხაზეთში, სიღნაღში, თელავში, გორში; ოზურგეთში; თბილისის მაზრაში, ზესტაფონში და ხონში.

ამ სადგურების გასახსნელად და მოსაწყობად დაიხარჯება 200.000 მანეთი.

მთელ საქართველოში ითვლება 586.400 ღორი, რომელთა საერთო ღირებულება უდრის 14.500.000 მანეთს.

ვინაიდან დღემდე ღორებს გლეხები უმეტეს შემთხვევაში აშენებდენ ოჯახის საჭიროებისათვის და ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ მათი გამოკვების საქმეს, მიწად-მოქმ. კომისარიატის დადგენილებით ღორების მოვლა-მოშენების და გამოკვების საქმეს უხელმძღვანელებს ზოოტექნიკური სადგური. გარდა ამისა ადგილობრივი აგრონომიული ორგანიზაციები ჩაატარებენ შესაფერ კამპანიას ღორების მოვლისა და მათი მოშენების შესახებ.

მეღორეობის საქმის გაფართოებასთან დაკავშირებით მიწად-მოქმ. სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა უახლოეს 5 წლის განმავლობაში ააგოს ბეკონის ქარხანა. ქარხნის სავსებით მოწყობა დაჯდება 300.000 მანეთი. ქარხანა დაამზადებს ღორის ხორცის სხვადასხვა პროდუქტებს, მათ შორის შაშხს და ხორცს, ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გატანა როგორც საბჭოთა კავშირის ბაზრებზე, ისე უცხოეთში.

ჩატარებულ გამოკვლევის მიხედვით მეღორეობის განვითარებისათვის საქართველოში მეტად ხელსაყრელი პირობები არსებობს.

განზრახულია მეღორე გლეხებს მიეცეს სესხი, შესაფერი რჩევა-დახმარება და მეღორეობის რაიონში მოეწყოს ღორების გამშალებელი კოოპერატიული პუნქტები.

მიწსახკომს გადაწყვეტილი აქვს ადგილობრივი ღორების ჯიშის გასაუმჯობესებლად შეიძინოს 50.000 მანეთის ინგლისური (იორკშირის) ჯიშის ღორები.

მეღორეობის განვითარებასთან ერთად განზრახულია ჯაგრის დამზადების საქმის გაძლიერებაც. ჯაგარზე დიდი მოთხოვნილებაა მთელ საბჭოთა კავშირში და მისი გატანა შეიძლება აგრეთვე უცხოეთშიაც.

ჩაის კოლექტიური მეურნეობანი

საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ გამგეობამ დაადგინა იმუშამდგომლოს სათანადო ორგანიზაციების წინაშე, რათა დაჩქარებულ იქნას ჩაის კოლექტიური მეურნეობათა მიწადმოწყობის ჩატარების ტემპი საქართველოში, მოეწყოს ჩაის კოლექტიურ მეურნეობათათვის ტექნიკური დახმარება საზოგადოების ინსტრუქტორთა პერსონალის საშუალებით, შემუშავებულ იქნას ისეთ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ხელს შეუწყობს გლეხთა ჩაის მეურნეობის კოლექტივიზაციას და სხვა.

ავიაქიმში

პრეზიდიუმის სხდომა

17 მაისს საღამოს 6 საათზე ამხ. ხ. ჟულელის კაბინეტში შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

28 მაისს შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს გაფართოებული პლენუმი. პლენუმზე დასასწრებლად პროვინციიდან გამოძახებულია 40-მდე ადგილობრივი მუშაკი.

მუშაობა ტრანსპორტზე

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება შეუდგა სისტემატიურ მუშაობის წარმოებას ტრანსპორტზე. მუშაობას ხელმძღვანელობს განსაკუთრებული სატრანსპორტო სექცია.

რკინის გზის რაიონიდა—კლუბებში მოწყობილი იქნება ავიაქიმის კუთხეები. კუთხეების მოსაწყობად და მათ მოსამარაგებლად ლიტერატურით და საჭირო ექსპონატებით გადადებულია საჭირო თანხები.

რკინისგზეზე

მატარებლების დაჯახება

14 მაისს ღამით, ალიატ-ასტრახანის გადასარბენზე არსებულ გვერდის ამქცევ მცირე სადგურზე მოხდა საბარგო მატარებლების დაჯახება.

სადგურის ხაზზე იდგა მატ. № 103. ამავე ხაზზე მიიღეს მატ. № 110, რომელიც დაეჯახა პირველს. დაჯახების დროს ორთავე მატარებლის ორთქმავლები ისე დაზიანდნენ, რომ წასვლა აღარ შეეძლოთ. მატარებლების შემადგენლობიდან დაიმტვრა და დაზიანდა 15 ვაგონი. მატ. № 103-ს შემადგენლობიდან დაიმტვრა რვა ვაგონი, დატვირთული ღვინით, რკინით და სხვა ტვირთებით; დაზიანდა ორი ვაგონი. მატ. № 110-ს შემადგენლობიდან უმნიშვნელოდ დაზიანდა 5 ვაგონი.

დამტვრეულ ვაგონებმა დაიკავეს თავისუფალი ხაზი.

შემთხვევის ადგილზე ბაქოდან და აჯიკაბულიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდა ერთ-ერთი ხაზის გაწმენდა ხუთი საათის მუშაობის შემდეგ. ამავე ხაზით აღადგინეს მოძრაობა.

ადამიანთა მარცხი არ ყოფილა.

დამნაშავედ ცნობილია სადგურის მორიგე იბრაჰიმოვი.

ფიზკულტურა

მზადება ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ბიურომ განაწილა პროფკავშირთა წრეებს შორის კულტურული შეფობა ჩამოსულ კოლექტივებზე, რომლებიც სრ. საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ ჩამოვლენ თბილისში.

რკინის გზელებს დაევალათ კულტურული შეფობა გაუწიონ აფხაზეთის ფიზკულტურისნებს. საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირი კულტურულ შეფობას გაუწევს აჭარისტანის ფიზკულტურისნებს, სახ. უნივერსიტეტი, ხელოვნების მუშაკთა კავშირი და კომუნალურ მეურნეობის კავშირი—ქუთაისის ფიზკულტურისნებს მშენებელთა კავშირი—ახალქალაქის ფიზკულტურისნებს, გორის მაზრის ფიზკულტურისნებს კულტურულ შეფობას გაუწევს გემო-კვების მუშაკთა კავშირი. ფოთის ფიზკულტურისნებს შეფობას გაუწევს მეზღვაურთა კავშირი. შორაპნის ფიზკულტურისნებს—მელითონეთა კავშირი. დანარჩენი მაზრების ფიზკულტურისნების კოლექტივები დანაწილებული იქნება სხვადასხვა კავშირებს შორის.

სულ მაზრებიდან დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვა [illegible] ფიზკულტურისანი.

მოტო-გადარბენა

ამხ. ელიავას სახელობის ავტო-კლუბის მოტო-სექცია აწყობს გადარბენას სისწრაფეზე მარშრუტით: თბილისი—ფასანაური—თბილისი.

სადემონსტრაციო სტარტი შესდგება 19 მაისს დღის 2 საათზე თავისუფლების მოედანზე, ხოლო ნამდვილი სტარტი გაიმართება საქართველოს სამხედრო გზაზე მილიციის სკოლის შენობასთან. იქვე შესდგება ფინიში 20 მაისს, დღის 2 საათზე. სტარტი ფასანაურში შესდგება 20 მაისს დილის 9 საათზე.

მოტოციკლეტები დაყოფილია ოთხ კატეგორიათ.

სტარტიდან მანქანები გავლენ კატეგორიების მიხედვით ყოველ წუთის შემდეგ. გზაზე მოწყობილი იქნება საკონტროლო პუნქტები ზაჰესთან, მცხეთაში, დუშეთში.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 16 მაისი

დღეს, 16 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

ჯანსახკომის მოხსენება—ცოფი და მის წინააღმდეგ ბრძოლა ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე: ადამიანის წარმოშობა—ქართულ ენაზე:

ხელფასის რეფორმა ტრანსპორტზე—რკინის გზელთა პროფკავშირის მოხსენება—სომხურ ენაზე.

ახ. ლ. კ. კ. და კულტურული რევოლიუცია—მოხსენება რუსულ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

უხტის სიმდიდრეები

უხტის რაიონზე (კარელიის საბჭოთა რესპუბლიკაში) თავის დროზე ბევრს სწერდნენ და ლაპარაკობდნენ. იქ იპოვეს ნავთის ნიშნები. მაგრამ ხანგრძლივმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ნავთი იქ ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოება და მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

მაგრამ გამოყენებითი გეოფიზიკის საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომელმა პროფ. ბოგოიავლენსკიმ უხტის რაიონის მარილიან წყლებში აღმოაჩინა რადიუმი—ათეულჯერ უფრო ძვირფასი ნივთიერება, ვიდრე ნავთი.

პროფ. ბოგოიავლენსკი იუწყება, რომ რადიუმი რაიონში დიდ სივრცეზე მოიპოება და წყალთან ერთად გამოიყოფა ძველ ჭაბურღილებიდან. რადიუმის რაოდენობა ძლიერ დიდია.

გარდა რადიუმისა, ჭაბურღილების წყალი შეიცავს ძვირფას ელემენტებსაც: ლიტიუმს (ქარების სამკურნალო ნივთიერება), იოდი, ბრომი და სხ.

რადიუმის მოპოვება წყალიდან იაფი ჯდება. ძვირფას ლითონების ტრესტი უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას რადიუმის მოსაპოვებლად უხტის რაიონის მარილიან წყლებიდან.

ლევ ტერმენი ამერიკაში

ცნობილმა საბჭოთა ფიზიკოსმა ლენინგრადის ფიზიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა ლევ ტერმენმა ამ რამოდენიმე ხნის წინათ შეერთებულ შტატებში საჯაროთ გამოსცადა მის მიერ გამოგონებული რადიო-მუსიკალური აპარატი „ტერმენვოქსი“. ტერმენის გამოგონების მთელი ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ მის რადიო-როიალზე „დამკვრელი“ მუსიკალურ ხმებს წარმოშობს არა კლავიშებზე ხელის დაკვრით, არამედ ხელების უბრალო მოძრაობით ჰაერში. ხელის მიახლოება ან დაშორება ცვლის მოწყობილობის ელექტრონულ ძალას და ამისდამიხედვით იცვლება ხმის ტონი და ძალაც. ამრიგად, პირველად მუსიკის ისტორიაში, არტისტს რომელიმე მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს, საშუალება ეძლევა არაჩვეულებრივი სიღრმით გადასცეს მსმენელებს ამ ნაწარმოების შინაარსი. თუ ამას კიდევ დაუმატებთ ტერმენის მუსიკალურ ხელსაწყოს განსაცვიფრებელ მოქნილობას, ტონის სიწმინდეს და შეუდარებელ მუსიკალობას, ნათელი შეიქნება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმენის გამოგონებას.

„ტერმენოვოქსმა“ ანუ „ტერმენოფონმა“ (როგორც ამერიკაში „მონათლეს“ ტერმენის გამოგონება) ამერიკულ პრესაში აღტაცებული შეფასება ჰპოვა. ტერმენმა რამოდენიმეჯერ გამართა თავისი მოწყობილობის საჯარო ჩვენება და ყოველთვის ერთნაირი წარმატებით.

საინტერესოა გაზეთების აზრი გამოგონების შესახებ:

„ამერიკის საუკეთესო მუსიკოსები,—სწერს „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი, —როცა პირველი დემონსტრაციის დროს უსმენდენ „ტერმენოვოქსს“, ამ შესანიშნავ მოწყობილობას, ერთხმად მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ტერმენის გამოგონება წარმოადგენს მეცნიერების უდიდეს მიღწევას“.

ლორენს გ'ილმანი, ამერიკის ცნობილი ავტორიტეტი მუსიკის დარგში, შემდეგს სწერს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდში“: „ჰანგებს, რომელთაც პროფ. ტერმენი ჰქმნიდა თავის მოქნილი, მგრძნობიარე აპარატით, რაღაც არაჩვეულებრივი სილამაზე ახასიათებს. ეს ჰანგები იპყრობდენ და აჯადოვებდენ მსმენელთ. წარმოდგენაც კი ძნელია იმისი, თუ რა პერსპექტივებს გვიშლის ტერმენის გამოგონება“.

ასეთი რეცენზიები უძღვნეს ტერმენის აპარატის გამოცდას ამერიკის სხვა დიდმა გაზეთებმაც.

ნარევი

რადიო-საათი

ნიუ-იორკში და შეერთებული შტატების სხვა დიდ ქალაქებში დადგმულია საათები, რომელთა მუშაობას აწესრიგებენ რადიო-ტალღების საშუალებით ცენტრალური სადგურიდან, რომელიც ცნობებს სწორი დროის შესახებ გებულობს ასტრონომიული ობსერვატორიიდან. ამ სისტემის წყალობით, საათები უჩვენებენ ზედმიწევნით სწორ დროს. ასეთი საათის დადგმა ნიუ-იორკში დაჯდა 50.000 დოლარი, რადიო-საათები მომარაგებულია მთელი რიგ სპეციალური ნაწილებით. ასე მაგალითად, თუ საათის მექანიზმი გაფუჭდა, საათის შიგნით ენთება წითელი ლამპა, რომელიც აცნობს მგზავრებს, რომ საათი სწორად არ მუშაობს, მაგრამ საათის მექანიზმი იმდენად კარგი ღირსებისაა, რომ იშვიათად თუ გაფუჭდება, საათი მუშაობს ელექტრონის საშუალებით, რომელთაც ჩვეულებრივი ქსელიდან იღებს. ამის გამო საათი არ საჭიროებს ხელით მომართვას.

„კანონიერი“ გაიძვერობა

მონრეალის (კანადაში) საიუველირო მაღაზიაში შევიდა მყიდველი, შეარჩია ძვირფასი ბეჭედი, რომელიც 3.000 მან. ღირდა და ბეჭდის ღირებულება გადაიხადა ჩეკით (რომელსაც მაღაზიის პატრონი წარადგენდა ბანკში და მიიღებდა ფულს). ცოტა ხნის შემდეგ მყიდველი გამოვიდა მაღაზიიდან და შევიდა მეორე იუველირთან, რომელსაც უთხრა, რომ მან ახლახან იყიდა ბეჭედი, რომელიც სურს გაყიდოს და თან წინადადება მისცა 1.200 მანეთად შეეძინა 3.000 მან. ბეჭედი. იუველირმა იფიქრა, რომ კაცი, რომელიც ორი წუთის წინ 3.000 მან. ნაყიდ ბეჭედს 1.200 მანეთად ყიდის ალბად გაიძვერა არისო და დააპატიმრა მყიდველი.

მაგრამ, როცა პირველმა იუველირმა ჩეკი წარადგინა ბანკში, მას გადაუთვალეს 3.000 მანეთი. დაპატიმრებული მყიდველი ბოდიშით გაათავისუფლეს.

სწორედ აქ მოხდა ნამდვილი აფიორა და ისიც კანადის სასამართლოს მონაწილეობით. მყიდველმა მეორე იუველირს, რომელმაც იგი დააპატიმრა, უჩივლა სასამართლოში „შეურაცყოფისა და უკანონოდ დაპატიმრებისათვის“ და „საკომპენსაციოდ“ მოსთხოვა 30.000 მან. კანადის სასამართლო ფორმალურ თვალსაზრისზე დადგა და საჩივარი დააკმაყოფილა. ჭკუამახვილმა აფერისტმა სასამართლოს დახმარებით ჩაიგდო 30.000 მანეთი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 16 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

მედიცინის მუშაკთა სექციიდან: ანნა გორინშტეინი, მარიამ კუტლარენკო, ანტონინა, სოპრიკინა, მერი პიატკოვა, სირა საფაროვა, აბულაძე, ანდრონოვა, ხაჩატურიანცი, ხუციშვილი, შევიაძე, სირან ნაზრეტიანი, ევდოკია პინჩუკოვა და კონსტანტინე სამარგონოვა.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: გიორგი გოჯაძე, ერვანდ ანტონიანცი, ალექსანდრე ჩიჩელაშვილი, მუშეგ ნავოიანი, მიკირტიჩიანცი, სერგო სარქისოვი, ბაგრატ მანუკიანი, გარეგინ ოგანესიანი, სერგო ხურცილავა, ვასილ შორაფაშვილი, ნიკოლოზ ხაზანაშვილი, რევაზ გიორგიშვილი, ერვანდ მარტიროსიანცი, სერგო ბრეგვაძე, ამბროსი ტუხიევი, გაბრიელ მაღლაკო, გრიგოლ ჩივაძე, ნერსეს შოშიაშვილი, ივანე გოგოფრანოვი, კონსტანტინე რუხაძე, ლევან ზურიკაშვილი, ერვანდ ალიხანოვი, გარეგინ შახნაზაროვი, გურგენ მურადოვი, არშაკ არათუნოვი, დიმიტრი გუდიაშვილი, დავით ბეგიაშვილი, პინჭარაძე, არმენაკ ვართანოვი, ნიკოლოზ კოზაკი, დავით მამაჯანოვი, ს. გლუხოვი, ამაიაძე, აგიკოვი, გეორგ ჯანგუზოვი, კარაპეტ მამაჯანოვი, სიმონიანცი. მელაქიანცი, გოგოლაშვილი, მღვდელაძე, სტეფანოვი და დოსტოევსკი.

ახალგაზრდათა მეოთხე სექციიდან: თამარ ჩანაძე, მარიამ პეტროსიანცი, ელიზავეტა კუხაევი, ოლღა კარაბაში და მარიამ კუდავსკაია.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ნერსეს სარუხანოვი, გრიგოლ ლედაევი, იოსებ ფეტვიაშვილი, ილია იუნანგი, ხაჩატურ მირზოევი და სტეფანე მარტიროსოვი.

იურიდიული დახმარება

პლეხანოვის [illegible]

თუ თქვენ [illegible] შეგირდები, რადგან თქვენს მოღვაწეობას ალაპ ექნება შრომითი ხასიათი და შეგირდების სწავლება მიიღებს აშკარა ექსპლოატაციის სახეს. ყოველ შემთხვევაში შეგირდების დაქირავების დროს უნდა იყოს დაცული შემდეგი წესები: 1) შეგირდობის მსურველი უნდა იყოს არა ნაკლებ 14 წლ. და არა უმეტეს 18 წლ.; 2) ერთ ოსტატზე არ შეიძლება მიღებულ იქნეს ორ შეგირდზე მეტი, 3) შეგირდის დაქირავების დროს უნდა დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება, რომელშიაც უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით დაწესებული პირობები; 4) შეგირდის გასამრჯელო ვერ იქნება უფრო მცირე, რაც კანონითაა განსაზღვრული. კანონით კი ასეა განსაზღვრული: 1) პირველი ნახევარი წლის განმავლობაში, ოსტატის მიერ შეგირდს უნდა აღმოეჩინოს ბინა და კვება ანდა ფულადი საფასური, რომელიც შეთანხმებით წესდება. 2) წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, შეგირდმა უნდა მიიღოს შეთანხმებით დაწესებული შრომის ხელფასი ნატურით, ფულადი თუ შერეული ფორმით, გ. სწავლის მეორე წლიდან დაწყებული შეგირდი უნდა იღებდეს შრომის ხელფასს, რომელიც, შეიცავს ნატურალურ გასამრჯელოს, არ უნდა იყოს მოცემულ ადგილზე დაწესებული შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები. მასთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სწავლის მეორე წლიდან დაწყებული, შრომის ხელფასის არა ნაკლებ 25 პროცენტისა მოწაფეს უნდა მიეცეს ფულად და რომ შრომის ხელფასის ოდენობა იზრდებოდეს სწავლის გაგრძელებასთან ერთად. ამის მიხედვით თქვენ არ გაქვთ უფლება აიყვანოთ შეგირდები იმ პირობით, რომ გასამრჯელო აძლიოთ მხოლოდ ტანისაცმელისა და საჭმელის სახით. (შრომის კანონმდებლობის მოამბე 27 წ. № 8 გვ. 5—10 წესები სარეწაო კოოპერაციაში, შრომის ნადებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან მომუშავე შეგირდების შესახებ).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 16 მაისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია დელეგატების ოთხივე ჯგუფის გაერთიანებული კრება.

დასწრება ყველა დელეგატებისა ქალორგანიზატორებთან ერთად აუცილებელია.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 16 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება არსრაიონის ქალორგანიზატორებთან და დიასახლისებთან ერთად.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 16 მაისს საღამოს 6 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი დღეს, 16 მაისს, რაიკომის მიმდებ კომისიის სხდომაზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს.

ივანე ბურძენიძეს, (მე-6 უჯრედიდან), ვასილ ფირცხელაშვილს (მე-4 უჯრედიდან), გრიგოლ ვოლფსონს (მე-8 უჯრედიდან), დიმიტრი დავიდოვს (მე-9 უჯრედიდან), ვასილ გელაშვილს, მიხეილ გარსოშვილს, პეტრე კოკიელოვს (მე-13 უჯრედიდან), ირაკლი ბონიკაშვილს (მე-21 უჯრედიდან), ვართან ათოევს (მე-41 უჯრედიდან), მიხეილ გამცემლიძეს, დარეჯან ბლუაშვილს (მე-36 უჯრედიდან), პეტრე შაბაზოვს (მე-43 უჯრედიდან), თედორე მაკარენკოს (მე-30 უჯრედიდან), კონსტანტინე ბერიევს (მე-42 უჯრედიდან), ისაკი განგოშვილს, სევერიან საღარაძეს—(მე-32 უჯრედიდან), ალექსანდრე ფერთენავას (მე-31 უჯრედიდან), სევერიანე მაღულარიას (მე-34 უჯრედიდან), სავ. ლაბარდღავას, ოლღა პრესტაევას, ლევან ანანოვს, გრიგოლ ნანეზოვს, შამილ ხოკერბას (მე-22 უჯრედიდან), გიორგი ხმალაძეს (მე-52 უჯრედიდან), აკაკი კერესელიძეს, სამ. სვანიძეს (მე-67 უჯრედიდან), ანდრონიკ ოგანეზოვს (მე-64 უჯრედიდან), აბრამ ბუხშტაბის მე-54 უჯრედიდან), თამარა ჯაში, ნოე კაშკაშვილს, გრიგოლ დურმიშიძეს, ალექსანდრე ფიქრიშვილს, გიორგი ბესელიას, პავლე არგვლიანს, ლუკა კუპრაძეს, ალექსანდრე ერამიანს, ვასილ მირიანაშვილს, ნატალია პავლიაშვილს, მარიამ ჯობავას (მე-48 უჯრედიდან), სირანუშ ბაღდასაროვს (მე-7 უჯრედიდან), გრიგოლ დავიდოვს, (მე-18 უჯრედიდან), ნეოფიტე თაბუკაშვილს (მე-32 უჯრედიდან), ალექსანდრე სანგულაშვილს (მე-4 უჯრედიდან), ვლადიმერ მარგველაშვილს (მე-18 უჯრედიდან), ალექსანდრე ჯეკაშვილს, ივანე კალდანის, ბესარიონ მამულიას, ვასილ ნასყიდაშვილს, ისაკი ჩოჩელს და ტერენტი კაკაურიძეს (მე-29 უჯრედიდან).

უზომოდ დამწუხრებულნი: ლაზარე ხმალაძე, სამა კვიტაშვილი, მიხეილ სვანიშვილი, ანნა გოგელიასი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 12 მაისს, დილის 9 საათზე, უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი სასიქადულო მეზობელი, უბადლო ადამიანი, დამსახურებული პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

სილოვან თომას-ძე ხუნდაძე

ნ. 1097

მეუღლე ვიქტორ კუხიანიძე შვილებით, დედამთილი მარიამ კუხიანიძე, ნინო კუხიანიძე და ელენე ბეჟანიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

მარიამ ლავრენტის ასული კუხიანიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, 16 მაისს, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება ბინიდან ლისაგორის ქ. № 14,—ხუთშაბათს, 17 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 238

დედ-მამა მარიამ და ლავრენტი, დები: ელენე, რახილ, თამარი; ძმები: გრიგოლ და ვასილ ბეჟანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი შვილის და დის

მარიამ ლავრენტის ასული კუხიანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ლისაგორ ს ქ. № 14, კუკიის სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 17 მაისს. 2381

თავზარდაცემულნი და ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: კუკუ და ქეპა, ბებია პასიკო, მა იდა გუცა ჟორდანიები და სიძე ვასო შალიკაშვილი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა | წ. 12 მაისს, ქობულეთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი პაწია ორ ნახევარი წლის

ოთარ კუკუს-ძე ჟორდანია

დაკრძალვა მოხდება დაბა მარტვილში, ხუთშაბათს, 17 მაისს. 2380

თავზარდაცემული დედა გუგული, მამა სერაპიონი; ძმები: ბეჟანი, სერგო, ივანე და კონსტანტინე, დები: ნინა და მარო, რძალი ნინა და ძმისწული ლელიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს საყვარელ შვილის, ძმის, მაზლის და ბიძიკო

გიორგი სერაპიონის-ძე გეგეჭკორის

გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია 16 მაისს, საღამოს 4 საათზე, მიხეილის საავადმყოფოდან მარტვილში წასასვენებლად. დაკრძალვა კვირას 20 მაისს 2378

ამ დღეებში

ხაზღვარგარეთის ორი ახალი სურათი გამოშვებულია 1927 წ.

კინო აპოლოში „დიდის გული“

კინო არფასტოში „ღამის ექსპრესი“

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს.

ერთდროულად

1099

სახკინმრეწვის კინო ნოე

საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება

პალასი	მხატვრული ფილმი **ბოშური სისხლი** რეჟისორი ლევ პუშ ოპერატორები გალპერინი და კალატოზიშვილი მთავარ როლებში—მარია შირაი, კ. მიქაბერიძე, ა. თაყაიშვილი
სოლეი	
მინიონი	
აპოლო	დადგმის მეორე კვირა **ორი ქმრის ცოლი**
არფასტო	ორიგინალური კომედია **საექვო ბარგი** ადა მაგის მონაწილეობით
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში **გორა** დადგმა რეჟისორ—კ. მარჯანიშვილის.
დარბაზი	ცნობილი ტრიუკისტი ედ გიბსონი სურათში **რგოლში**
პროლეტარი ავლაბარი	ამერიკული კინო რომანი 4 სერიათ **მ ვლელის დალი** 1 და 2 სერია ერთად

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკეტერი. 1—10

ამა 1928 წლის მარტში **დავკარგე** თერთმეტი ცალი სხვადასხვა ღირებულების თამასუქის ბლანკი (1000, 500 და 200 მან.), რომელ ბლანკებზეც არის ჩემი ხელმოწერა: „მიხა იაკობის-ძე ბალანჩივაძე“. ამ ბლანკების დაკარგვის შესახებ მე შევიტანე განცხადება ქალაქ სამტრედიისა და მისი რაიონის მილიციის სამმართველოში, სადაც ამა 1928 წლის 12 აპრილს შესდგა სათანადო აქტი. ზემოაღნიშნული ბლანკები ჩაითვალოს გაბათილებულად. ამიერიდან თამასუქებზე მე ხელს მოვაწერ შემდეგნაირათ: „მიხეილ (იგივე მიხა) იაკობის-ძე ბალანჩივაძე“; სხვანაირათ ხელმოწერილ თამასუქებით კი მე აღარ ვარ პასუხისმგებელი, ამიტომ ვსთხოვ ყველას, ვისაც კი დღემდე ჩემი ხელმოწერილი თამასუქი აქვს, გამოცხადდეს ჩემთან ქალაქ სამტრედიაში ამა განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში ხელისმოწერის შესაცვლელათ.

მიხეილ (იგივე მიხაკო) იაკობის-ძე ბალანჩივაძე.

2373

ქ. ტფილისის შრომის სასამართლოს ალმასრულებელი
დიმ. დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 19 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 1 ფიგნერის შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ა. შხიანცის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს, კამოდს და სხვა ნივთებს შეფასებულს 109 მანეთად, ნიკოლოზ დგებუაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 26 აპრილის 1928 წ. თარიღით, № 1430 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1102

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს ალმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 21 მაისს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში კომუნალური ქუჩ. შესახ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მაშადი პირვაროვის მოძრავ ქონებას: ორი საპირფარეშო დიდი ზომის სარკეებს თავიანთ ჩარჩოებში შეფასებულს 250 მანეთად, მოქ. ფაშა ფაშაევის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 11 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1468 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1100

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სასამარ. ალმასრულებელი
კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 19 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, ბზის შესახვევში № 2 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნესტორ მებუკის მოძრავ ქონებას ათას ფუთს რკინეულობას და სხ. შეფასებულს 500 მან., დასაკმაყოფილებლად არჩილ ბილანიშვილისა, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2377

თბილისის ალმასრულებელი კომიტეტი
აცხადებს კონკურსს
ქალაქ თბილისში—ავლაბარში
ასაშენებელ მუშათა თეატრის საესკიზო
პროექტის შესადგენათ

კონკურსის სრული პროგრამის მიღება მიწის ნაკვეთის გეგმასა და ყველა ცნობებთან ერთად შეიძლება ალმასკომში ოთახი № 338, 1928 წლის 16 მაისიდან.

პროექტის წარმოდგენის ვადა თავდება 1928 წლის 1 ივლისს, დღის 12 საათზე.

შედარებით უკეთეს პროექტებისათვის, რომლებიც დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, გაცემული იქნება ორი პრემია საერთო თანხიდან (3.000 მან.). პირველ პრემიის რაოდენობა 2.000 მან., ხოლო მეორესი 1.000 მ.

თბილისის ალმასრულებელი კომიტეტი იტოვებს უფლებას შეიძინოს ერთი ან რამოდენიმე დაუჯილდოვებელი პროექტი 500 მანეთად.

ჟიურის შემადგენლობა:

ჟიურის თავმჯდომარე: მთავარი ინჟ. გ. ზ. ქურდიანი.

ჟიურის წევრები:

1) თბილისის ალმასკომისაგან. ინჟინერები: ხ. ა. მუხარინსკი და მ. ა. აბესალომოვი.
2) ინჟინერთა და ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროსაგან: ინჟინერი—ვ. ო. სიმონსონი.
3) საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებისაგან: ინჟინერი—გ. მ. მუხაძე.
4) ხელოვნების მუშაკთა კავშირისაგან: მხატვარი—გ. მ. შარბაშჩიანი და
5) პერსონალურად: დოცენტი ინჟინერი—ი. ნ. თულაშვილი და ინჟინერი პ. ა. ზურაბიანი.

თბილ. ალმასკომის მთავარი ინჟინერი გ. ქურდიანი.

ნ. 1098

დავკარგე: სამხედრო გასაწვევი საალრიცხვო ნუსხა № 45 დოროთე ხურციალავას სახელზე, ჩ. გ. 2375

დავკარგე: საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი № 237 სამსონ ჭაბუკიანის სახელზე, ჩ. გ. 2375

ქ. თბილისის საზინ. სასამართლოს ალმასრულებელი
პ. მ. ჭეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 22 მაისს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 8 დაღესტანის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ?ატინკა პაპიანცის მოძრავ ქონებას: ბუფეტს გრამაფონს, ფეხით სამუშაო მანქანას, ხალიჩას, სამოვარს ლიუსტრას და სხვ. შეფასებულს 220 მანეთად, ქალინიკა არღუთინსკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. საზ. სახალხო სასამართლოსაგან 14 მარტს 1927 წ. თარიღით, № 778 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1103

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს ალმასრულებელი
დიმ. დ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 18 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 2 კახეთის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მირზოევის მოძრავ ქონებას: სკამებს, საყინულეებს, სპილენძის ჭურჭლეულობას და სხვადასხვა ნივთებს შეფასებულს 143 მანეთად, სახკვების კავშირის და მოქ. მირაქოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 იანვარს, 1928 წ. თარიღით, № 232 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1101

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

ექიმი
ქ. ხ. ფონ-ი ტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფორმა № 4, № 126 გაცემული ლუარსაბ ალ-ძე ებანოიძის სახელზე, ჩ. გ. 2374

დავკარგე: კომუნალურ მუშაკთა კავშირის წევრობის წიგნაკი № 5 87 ლიუბა გურამის ასული ცეცხლაძის სახელზე, ჩ. გ. 2382

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 30042 გაცემული შორაპნის მაზრის განათლების მუშ. კავშირიდან ნესტორ დეკანოსიძეს სახელზე, ჩ. გ. 2379

დავკარგე: კავშირის საწევრო წიგნაკი № 4156 დომენტი ფირანის ძე გოგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2374

დავკარგე: პირადი წიგნაკი ფორმა № 4. № 77 მიხეილ გაბუნიას სახელზე ჩ. გ. 237

დავკარგე: სამხედრო სამსახურის ნუსხა № 37, გაცემული დავით ბესარიონის-ძე ლურსმანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 237

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68